# არსენალი

№ 21 (64). 17 - 30 ოქტომბერი. 2008. „კვირის პალიტრა". სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი

1425
2008



## ექსკლუზივი: კვადროციკლებიდან ჩამოგდებული რუსული მოიერიშეები

## ამერიკული ტანკსაწინააღმდეგო საშუალებები

## დადგა დრო ომის გააზრებისა...

ეროვნული ბიბლიოთეკა



პუტინი ევროპას უტევს 21



კვლავ რუსეთის ავიაციის დანაკარგზე 12




დადგა დრო ომის გააზრებისა... 5

ამერიკული ტანკსაწინააღმდეგო საშუალებები 24





რუსი მედესანტეების ოპერაციები საქართველოში 42



Calico — ყველაზე უცნაური პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი 54

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი


## კალეიდოსკოპი

4 ახალი ამბები

## მოსაზრება

5 დადგა დრო ომის გააზრებისა...

## ექსკლუზივი

8 „გრომები" მეხის დარტყმად იქცა რუსი პილოტებისთვის

## ავიაცია

12 კვლავ რუსეთის ავიაციის დანაკარგზე

## ომი

15 „ჩვენ გორი შტურმით ავიღეთ"

## ქალები ჯარში

17 რამდენად აქვს საქართველოს ისრაელის ტიპის სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პოტენციალი

## სპეცსამსახურები

21 პუტინი ევროპას უტევს

## იარაღი

24 ამერიკული ტანკსაწინააღმდეგო საშუალებები

## წვრთნა

33 პრაქტიკული სროლა

## ომების მსოფლიო ისტორია

37 კავალერიის როლი შუა საუკუნეებში

## აგრესორი

42 რუსი მედესანტეების ოპერაციები საქართველოში

## კროსვორდი

46 არსენალკვორდი

## ფლოტი

47 თურქეთი ახალი თაობის ხომალდებს აგებს

## უახლესი ისტორია

50 სოხუმი 1992-93 წლების კონფლიქტის მონაწილეებს არ ივიწყებს

## არსენალის იარაღის მაღაზია

53 **Calico** – ყველაზე უცნაური პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი


## რედაქტორის სვეტი

რუსეთი აგრძელებს საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციას. მიუხედავად იმისა, რომ 10 ოქტომბრისთვის უნდა დაეტოვებინათ ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის ზონის მიღმა არსებული ყველა ტერიტორია, რუსი ოკუპანტები კვლავ რჩებიან ახალგორის რაიონში, საჩხერის რაიონის სოფელ პერევსა და კოდორის ხეობის ზემო ზონაში.

ჩანს, ახალგორის რაიონს რუსეთი მორიგი ვაჭრობის საგნად გახდის, რათა მოიგოს ის დრო, რაც საჭიროა რუსული სამხედრო ბაზების საფუძვლიანად დასამკვიდრებლად გალისა და ოჩამჩირის რაიონებში, ასევე ჯავასა და ცხინვალში...

კრემლს სურს საქართველო-რუსეთის საზღვარი ფსოუდან მდინარე ენგურამდე, ხოლო როკის გვირაბიდან ცხინვალამდე ჩამოსწიოს, ხოლო თუკი გამოუვიდა, თვით ახალგორის რაიონამდეც კი.

*ირაკლი ალადაშვილი*
*გიორგი ქორქოლიანი*


ყურადღება!
გამოიწერეთ „არსენალი" და მიიღეთ შინ, თვეში ორჯერ!
ტელ: 38-26-74; 38-26-73



რედაქციის დაუკითხავად მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია



გადაცემულია დასაბეჭდად 13.10.2008

ჟურნალ „არსენალის" ძველი ნომრების შეძენა ტელ: 38-26-73, 38-26-74.

გაზეთ „კვირის პალიტრის" დამატება ©



რედაქციის მისამართია: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.
ტელ: 38-37-47
**email: arsenali@kvirispalitra.com**



ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ

# აშშ „მიკროტალღოვან ქვემეხებს“ მიიღებს



კომპანია RAYTHEON-ი მალე შეუდგება აშშ-ის არმიის პროგრამის რეალიზაციას, რომელიც პიკაპ FORD F-500-ებზე მიმართული ენერგიის სისტემების SILENT GUARDIAN-ის დაყენებას ითვალისწინებს. 2008 წელს „მიკროტალღოვანი ქვემეხის“ შექმნა 25 მლნ დოლარით დააფინანსეს. მობილური დანადგარების სერიული ნიმუშების მიწოდება წლის ბოლომდე იგეგმება, შეიარაღებაში კი კონტრაქტის ხელმოწერიდან თვეში თითო ერთეული შევა. სისტემა SILENT GUARDIAN-ი განკუთვნილია 250 მ რადიუსში მტრის ცოცხალი ძალის გასანეიტრალებლად. შეგახსენებთ, რომ აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების კვლევითმა ლაბორატორიამ დაასრულა მტრის ცოცხალი ძალის ნეიტრალიზებისათვის განკუთვნილი მიკროტალღოვანი სისტემა ADS-ის (ACTIV DENIAL SYSTEM) ადამიანის ორგანიზმზე ზემოქმედების შეფასების კომპლექსური პროგრამა. კვლევამ დაადასტურა სისტემის გამოსხივების არალეტალური ხასიათი და ადამიანის ჯანმრთელობისთვის უვნებლობა იმ სიმძლავრის დონეზე, რომელიც საკმარისია სასურველი ეფექტის მისაღებად. კერძოდ, დადგინდა, რომ სისტემა ADS-ის გამოყენება არ იწვევს სიმსივნურ დაავადებებს და არ ვნებს რეპროდუქციულ ფუნქციას. მკვლევრებმა ასევე განსაზღვრეს სიმძლავრის ის ზღვარი, რომელიც უხიფათო იქნება ადამიანის კანისა და თვალებისათვის. 95 გიგაჰერცის სიხშირის მიკროტალღები ადამიანის კანის გარსში 0,4მმ სიღრმეზე აღწევს და ქსოვილ და უჯრედშორის სივრცეებს შორის არსებულ წყალს აცხელებს, რაც დამწვრობისგან გამოწვეულ მწვავე ტკივილს ჰგავს. გეგმის მიხედვით, სისტემა ADS-ი შეიარაღებაში რამდენიმე ვერსიად შევა, მათ შორის მიწისზედა, საჰაერო და წყალზედა ბაზირების. მისი მოქმედების რადიუსი 750მ-ს მიაღწევს. SILENT GUARDIAN-ი სწორედ ADS-ის შემცირებული ვერსიაა.





# აშშ-ში შექმნეს მობილური რაკეტსაწინააღმდეგო კომპლექსი



კომპანია RAYTHEON-მა მაღალი გამავლობის ოთხღერძიანი სატვირთო ავტომობილ HEMTT-ის (HEAVY EXPANDED MOBILITY TACTICAL TRUCK) ბაზაზე შექმნა ტაქტიკური რაკეტსაწინააღმდეგო კომპლექსი PHALANX-ი. კონსტრუქტორთა აზრით, კომპლექსის მობილური ვერსია ეფექტიანად დაიცავს სამხედრო ბაზებსა და მნიშვნელოვან ობიექტებს სარაკეტო დარტყმებისგან, ჭურვებისგან და ნაღმსატყორცნებისგან. კომპლექსის მიწისზედა ვერსიამ, რომელიც თავდაპირველად ხომალდების დასაცავად შეიქმნა, მიიღო აღნიშვნა CENTURION-ი. PHALANX-ი არის ავტომატიზებული კომპლექსი, რომლის შემადგენლობაშია ექვსლულიანი 20მმ კალიბრის საზენიტო-საარტილერიო დანადგარი, აღმოჩენისა და მიზნის თანხლების რადიოლოკაციური სადგური, ასევე, ცეცხლის მართვის სისტემა, რომელიც გამოითვლის ფრენის ტრაექტორიას და პრიორიტეტების მიხედვით მიზნებს განალაგებს. დანადგარის სროლის სიჩქარე შეადგენს 6000 გასროლას წუთში, მოქმედების სიშორე 1,5 კილომეტრს. სატვირთო ავტომობილი HEMTT-ი აღჭურვილია დიზელელექტრული ძალური დანადგარით, რომელიც არ მოითხოვს დამატებით გენერატორებს „ფალანქსის“ ელექტრომომარაგებისათვის. მობილურ ვერსიაში დამხმარე აღჭურვილობაზე უარის თქმა თვითმფრინავ C-17-ით ნაცვლად ერთისა, სამი რაკეტსაწინააღმდეგო კომპლექსის გადატანის საშუალებას იძლევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგა დრო ომის გააზრებისა...

## კონკრეტულმა პოლიტიკურმა და სამხედრო შეცდომებმა გამოიწვია ის მძიმე შედეგი, რაც რუსეთთან ომის შემდეგ მივიღეთ



თავიდანვე ვიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო-რუსეთის ომის აქტიური საბრძოლო მოქმედებები მხოლოდ ხუთიოდე დღე თუ გაგრძელდა, თითოეული ამ დღის ღრმა ანალიზი ძალზე ძნელი საქმეა, რადგან ამომწურავი ინფორმაციის მოპოვება ურთულესი პრობლემაა.

არადა, თუ გვინდა გავერკვეთ, რა მოხდა ამ საშინელ ხუთ დღეში, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია უნდა გვქონდეს, დაწყებული ჯარისკაცის თვალით დანახულითა და დამთავრებული უმაღლესი მთავარსარდლით...

ამიტომაც „არსენალის“ ამ ანალიზს არ აქვს პრეტენზია სრულყოფილებაზე, მიუხედავად ამისა, ვცადეთ მიახლოებითი სურათი მაინც დაგვეხატა „არსენალის“ მკითხველისთვის იმისა, რა მოხდა სინამდვილეში.

ჩვენი აზრით, ყველაზე დიდი შეცდომა მაშინ დავუშვით, როდესაც აქტიურ საბრძოლო მოქმედებებში ჩავერთეთ. ეს იყო უმაღლეს დონეზე მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილება, რაც სტრატეგიული შეცდომა იყო.

საქართველოს ხელისუფლებაში, ისევე როგორც შეიარაღებულ ძალებში, რატომღაც ეგონათ, რომ რუსეთი აშკარად არ დაგვიპირისპირდებოდა, არც საბრძოლო დანაყოფებს გადმოისროდა და მით უმეტეს, არც მოიერიშეებსა და ბომბდამშენებს გამოგზავნიდა ქართული ქალაქებისა და სოფლების დასაბომბად.

სწორედ ეს თვითდაჯერება იყო უდიდესი პოლიტიკური შეცდომა, მით უმეტეს, რომ რეალობა საპირისპიროს წინასწარმეტყველების საშუალებას იძლეოდა. კერძოდ, 9 ივლისს ოთხმა რუსულმა საბრძოლო თვითმფრინავმა 40 წუთი იფრინა ცხინვალის თავზე და პირველად 16 წლის განმავლობაში მოსკოვმა აღიარა, რომ ეს მისი თვითმფრინავები იყო. მანამდე ყოველწლიურად რუსული ავიაცია არღვევდა და ბომბავდა კიდეც საქართველოს, მაგრამ კრემლი ამას კატეგორიულად უარყოფდა.



9 ივლისის აღიარებით მოსკოვმა ოფიციალური თბილისი გააფრთხილა, რომ ვითარების დაძაბვისთანავე რუსული ბომბდამშენები საქართველოს საჰაერო სივრცეში შემოიჭრებოდნენ...

ამის გაუთვალისწინებლობა საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთი უდიდესი შეცდომა იყო.

ომის დაწყების პირველივე საათებში საქართველომ საინფორმაციო ომი წააგო. არადა, არაერთხელ დაგვიწერია „არსენალში“ თუ გაზეთ „კვირის პალიტრაში“, რომ ვინც საერთაშორისო საინფორმაციო საშუალებებში დაფიქსირდება ომის წამომწყებად, ის მაშინვე წააგებს საინფორმაციო ომს!

სამწუხაროდ, სწორედ ასე მოხდა, რუსეთის მასობრივმა საინფორმაციო საშუალებებმა მთელ მსოფლიოს აცნობეს, საქართველომ პირველმა მიაყენა საარტილერიო დარტყმა ქალაქ ცხინვალს, რის შემდეგაც ცხინვალში ქართული ტანკები და ქვეითები შევიდნენ და 2000-მდე მშვიდობიანი მოსახლე დაიღუპა...

საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



რა თქმა უნდა, ინფორმაცია ორი ათასი დაღუპულის შესახებ წმინდა წყლის დეზინფორმაცია იყო (რომლის გავრცელება საქართველოში რუსეთის ელჩმა კოვალენკომ სპეციალურად დაიწყო), თუნდაც იმიტომ, რომ განუწყვეტელი დაბომბვების დროსაც კი, რამდენიმე საათში, ამდენი კაცი არ დაიღუპებოდა. მიუხედავად ამისა, ამ ციფრმა ძალზე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა მსოფლიოში საქართველოს იმიჯზე.

ომის შემდეგ იმის კვლევა, ჯერ რუსეთის სამხედრო დანაყოფები შემოპარულან როკის გვირაბიდანო, ნაკლებმნიშვნელოვანია.

საქართველოს ხელისუფლებას ყველა ღონე უნდა ეხმარა, რუსეთთან პირდაპირ საბრძოლო დაპირისპირებაში არ ჩათრეულიყო, კრემლის ხაფანგზე არ წამოგებულიყო.

სამწუხაროდ, ეს ვერ ან არ გაკეთდა. აქ უარყოფითი როლი შეასრულა იმ მილიტარისტულმა თუ გამომწვევმა რიტორიკამ, რომელიც წლების განმავლობაში თბილისიდან ისმოდა, მათ შორის თავდაცვის ყოფილი მინისტრის საქვეყნოდ გახმაურებული მუქარა, ცხინვალში საახალწლოდ შევალთო თუ რუსებისთვის „მირთმეული“ ფეკალიები. ამას დაემატა ზუგდიდში რუსი ცისფერჩაფხუტიანებისთვის ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტების წართმევა და ამის ამსახველი ვიდეოკადრების ხშირ-ხშირი ჩვენება, რამაც საქართველოს დათვური სამსახური გაუწია.

პოლიტიკური შეცდომები ნელ-ნელა გროვდებოდა და, ეტყობა, თანდათან გვაახლოებდა ომთან. იმ ფაქტმაც, რომ საქართველოს ხელისუფლების მაღალ წრეებში (ისევე როგორც სამხედრო მეთაურობაში) თითქმის არ იყვნენ აფხაზეთის ომის მონაწილენი, ხელი შეუშალა დაძაბული ვითარების რეალურად შეფასებას.

გადავიდეთ ომის სამხედრო ასპექტებზე. ერთ-ერთი მთავარი შეცდომა ის იყო, რომ საქართველოს პრეზიდენტს ომამდე ტელეკამერების წინ არაერთხელ უპატაკეს, ქართული არმია მზად არის ნებისმიერი საბრძოლო დავალების შესასრულებლადო!

ეს იყო ან თავის მოტყუება, ან შეცდომაში შეყვანის მცდელობა, მით უმეტეს, რომ შემდეგ უმაღლესი მთავარსარდალი ხშირად იმეორებდა თავის გამოსვლებში ამ ფრაზას.

არადა, ყველა საბრძოლო ამოცანის შესრულება აშშ-ისა და რუსეთის არმიას ერთად აღებულსაც კი არ შეუძლია, რომ აღარაფერი ვთქვათ, ქართულ არმიაზე.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ხუთდღიან ომში გამოაშკარავდა ქართული არმიის ყველაზე დიდი და მთავარი პრობლემა — სხვადასხვა დონეზე მართვის ნაკლოვანებები.

ჩვენს ქვეით ბრიგადებში ყველაზე უკეთ მოქმედებდა ათეული-ოცეული დონის მართვის რგოლი, რაც პრობლემატური იყო ასეულების და მით უმეტეს, ბატალიონებისა და ბრიგადების დონეზე.

სწორედ საბრძოლო დანაყოფების მართვაში არსებულმა ხარვეზებმა გაართულა არათუ სტრატეგიული, არამედ ტაქტიკური გამარჯვების მიღწევა, რასაც დაემატა კავშირგაბმულობის ცუდი მუშაობა. არ იყო კავშირგაბმულობის საშუალებები ამოქმედებული მთავარ შტაბსა (გორში საარტილერიო ბრიგადის ბაზაზე) და გაერთიანებული შტაბის მართვის ცენტრთან თბილისში. სავარაუდოდ, რუსეთმა საბრძოლო მოქმედების რაიონში გამოიყენა რადიოელექტრონული ჩახშობის ძლიერი საშუალებები, მაგრამ ჩვენს დანაყოფებში არსებული „ჰარისის“ ტიპის რადიოსადგურების მთლიანი ტექნიკური შესაძლებლობები (კერძოდ კი ავტომატურ რეჟიმში სიხშირეების შეთანხმებული ცვლა) არ იქნა გამოყენებული.

ჩვენი აზრით, ძალზე უარყოფითად იმოქმედა იმ ფაქტმაც, რომ ომის წინ შეიცვალა სამი ქვეითი ბრიგადის მეთაური (1-ელი მე-2 და მე-3 ქვეითი ბრიგადების), სპეციალური ოპერაციების დაჯგუფების მეთაური და თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის დეპარტამენტის უფროსი. მოხდა სხვა, შედარებით დაბალი დონის საკადრო ცვლილებებიც.

საბრძოლო მოქმედების დაწყების წინ სულ რაღაც ერთი-ორი თვით ადრე ასე მნიშვნელოვანი ცვლილებები, რა თქმა უნდა, შექმნიდა პრობლემებს, რადგან ახალ მეთაურებს, სხვა თუ არაფერი, დრო მაინც სჭირდებოდათ ვითარებაში გასარკვევად.

აგვისტო ყველაზე არასასურველი დრო იყო იმისთვის, რომ ცხინვალის



ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგიონში საბრძოლო მოქმედების დროს (თუნდაც რუსები არ ჩარეულიყვნენ) ქართულ არმიას უპირატესობა მოეპოვებინა. ის სეპარატისტებს ზაფხული შეიძლებოდა კარგად გამოეყენებინათ აქტიური პარტიზანული ქმედებების დასაწყებად.

ყველაზე უპრიანი იქნებოდა ოპერაციის დაწყება შემოდგომისთვის, როდესაც ფოთოლგაცვენილ ტყეებში დამალვა ძნელია.

არ შეიძლება, არ აღვნიშნოთ ჯარების გადაადგილებისა და განთავსებისას შენიღბვის ელემენტარული წესების უხეში დარღვევა. ამ სტატიის ავტორი 8 აგვისტოს ერგნეთთან თავად მოხვდა იმ საჰაერო დაბომბვაში, რომელიც რუსულმა მოიერიშეებმა გზაზე შეუნიღბავად მდგარი მე-2 ქვეითი ბრიგადის „ლენდროვერებისა“ და „კრაზების“ მიმართულებით დაიწყეს. იმავე დღეს სოფელ ერედვში უშედეგოდ ვუხსნიდი სოფლის შუაგულში მოლზე წამოგორებულ სამხედროებს, რომ საჰაერო თავდასხმისას დაუცველნი იქნებოდნენ. სამწუხაროდ, ერთ საათში ჩემი პროგნოზი გამართლდა და ერედვის ცენტრი სასტიკად დაიბომბა.

დღეს შეიძლება ზოგი ამაყობს, რომ რუსებს 20-მდე საფრენი აპარატი ჩამოუგდეთ და დავუზიანეთ, მაგრამ ისიც ხომ მწარე სიმართლეა, რომ დანარჩენი საქართველო მთლიანად დაუცველი დარჩა...

ცხინვალის ოპერაციაში ქართული არმიის დანაყოფების ჩართვას წინ უძღოდა თუ არა საჭირო და სათანადო დონის მომზადება? — ეს კითხვა ჩვენ დღესაც მოსვენებას არ გვაძლევს. არსებული ინფორმაციით, ბრიგადების პირადი შემადგენლობის ნაწილი შვებულებაში იყო, რამდენიმე ათეული ტანკისტი კი საზღვარგარეთ მივლინებული. არც მოიერიშე ავიაციის ყველა თვითმფრინავი იყო მწყობრში და სარემონტოდ იდგა, სატანკო ქარხანაში ტანკების ერთ ნაწილს მოდერნიზაციას უტარებდნენ.

ამასთან, ოფიცრების, მათ შორის თანამდებობის პირების (და ძალიან მაღალი თანამდებობის) დიდმა ნაწილმა სასწრაფო მზადებაზე ბრძანება სულ რამდენიმე საათით ადრე მიიღო. ბრიგადის სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანა და მისი გადასროლა მომავალი საბრძოლო მოქმედების რაიონში საკმაოდ რთული და შრომატევადი საქმეა და რამდენიმე საათი ამისთვის ნამდვილად არასაკმარისია.




მე-4 ქვეითმა ბრიგადამ ამ ომში ყველაზე დიდი საბრძოლო დანაკლისი განიცადა როგორც პირადი შემადგენლობის, ისე ტანკების მხრივ, რაც ალბათ იმითაც იყო განპირობებული, რომ სწორედ ეს ბრიგადა იბრძოდა ყველაზე რთულ უბნებზე. არადა მე-4 ქვეითი ბრიგადის პირადი შემადგენლობით შევსება მხოლოდ გასული წლის დეკემბერში დამთავრდა და თანაც ეს ბრიგადა ამერიკელ სამხედრო ინსტრუქტორებთან ერთად ერაყში სამშვიდობო ოპერაციებისთვის ემზადებოდა. უკვე კონტროლირებად ქალაქში სამშვიდობო ოპერაციის ჩატარება ერთია და ქალაქის აღება და გაცხრილვა კი — სხვა...

არსებობს აზრი, რომ მე-2 ქვეითი ბრიგადის გადასროლას ცხინვალის რეგიონში აჯობებდა მათი სენაკში დისლოკაციის ადგილზე დარჩენა, რომ შეეჩერებინათ დასავლეთიდან წამოსული მტერი და ასე იოლად არ დაეთმოთ სენაკის სამხედრო ბაზაში შენახული შეიარაღება და აღჭურვილობა.

რაც შეეხება სამხედრო ბაზებში მიტოვებულ ავლადიდებას, რეზერვისტები, რომლებიც დაბნეული დაბორიალობდნენ გორის ქუჩებში, ხომ შეიძლებოდა გამოგვეყენებინა სამხედრო ბაზებიდან შეიარაღებისა და ტექნიკის საევაკუაციოდ და მათ გადასამალად?!

ყბადაღებული როკის გვირაბის თემასთან უკვე აღარც გვსურს დაბრუნება, რადგან ეს იყო საქართველოს ხელისუფლების სტრატეგიული დონის შეცდომა. თუ არ ხერხდებოდა როკის გვირაბის დროებით მაინც მწყობრიდან გამოყვანა, ხომ შეიძლებოდა იქიდან გამომავალი გზის ინტენსიური დაბომბვა? თუკი რუსეთის ჯავშანსატანკო არმადა ჯავისკენ მიმავალ გზაზე ერთიორი დღით მაინც შეფერხდებოდა, ეს ბევრ რამეს შეცვლიდა. როკიდან გამომავალი გზის საარტილერიო დაბომბვა სულაც ყაზბეგის რაიონიდანაც შეიძლებოდა...

ამ ომმა ერთი საინტერესო დეტალიც გამოავლინა. კონტრაქტით მომსახურე სამხედროთა არცთუ მცირე ნაწილი ომამდე თვლიდა, რომ ისინი უბრალოდ სამსახურში დადიან და საღამოს ოჯახში ბრუნდებიან. დღეს კი ბევრმა გაიგო, რომ სამხედრო სამსახური ცოტა სხვა რამ არის და ერთ საღამოსაც შინ ჩაის დალევის ნაცვლად, ავტომატით ხელში შეტევაზე გადასვლამ შეიძლება მოგიწიოს. იმედია, ამის შემდეგ ქართულ არმიაში საკონტრაქტო სამსახურში, ძირითადად ქვეყნის სიყვარულითა და იდეით მივლენ და არა მაღალი ხელფასის გამო.

ამრიგად, ეს არის ხუთდღიანი ომის ანალიზის პირველი ცდა, ამიტომაც ის სრულყოფილი არ არის. თუმც საამისოდ ყველა ჩვენგანმა რაღაც უნდა გააკეთოს, რომ მომავალში ისეთი ტრაგიკული შეცდომები აღარ მოგვივიდეს, რომელთაც აგვისტოს ხუთ დღეში საშეილიშვილო პრობლემები გაგვიჩინა.

*ირაკლი ალადაშვილი*



ეროვნული ბიბლიოთეკა

# „გრომები" მეხის დარტყმად იქცა რუსი პილოტებისთვის

## სახმელეთო ჯარების მეზენიტეებმა 11-მდე ჩამოგდებული და დაზიანებული რუსული თვითმფრინავი და შვეულმფრენი დაითვალეს



კვადროციკლებზე ამხედრებული ქართველი მეზენიტეები რუსი პილოტებისთვის ნამდვილ თავსატეხად იქცნენ

„არსენალი" აგრძელებს აგვისტოს ხუთდღიანი ომის უცნობი ფაქტების მოგროვებას. როგორც ჩვენი ჟურნალის გასულ ნომერში შევპირდით მკითხველს, გთავაზობთ რუსეთ-საქართველოს ომში ჩვენი სახმელეთო ჯარების ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის მეზენიტეების საბრძოლო მოქმედებების ქრონიკას.

ამის აუცილებლობას იმიტომაც ვხედავთ, რომ არ დარჩეს შთაბეჭდდილება, თითქოს რუს საჰაერო აგრესორებს საზენიტო რაკეტებს მხოლოდ სამხედრო-საჰაერო ძალების საჰაერო თავდაცვის „სპაიდერები", „ბუკები" თუ „ოსები" ესროდნენ.

სახმელეთო ჯარების მეზენიტეები ომის დაწყების პირველი საათებიდანვე ჩაერთვნენ ბრძოლაში. ისინი სახმელეთო დანაყოფებსა და მათ შტაბებთან ერთად გადაადგილდებოდნენ და მათი გაშვებული საზენიტო რაკეტების რუსულ მოიერიშეებზე მოხვედრის ათობით თვითმხილველი არსებობს.

სახმელეთო ჯარების ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვას ქვეით და საარტილერიო ბრიგადებსა და სატანკო ბატალიონებში მივლინებული ჰყავდა მეზენიტეთა გათვლები, რომლებიც კვადროციკლებით მოძრაობდნენ და შეიარაღებაში ჰქონდათ Стрела-2М, Игла და პოლონური Grom ტიპის გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები.

მათ გარდა სახმელეთო ჯარების ქვედანაყოფების საჰაერო თავდაცვას უზრუნველყოფდა ცალკეული საზენიტო სარაკეტო-საარტილერიო დივიზიონის С-60, ЗУ-23-2 საზენიტო ქვემეხებისა და ЗУ-23-4-ს თვითმავალი საზენიტო დანადგარების ბატარეები.

საბრძოლო ანგარიში სახმელეთო ჯარების მეზენიტეებმა 8 აგვისტოს დღის 12 საათისთვის გახსნეს. სოფელ ტირძნისის თავზე სერჟანტმა გრიგოლ ლომიძემ გადასატანი საზენიტო-სარა-

ცალკეული საზენიტო სარაკეტო-საარტილერიო დივიზიონის ოფიცრები: მაიორი ავთანდილ მესხი, მაიორი მურმან კოხოძე, უფროსი ლეიტენანტები: ლაშა გორდეზიანი, რამაზ კავაძე, გიორგი გორდაძე და მაიორი გიორგი კოხოძე სწავლებაზე მოწინააღმდეგის მორიგი საჰაერო თავდასხმის მოგერიების საბრძოლო ამოცანას სახავენ...












შპს "ემ-პი-სი" Bombardier Recreational Products ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში
ტელ: + 995 32 22 40 40
მობ: + 995 99 29 09 92

ეროვნული ბიბლიოთეკა


„შილკები“ საცეცხლე პოზიციაზე გადიან

კეტო კომპლექს „გრომიდან“ გაშვებული სითბური დამიზნების რაკეტა დაბალ სიმაღლეზე მფრენ რუსულ Су-25-ს ძრავებთან გაარტყა. დაზიანებული და ბოლაშვებული მოიერიშე მიწას დაენარცხა.

ორიოდე საათის შემდეგ ისევ ტირძნისიდან ნასროლი „გრომით“ მე-3 ქვეითი ბრიგადის მეზენიტემ, ლეიტენანტმა გიგა ახვლედიანმა კიდევ ერთი რუსული Су-25 ჩამოაგდო. ამას თავდაცვის მინისტრიც შეესწრო.

დაახლოებით დღის პირველი საათისთვის სოფელ დიციდან ნასროლი „გრომით“ კაპრალმა ნიკა ლომიძემ რუსული მოიერიშე თვითმფრინავი დააზიანა. რუსმა პილოტმა მოახერხა მოიერიშის ჩრდილოეთით შებრუნება და თვალს მიეფარა. მისი ჩამოვარდნა მეზენიტეებს არ დაუფიქსირებიათ. არ არის გამორიცხული, ის სადღაც ჯავის რაიონში ჩამოვარდნილიყო...

ცოტა ხანში ისევ სოფელ დიციდან სერჟანტმა გოჩა სამსონიძემ გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსიდან გაშვებული რაკეტით დააზიანა კიდევ ერთი რუსული Су-25, თუმცა მისი მიწაზე დაცემა არ დაუფიქსირებიათ.

ისევ 8 აგვისტო, დღის 4 საათი. სოფელ ტყვიავიდან, სადაც იმ მომენტში 3 ქვეითი ბრიგადის შტაბი იდგა, ლეიტენანტმა გიგა ახვლედიანმა „გრომით“ დააზიანა რუსული მოიერიშე Су-25.

18 საათსა და 40 წუთზე სოფელ კარალეთთან საზენიტო დივიზიონის მართვის პუნქტის თავზე გამოჩნდა 4 რუსული Су-25. ისინი შედარებით დაბალ, 800 მეტრ სიმაღლზე მიფრინავდნენ და საცეცხლე პოზიციების აღმოჩენასა და დაზიანებას ცდილობდნენ. სერჟანტმა ვალერი რობაქიძემ „გრომით“ საზენიტო რაკეტა გაუშვა, რომელიც ერთ-ერთ Су-25-ის ძრავასთან აფეთქდა. მოიერიშემ შავი კვამლი გამოუშვა და ცხინვალისკენ, დაბალ სიმაღლეზე მიეფარა თვალს.

18 საათსა და 50 წუთზე ისევ კარალეთთან С-60 საზენიტო არტილერიის ორმა ბატარეამ გადამღობი ცეცხლი გაუხსნა რუსულ მოიერიშეებს, რომლებიც, სავარაუდოდ, ქართული „პიონების“ საცეცხლე პოზიციებს ეძებდნენ. С-60-ებთან ერთად რუსულ თვითმფრინავებს „გრომებიდანაც“ ესროლეს სითბური დამიზნების რაკეტები. რუსულმა Су-25-მა შავი კვამლი აუშვა და რაჭის მიმართულებით გაფრინდა.

საღამოს 7 საათზე კი კარალეთთან სახმელეთო ჯარების მართვის პუნქტთან კაპრალმა ევგენი მაქსიმენკომ „გრომით“ დააზიანა რუსული Су-25, რომელიც ბოლაშვებული საჩხერის მთებისკენ მიეფარა თვალს.

9 აგვისტოს, დღის 2 საათისთვის, ახალდაბასთან, ანძასთან, სადაც ჩვენი „პიონების“ საცეცხლე პოზიცია იყო განთავსებული, ორი რუსული Су-25 გამოჩნდა. „პიონების“ პოზიციების გარშემო განთავსებულმა Зу-23-2 ტიპის საზენიტო ქვემეხების ბატარეამ (ეს საზენიტო ქვემეხები МТЛБ-ს ტიპის ჯავშანგამწევებზეა დამონტაჟებული) ქარიშხლისებრი ცეცხლი გაუხსნა საჰაერო თავდამსხმელებს და ე.წ. ცეცხლის ფარდა შექმნა ჰაერში. ერთ-ერთი რუსული მოიერიშე დაზიანდა და მიწას დაენარცხა, რისი თვითმხილველებიც მეზენიტეების გარდა, არტილერისტე-





МТЛБ-ზე დამონტაჟებული ЗУ-23-2 მზადაა ცეცხლის გასახსნელად

ბიც იყვნენ.

დღის 4 საათისთვის რუსული დამრტყმელი შვეულმფრენი **Ми-24** ზემო ნიქოზისკენ მიმავალ გზაზე ცდილობდა, აეფეთქებინა საწვავმზიდი, რომელსაც წინა ხაზზე ქართული ტანკებისთვის საწვავი მიჰქონდა.

საწვავმზიდს დადევნებულ რუსულ „კროკოდილს" მე-4 ქვეით ბრიგადას მიმაგრებულმა კაპრალმა ზვიად გურეშიძემ „СТРЕЛА-2М"-იდან ნასროლი სითბური დამიზნების საზენიტო რაკეტა ძრავას საქშენში გაარტყა. დაზიანებული რუსული **Ми-24**-ის მიწაზე დაცემა არ დაფიქსირებულა, თუმცა ამ შვეულმფრენს გადარჩენის ძალზე მცირე შანსი ჰქონდა.

10 აგვისტოს დღის დაახლოებით სამი საათისთვის სოფელ შინდისში მე-4 ქვეითი ბრიგადის შტაბთან ქართველმა მეზენიტეებმა მიიღეს ინფორმაცია მოახლოებული რუსული საბრძოლო თვითმფრინავების შესახებ. ორმა ქართულმა „შილკამ" ძალზე მცირე ხნით ჩართო რადიოლოკაციური სადგურები და გადამლობი ცეცხლი გახსნა. „შილკების" ბატარეის მეთაური, უფროსი ლეიტენანტი რამაზ კიკაბიძე ამბობს, რომ დაინახა, როგორ დაზიანდა რუსული მოიერიშე და როგორ დაეჯახა მიწას რამდენიმე კილომეტრის მოშორებით, საიდანაც კვამლი ავარდა.

ამ ჩამონათვალიდან გამოდის, რომ სახმელეთო ჯარების მეზენიტეებმა 8-10 აგვისტოს 11-მდე რუსული საფრენი აპარატი დააზიანეს, რომელთა ნაწილი ჩამოვარდა.

სახმელეთო ჯარების საჰაერო თავდაცვის უფროსი ვიცე-პოლკოვნიკი რევაზ სახვაძე „არსენალთან" საუბრისას ხაზს უსვამს, რომ მათ ომამდე ცოტა ხნით ადრე მოასწრეს ყველა „შილკას" გარემონტება და მათი რადიოლოკატორების ამოქმედება, ასევე გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებისა და მსროლელების განთავსება კვადროციკლებზე, რომლებმაც ქართველ მეზენიტეებს საუკეთესო მობილურობა შესძინა. მისივე თქმით, გადამწყვეტი როლი შეასრულა მეზენიტე-მსროლელების მომზადების კლასის ეფექტიანმა მუშაობამ, სადაც ასობით მეზენიტე მომზადდა.



კარგად შენიღბული საზენიტო ქვემეხი С-60 გორის სიახლოვეს

შედეგი შეიძლება უკეთესიც ყოფილიყო, რომ არა ობიექტური მიზეზები, თუმცა სახმელეთო ჯარების საჰაერო თავდაცვამ თავისი საქმე სხვანაირადაც გააკეთა. ომის პირველ დღეს რუსული მოიერიშეები დაბალ სიმაღლეებზე, ხევხევ დაფრინავდნენ და ქართული რადიოლოკატორებისთვის ძნელი აღმოსაჩენი იყვნენ. მას შემდეგ, რაც „გრომებისა" და „შილკების" ცეცხლი იწვნიეს, რუსმა პილოტებმა ფრენის სიმაღლე გაზარდეს. ამით ისინი ასცდნენ გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების რაკეტებისა და საზენიტო არტილერიის მოქმედების სიმაღლეს. სამაგიეროდ, გამოჩნდნენ რადარების ეკრანებზე და „სპაიდერების", „ბუკებისა" თუ „ოსების" ნადავლი გახდნენ.



ექსკლუზიური კადრი: ახალჩამოვარდნილი რუსული Су-24М ჯერ ბოლომდე არ დამწვარა...

*ირაკლი ალადაშვილი*

# კვლავ რუსეთის ავიაციის დანაკარგზე

## რუსული არაოფიციალური წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია



მოდერნიზირებულმა Су-25СМ-მა საბრძოლო ნათლობა რუსეთ-საქართველოს ომში მიიღო

აგვისტოს მოვლენებიდან უკვე ორ თვეზე მეტი გავიდა და ორივე მხარის დანაკარგზე ლაპარაკი დღესაც ინტენსიურად მიმდინარეობს. რუსეთ-საქართველოს ხუთდღიან ომში რუსეთის საავიაციო და საარმიო დანაკარგზე „არსენალის“ წინა ნომრებში არაერთი სტატია გამოქვეყნდა. ამჯერად ჩვენს მკითხველს გვინდა მივაწოდოთ დაზუსტებული ინფორმაცია რუსეთის საავიაციო დანაკარგზე. სტატიაში მოყვანილი ინფორმაცია, ქართულ წყაროებთან ერთად, უმეტესწილად რუსულ წყაროებზე დაყრდნობითაა მოპოვებული და მის სისწორეზე თავს ვერ დავდებთ.

დეტალური ინფორმაციის მოპოვების შემდეგ ცხადი შეიქნა, რომ რუსეთის საავიაციო დანაკარგის სია მოიერიშე Су-25-მა გახსნა. 8 აგვისტოს სტავროპოლის მხარის ქალაქ ბუდიონოვსკში დისლოცირებულმა 368-ე საიერიშო პოლკმა (პოლკი რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალებისა და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის მე-4 არმიაში შედის), რომელსაც პოლკოვნიკი სერგეი კობილაში მეთაურობს, პირველი Су-25 დაკარგა. იმ დღეს საბრძოლო გაფრენიდან მეორე კლასის მფრინავი, პოლკის მეთაურის მოადგილე, ვიცე-პოლკოვნიკი ოლეგ ტერებუნსკი არ დაბრუნდა. მან კაჩას მფრინავების უმაღლესი სამხედრო-საავიაციო სასწავლებელი დაამთავრა და სულ 930 საათი ჰქონდა ნაფრენი, მათ შორის 75 საათი (120 გაფრენა) საბრძოლო პირობებში — ჩეჩნეთის მეორე ომში, რისთვისაც ის ღირსების ორდენით დაჯილდოვდა.

იმავე დღეს ბუდიონოვსკის აეროდრომზე, საიდანაც ცხინვალამდე 289კმ-ია კიდევ ორი დაზიანებული Су-25 დაჯდა — ორივე მანქანა ბაზამდე ცალი ძრავათი მიფრინდა. ერთს კაპიტანი ივან ნეჩიაევი მართავდა, მეორეს კი პოლკოვნიკი ოლეგ მოლოსოვი. მის მოდერნიზებულ Су-25СМ-ს რაკეტა, ფრენის მიხედვით თუ შევხედავთ, მარცხენა ძრავას კუდის კოკში მოხვდა. აფეთქებამ ის მთლიანად მოგლიჯა და ფიუზელაჟში მდებარე რადიოელექტრონული აღჭურვილობის ნაკვეთურში არც ისე პატარა ზომის ხვრელი გააკეთა. ინტერნეტში განთავსებულ ამ მანქანის ფოტოებზე ნათლად ჩანს მის ქვეშ დასხმული ქაფი. სავარაუდოდ, აეროდრომზე დაჯდომისას მას ცეცხლი ეკიდა. თუმცა სავსებით შესაძლებელია დაჯდომის შემდეგ ხანძრის ან აფეთქების თავიდან ასაცილებლად მას ცეცხლჩამქრობებით ქაფი სპეციალურად დაასხეს. ტექნიკოსებმა ამ მანქანაში 88 ნახვრეტი დათვალეს. საინტერესო მხოლოდ ის არის, რომ და-



ეროვნული ბიბლიოთეკა



368-ე საიერიშო პოლკის მეთაური, პირველი კლასის მფრინავი პოლკოვნიკი სერგეი კობილაში



9 აგვისტოს ძევერაში ჩამოგდებული რუსული Су-24-ის ფრაგმენტები

ზიანების მიუხედავად, მოლოსოვმა თავისი თვითმფრინავიდან ავარიულ რეჟიმში არც ორი 800ლ-იანი დამატებითი საწვავის ავზი და არც ამდენივე С-13 ტიპის 122მმ-იანი უმართავი საავიაციო რაკეტების გამშვები ორი ბლოკი Б-13 არ ჩამოაგდო.

ომის მეორე დღეს, 9 აგვისტოს, ქართველმა მეზენიტეებმა შორი მოქმედების ბომბდამშენი Ту-22М3, სავარაუდოდ, საზენიტო-სარაკეტო კომპლექს БУК-М1-ით ჩამოაგდეს. ბომბდამშენის ეკიპაჟის ოთხი წევრიდან გადარჩენა მხოლოდ ერთმა — მეორე მფრინავმა, მაიორმა ვიაჩესლავ მალკოვმა შეძლო („არსენლის“ 18(61) ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში ჩვენ მალკოვი Су-24М-ის პილოტად მივიჩნიეთ). ეკიპაჟის სამი წევრი კი — ეკიპაჟის მეთაური, ვიცე-პოლკოვნიკი ალექსანდრ კოვენცოვი, შტურმან-ოპერატორი, მაიორი ვიქტორ პრიადკინი და შტურმან-ნავიგატორი, მაიორი იგორ ნესტეროვი — დაიღუპა. სხვათა შორის, სამივე 2008 წლის 9 მაისს მოსკოვში გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი აღლუმის საჰაერო ნაწილში მონაწილეობდა. და თუ ეკიპაჟის შემადგენლობა მეტ-ნაკლებად გარკვეულია, თავად თვითმფრინავის გარშემო დავა დღესაც გრძელდება. საქმე ის არის, რომ ამ თვითმფრინავის დაკარგვისთანავე რუსულ ინტერნეტწყაროებში გაჩნდა ცნობა, რომ ახტიუბინსკში დისლოცირებული ჩკალოვის სახელობის სახელმწიფო საფრენოსნო-საცდელი ცენტრიდან აფრენილი ეს თვითმფრინავი ბომბდამშენის მზვერავი მოდიფიკაცია Ту-22М3Р იყო. ამავე წყაროებზე დაყრდნობით გაირკვა, რომ ამ მანქანაზე საბორტო ნომრით „36“ უახლესი სადაზვერო აღჭურვილობა იყო დაყენებული და ამ აეროდრომზე ის გამოცდას გადიოდა. ამ მოდიფიკაციის სულ 12 თვითმფრინავი გამოუშვეს. ერთმა 90-იანი წლების დასაწყისში ბარენცის ზღვაში კატასტროფა განიცადა. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ შევძელით დარჩენილი 11 თვითმფრინავის დისლოკაციის ადგილის დადგენა. ამიტომაც ზუსტად იმის დამტკიცება, რომ ეს მანქანა მართლაც ახტიუბინსკიდანაა, არ შეგვიძლია.

ამავე დროს გასული თვიდან რუსულ ინტერნეტფორუმებზე ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის პარალელურად ჩნდება ცნობები, რომ ეს მანქანა ახტიუბინსკიდან კი არა, კალუგის ოლქში მდებარე შაიკოვკას აეროდრომიდან აფრინდა, სადაც 52-ე მძიმე ბომბდამშენთა ავიაპოლკია ბაზირებული, რომელიც 37-ე საჰაერო არმიის შემადგენლობაში შედის (შაიკოვკიდან ცხინვალამდე 1507კმ-ია). ამ ინფორმაციას ნაწილობრივ ისიც ადასტურებს, რომ 30 სექტემბერს შაიკოვკას აეროდრომზე Ту-22М3-ის დაღუპული ეკიპაჟის წევრებთან გამოსამშვიდობებელი ცერემონიალი ჩატარდა.

იმავე დღეს ბუდიონოვსკის 368-ე ავიაპოლკიდან საბრძოლო დავალებაზე Су-25-ის ერთი წყვილი გაფრინდა. დავალების შესრულების შემდეგ, უკანა გზაზე, წამყვან მოიერიშეს, რომელსაც საიერიშო პოლკის საავიაციო რგოლის მეთაური, მაიორი ვლადიმირ ედამენკო მართავდა, რაკეტა მოხვდა და ჯავასთან ხეობაში ჩამოვარდა. პილოტი დაიღუპა. არაერთ რუსულ ინტერნეტფორუმზე წაიკითხავთ, რომ ედამენკო შეცდომით ისევე რუსულმა Су-25-მა ჩამოაგდო.

მეორე წყვილად დავალებაზე პოლკის მეთაური, პირველი კლასის მფრინავი პოლკოვნიკი სერგეი კობილაში და მაიორი კუკუშკინი გაფრინდნენ. მათ ამოცანას ქართული ჯავშანკოლონების განადგურება წარმოადგენდა. მათთვის მიწოდებული სადაზვერვო ინფორმაციის თანახმად კოლონა ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებების გარეშე გადაადგილდებოდა და მისი განადგურება არ უნდა გასძნელებოდათ. მოგვიანებით თავად კობილაშმა აღიარა Военная Тайна-სთვის მიცემულ ინტერვიუში, რომ ქართული ჰაერსაწინააღმდეგო კომპლექსებისგან ამხელა წინააღმდეგობას მართლა არ ელოდნენ. მანამდე კი შეტევაზე გადასულ კობილაშს (დაამთავრა ეისკის მფრინავების უმაღლესი სამხედრო-საავიაციო სასწავლებელი) ქართველმა მეზენიტეებმა ცეცხლი გაუხსნეს. მისკენ გაშვებული რაკეტის შესახებ მას მიმყოლმა მფრინავმა შეატყობინა. მკვეთრი მანევრის მიუხედავად, მას რაკეტა მარცხენა ძრავაში მოხვდა და ის მწყობრიდან გამოიყვანა — თვითმფრინავიდან კატაპულტირებას მან ერთ ძრავაზე ბაზამდე მიფრენა ამ-

9 აგვისტოს ჩამოგდებული Ту-22М3-ის ეკიპაჟის წევრებმა მოსკოვში, 9 მაისის აღლუმში მიიღეს მონაწილეობა, ოღონდ სხვა მანქანით...





სერიოზული დაზიანების მიუხედავად პოლკოვნიკ ოლეგ მოლოსოვმა თავისი Су-25СМ აეროდრომამდე მიიყვანა

ჯობინა. მომდევნო რაკეტა უკვე მეორე — მარჯვენა ძრავაში მოხვდა. ამ მომენტში ის დაახლოებით 1000მ-ის სიმაღლეზე, ცხინვალის თავზე იყო. კატაპულტირების შემდეგ ცოტა ხანში ის საშველად მოსულმა Ми-8 და Ми-24 ტიპის შვეულმფრენებმა აიყვანეს.

იმავე დღეს დანაკარგი რუსეთის საფრონტო ავიაციამაც განიცადა. ცხინვალის მახლობლად, სოფელ ძევერაში ქართველმა მეზენიტეებმა Су-24М ჩამოაგდეს. რუსული წყაროების ცნობით, ის ახტიუბინსკში მდებარე 929-ე სახელმწიფო საფრენოსნო-საცდელი ცენტრიდან აფრინდა. ის სამიზნეზე მეორე შემოსვლისას ჩამოაგდეს. მისი ეკიპაჟიდან გადარჩენა მხოლოდ პოლკოვნიკმა იგორ ზინოვმა შეძლო. ეკიპაჟის მეორე წევრი, როგორც შემდგომ გაირკვა, მაიორი იგორ რჟავტინი (გვარი მის მუზარადზე იყო ამოტვიფრული), დაიღუპა.

9 აგვისტოს დღის ბოლოს რუსებმა კიდევ ერთი Су-25 დაკარგეს. თავიდან რუსებმა ის ქართულ მოიერიშედ მიიჩნიეს. თუმცა მისი ფოტოების დათვალიერების შემდეგ იმაში, რომ ეს მოიერიშე რუსულია, ეჭვი არავის უნდა შეეპაროს — მის მარცხენა ბორტზე, მფრინავის კაბინის წინა მხარეს, რვა ვარსკვლავია დახატული, რაც საბჭოთა, შემდგომ კი რუსულ დამრტყმელ ავიაციაში 80 საბრძოლო გაფრენის ტოლფასია. მაგრამ მთავარი ის არის, რომ რუსებმა თავისივე მოიერიშე შეცდომით თვითონვე ჩამოაგდეს (შესაძლოა, ეს მოიერიშის თავისივე კოლონებზე შეცდომით იერიშის მიტანით იყოს გამოწვეული). ოსი „კოლეგები" კატაპულტირებული პილოტის მიწაზე დაშვებას არ დაელოდნენ და ჰაერშივე დაცხრილეს — ქართველი ეგონათ.

10 აგვისტოს ჯავის რაიონში ერთ-ერთი ძრავას მწყობრიდან გამოსვლის გამო (საზენიტო რაკეტის მოხვედრის შემდეგ) კატასტროფა ლიპეცკში დისლოცირებული საბრძოლო გამოყენებისა და საფრენოსნო შემადგენლობის გადამზადების მე-4 ცენტრიდან აფრენილმა Су-24М-მა (შესაძლოა, ის მზვერავი Су-24МР იყოს) განიცადა. ეკიპაჟის ორივე წევრმა, რომელთაგანაც ერთ-ერთი საბომბდამშენო ავიაციის მფრინავი პოლკოვნიკი ოლეგ ტოროჟუკია, კატაპულტირება მოასწრო.

11 აგვისტოს სოხუმის აეროპორტში ავარიული დაჯდომა კრასნოდარში დისლოცირებული 461-ე საიერიშო პოლკიდან აფრენილმა Су-25 განახორციელა. მას ქართული საზენიტო რაკეტა (სავარაუდოდ, სითბური დამიზნების), მარჯვენა ძრავას კუდის კოკში მოხვდა. ძლიერმა აფეთქებამ ის მთლიანად მოგლიჯა და თან მოტოგონდოლის ორივე კაპოტი მიაყოლა. ძრავას სრულ მოგლეჯას ხელი მხოლოდ იმან შეუშალა, რომ მისი სამმაგი კვანძები ზედა მხარესაა განთავსებული და აფეთქებამ მხოლოდ უკანა შპანჰოუტზე დამაგრებული (Су-25-ზე ძრავა ორ შპანჰოუტზე მაგრდება) კვანძები დააზიანა. რუსული წყაროების ინფორმაციით, ამ მანქანის პილოტი რუსეთის გმირის წოდებით დაჯილდოვდა. დაზიანებების მიუხედავად, ამ Су-25-ის აღდგენა შეიძლება, რისთვისაც რუსებმა ის 121-ე ავიასარემონტო ქარხანაში გადაიყვანეს.

როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში რუსეთი ნელ-ნელა იწყებს დანაკარგის აღიარებას. მათი თქმით, 17 აგვისტოს სოფელ ნიქოზის მახლობლად ქართველებმა თითქოს მათი Ми-24 დააზიანეს. ეს ნაკლებსავარაუდოა, რადგან ჯერ კიდევ 11 აგვისტოს რუსები უკვე გორში იდგნენ და საეჭვოა, 17 აგვისტოს ნიქოზამდე ქართველი მეზენიტეები ვინმეს მიეშვა (ზემო ნიქოზთან რუსულ Ми-24-ს საზენიტო რაკეტა 9 აგვისტოს მოარტყეს).

ამრიგად, რუსეთის არაოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობით, რუსეთ-საქართველოს ხუთდღიანი ომის შედეგად რუსეთმა 11-13 მანქანა დაკარგა (დაზიანებულების ჩათვლით), ოფიციალური თბილისის განცხადებით კი ჩვენ რუსებს 20-21 საფრენი აპარატი ჩამოვუგდეთ. სიმართლე კი, ალბათ, ამ ორ ციფრს შორის არის.



ბუდიონოვსკის აეროდრომი, სადაც 368-ე საიერიშო ავიაპოლკი დისლოცირდება — სწორედ აქედან დაფრინავდნენ რუსული Су-25-ები ქართული პოზიციების დასაბომბად

# „ჩვენ გორი შტურმით ავიღეთ“



**საქართველო-რუსეთის ომში აგრესორის კოლონებს გორისკენ ფსკოვის 76-ე სადესანტო-მოიერიშე დივიზიის 104-ე სადესანტო-მოიერიშე პოლკის ნაკრები ქვედანაყოფი მოუძღოდა, რომელსაც პოლკის მეთაური პოდპოლკოვნიკი გენადი ანაშკინი ხელმძღვანელობდა.**

ანიშკინი წერს: „8 აგვისტოს ღამის სამ საათზე დივიზიის მეთაურმა საბრძოლო დავალების მისაღებად გამომიძახა.

სამ საათზე დივიზიის მეთაურისაგან შევიტყვე, რომ პოლკის საბატალიონო ტაქტიკურ ჯგუფთან ერთად კავკასიაში უნდა წავსულიყავი.

მზადყოფნა დილის შვიდი საათისათვის დაინიშნა, მაგრამ გაფრენები აეროდრომ კრესტიდან 16 საათზე დაიწყო. მედესანტეთა პირველი ჯგუფი 15-მა სამხედრო-სატრანსპორტო Ил-76-მა აიყვანა და ბესლანში ჯერ 8, ხოლო შემდეგ კი 7 თვითმფრინავი დაჯდა.

ტექნიკის გადმოტვირთვის შემდეგ 9 აგვისტოს ღამის პირველი საათიდან ბესლანი-როკის გვირაბის მიმართულებით მარში შესრულდა. იმ დროისათვის გვირაბში 58-ე არმიის უკვე ბევრი სამხედრო ტექნიკა იყო.

სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილისაგან მიღებული ბრძანებით დავალების მისაღებად ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის სარდალთან პირადად უნდა გამოვცხადებულიყავი.

დასახლებულ პუნქტ ჯავასთან ოლქის ჯარების სარდლისგან ცხინვალის დასავლეთ გარეუბანზე გასვლა, გამოყოფილი რაიონის ქართული ჯარებისგან გაწმენდა, საქართველო-სამხრეთ ოსეთის საზღვარზე გასვლა და იქ თავდაცვითი პოზიციის დაკავება გვებრძანა.

ცხინვალში არსებულ მდგომარეობაზე ზუსტი ინფორმაცია არ გვქონდა. ვიცოდით, რომ იქ ჩვენი მშვიდობისმყოფელები იბრძოდნენ.

გადაადგილებისას ქართული თვითმფრინავი დაგვესხა თავს. ჩემმა მეზენიტეებმა საჰაერო სამიზნეს ცეცხლი გაუხსნეს. თვითმფრინავი ცეცხლს გაერიდა და ბომბები გვერდზე ჩამოგვიყარა.

დასახულ რაიონს ღამით მივაღწიეთ და სოფლის შემოწმებას შევუდექით. ვიპოვეთ საბრძოლო მასალები, მაგრამ ქართველი სამხედროები იქ უკვე აღარ იყვნენ. მოსახლეობიდან მხოლოდ მოხუცები ვნახეთ.

10 აგვისტოს დილით, ახალი ბრძანების თანახმად, ცხინვალის სამხრეთ გარეუბანში შესვლა დაგვევალა. როცა ქალაქისაკენ გავედით, ბრძოლები უკვე ცხრებოდა, როგორც მეწინავე რაზმს გვიბრძანეს საზღვრის გადაკვეთა, გორის რაიონში შესვლა და ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ ზღუდეზე, სოფელ ვარიანთან გამაგრება. აქ ტელეცენტრი იდგა.

ჩემს განკარგულებაში იყო არა უმეტეს ორასი კაცისა „ალუმინის ტანკებით“, ოთხი „ნონა“ და სამი ჯავშანტრანსპორტიორი 23მმ-იანი საზენიტო დანადგარებით.

დავიძარით თუ არა, კოლონის თავზე თვითმფრინავები გამოჩნდნენ. მეზენიტეებმა გადასატანი საზენიტო კომპლექსებით რამდენიმეჯერ ესროლეს. შედეგად ქართული მოიერიშე ჩამოვარდა. მფრინავმა კატაპულტირება მოასწრო და ის ტყვედ ავიყვანეთ.

სოფელ ხეთაგუროვოს რაიონში საზღვრის გადაკვეთისას „მწვანე“ ზოლიდან ქართულმა ტანკებმა ცეცხლი გაგვიხსნეს. ალბათ, ღმერთი გვფარავდა, ჭურვები ახლოს სკდებოდა, საბრძოლო მანქანას არც ერთი არ მოხვედრია. ინფორმაცია ისევ არ გვქონდა. არ ვიცოდით, წინ რა ხდებოდა, არადა პირველები მივდიოდით.



მედვედევი პოლკოვნიკ ანაშკინს აჯილდოებს

მეზენიტეებს მწვანე ზოლისათვის ცეცხლის გახსნა ვუბრძანე. მშრალ ბალახს ცეცხლი სწრაფად მოედო. ყველაფერი კვამლში გაეხვია და ტანკებმა სროლა შეწყვიტეს. მისი ყველა ხელსაწყო და სამიზნე კვამლისაგან „დაბრმავდა“.

ქართველების ზურგში სვლას განვაგრძობდით, გორის მიმართულებით ორმოცი კილომეტრი გავიარეთ. ჩვენ არავინ გველოდა. ადგილობრივი მოსახლეობა ატამს კრეფდა და ჩვენს დანახვაზე შოკირებულები სხვადასხვა მხარეს გარბოდნენ. მე ჩემები გავაფრთხილე, რომ მოსახლეობისათვის ცეცხლი არ გაეხსნათ, ვიდრე ვინმე არ გვესროდა.

ვარიანს მივადექით. დაზვერვამ მომახსენა, რომ სადგურთან ახლოს დიდი რაოდენობით შეიარაღების, ტექნიკისა და ცოცხალი ძალის თავმოყრა შეიმჩნეოდა. ქართველებმა შეგვამჩნიეს. ჩვენ გადავეწყვეთ და ისე შევუტიეთ. ქართველების ერთი ჯგუფი გაღწევას ავტომობილებით ცდილობდა და ისინი ჩვენ გავანადგურეთ. ბრძოლა დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდა. ბაზა დავიკავეთ, ტექნიკა გავანადგურეთ, ხოლო ტყვეები და ნადავლი ჩვენ უკან მომავალ 693-ე მოტომსროლელ პოლკს გადავეცით.

12-ში დილით გორის ტელეანძის დაკავება გვიბრძანეს. 11 საათისათვის ქართველების ტანკსაწინააღმდეგო ბატარეა პირადი შემადგენლობითა და ქვემეხებით ხელში ჩავიგდეთ. ჩვენ ზევით ვიდექით და ტყესთან განლაგებულ ბატარეას ზემოდან დავცხეთ და გავანადგურეთ. სიმაღლეზე გავმაგრდით და თავდაცვითი პოზიციები მოვაწყვეთ. იმავე დღეს, ღამით, დაზავება გამოცხადდა.

ვხედავდით, როგორ გადიოდა გორიდან ქართული ტექნიკა. ჩვენს საბრძოლო მანქანებს სროლის მცირე მანძილი ჰქონდა, ამიტომ ცეცხლის გახსნამ აზრი დაკარგა.

ქართველები პანიკურად გარბოდნენ. უამრავ ტექნიკასა და საბრძოლო მასალას ტოვებდნენ. ყაზარმებში, იარაღის ოთახების პირამიდებში ხელუხლებელი ავტომატები იყო დარჩენილი. საბრძოლო ტექნიკა პირდაპირ საცავებში იდგა. სამოძრაოდ გამზადებული კოლონები ასეთივე მდგომარეობაში დარჩა, ხოლო ზოგიერთი ტანკი თუ ჯავშანტრანსპორტიორი საწვავითა და საბრძოლო კომპლექტით სრულად გაწყობილი იყო.

ტყვედ აყვანილი ქართველები გვიამბობდნენ, ვარიანთან გარღვევის შემდეგ გავრცელდა ხმა, ორი რუსული დივიზია გზად ყველაფერს ნაცარტუტად აქცევს და ყველას დაუნდობლად ხოცავსო. ეს ნამდვილი პანიკა იყო.

დავალების შესრულების შემდეგ ჩვენ დივიზიის განლაგების ადგილზე ფსკოვში დავბრუნდით. ბატალიონის დანაკარგმა ერთი კაცი და 9 დაჭრილი შეადგინა“.

*P.S. ქართულ-რუსული ომი რუსეთის არმიის ოფიცრებისა თუ ჯარისკაცების გამოგონილი „გმირობებით“ უხვად არის დახუნძლული და მათ რიცხვს უკვე პოლკოვნიკი გენადი ანაშკინიც დაემატა, რომელსაც რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ქართულ-რუსულ ომში გამოჩენილი მამაცობისათვის რუსეთის გმირობა მიანიჭა.*

*8 აგვისტოს, დილიდან, ქართულ მოიერიშეებს აღარ უფრენიათ და 10 აგვისტოს რუსებმა, ალბათ ისევ თავიანთი თვითმფრინავი ჩამოაგდეს.*

მოამზადა
თემურ ჩაჩანიძემ




რუსი მედესანტეების გორში დატოვებული ავტოგრაფი



# რამდენად აქვს საქართველოს ისრაელის ტიპის სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პოტენციალი

**„გოგო ვარ, მაგრამ ცხინვალელი ვარ და თუ არა მე, სხვას ვის უნდა ჩაეცვა სამხედრო ფორმა?!"**

რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების საკითხი უფრო აქტუალური გახდა. როგორც წესი, დამარცხებიდან დასკვნას ვერ გამოიტან, თუ მიზეზს არ შეისწავლი და ომში დამარცხების მიზეზებს კი ქართველი საზოგადოება თავისებურად ხსნიდა. რუსული აგრესიით თავზარდაცემული ხალხი საქართველოს ისრაელის ტიპის სახელმწიფოდ ჩამოყალიბების იდეაზეც ლაპარაკობს, სადაც სამხედრო-სავალდებულო სამსახურს მამაკაცებთან ერთად ქალებიც იხდიან. რამდენად აქვს საქართველოს ასეთი ტიპის სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პოტენციალი და უნდა გაიარონ თუ არა ქართველმა ქალებმა სავალდებულო-სამხედრო სამსახური; უნდა ისწავლებოდეს თუ არა სკოლაში სამხედრო საქმე და აქვთ თუ არა ქალებს სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობის შანსი, ამის შესახებ ჩვენი რესპონდენტები გვესაუბრებიან.

**ნოდარ სარჯველაძე,**
*ფსიქოლოგი:*

— ისრაელი ზემილიტარისტული ტიპის ქვეყანაა. ის მუსლიმანური სახელმწიფოების გარემოცვაშია და როგორც უნიტარული სახელმწიფო, თავდაცვის საკითხებში მოწოდების სიმაღლეზე უნდა იდგეს. ისრაელში მოსახლეობა ძალიან ცოტაა და ქალების ჯარში გაწვევის აუცილებლობაც ამან გამოიწვია. თითქმის ყოველდღე ხდება ტერორისტული აქტები და ეს ყველაფერი ადამიანის ფსიქოლოგიაზე თავისებურად მოქმედებს, ანუ თვითგადარჩენის ინსტინქტი ძლიერდება და თავდაცვისუნარიანობა იზრდება. ასეთ ვითარებაში პრაქტიკულად ყველა მოქალაქე, განურჩევლად სქესისა, ქვეყნის შეიარაღებულ ძალებშია მობილიზებული. ნებისმიერი მათგანი თავს მოვალედ თვლის, ქვეყნის სამხედრო სამსახურში იდგეს, ეს დიდ პატივად მიაჩნიათ. ასეთმა დამოკიდებულებამ მოქალაქეებში ერთგვარი სამხედრო აზროვნება ჩამოაყალიბა, რასაც ხელი ჯარში კარგი პირობების შექმნამაც შეუწყო. ვისაც სამხედრო სამსახური არ



აქვს გავლილი, ცხოვრებაში წარმატებასაც ვერ მიაღწევს. როცა ქალი ასეთ გარემოში იზრდება და ყალიბდება, ის უნებურად ხდება ისეთი, როგორიც ქვეყანას სჭირდება. გარდა იმისა, რომ სამხედრო სამსახური როგორც ვაჟებისთვის, ისე გოგონებისთვისაც სავალდებულოა, პრაგმატულადაც ღირებულია. ისრაელში ქალს დედისა და ოჯახის დიასახლისობის გარდა კიდევ ერთი არანაკლებ მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია — იგი მოვალეა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობაში შეიტანოს თავისი წვლილი. ამ ხალხის თვითგადარჩენის ალღოს აძლიერებს იქაუ-

26028
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



რი იდეოლოგიაც, რომ ისრაელი ღმერთის რჩეული ქვეყანაა და აუცილებლად უნდა გადარჩეს. სულაც არ არის აუცილებელი, ისრაელელ ჯარგამოვლილ გოგონებს ავტომატი ეჭიროთ ხელში და ფრონტის წინა ხაზზე იბრძოდნენ... ისე კი ისრაელში ყოფნისას ხშირად მინახავს ავტომატიანი გოგონები და მიმაჩნია, რომ ქალს ძალიან უხდება იარაღი, მაგრამ ომის დროს მხოლოდ ვიზუალური მხარის გათვალისწინება არ არის გამართლებული.

**— ბატონო ნოდარ, ქართველი ქალის ფსიქოლოგიისთვის რამდენად არის მისაღები იგივე პრინციპები?**

— შეუძლებლად მიმაჩნია. ისრაელში ქალს გათავისებული აქვს, რომ ქვეყნის მშენებლობაში მასაც იგივე ტვირთი აწევს, რაც მამაკაცს. ამიტომაც იგი მოწოდებით მებრძოლია. ისინი მდგომარეობამ აიძულა, ასე ეცხოვრათ. ისრაელის სახელმწიფოს შექმნამდე ებრაელი ქალები არ იბრძოდნენ, მერე მოუწიათ.

საქართველო კი როგორც პოლიტიკურად, ისე გეოგრაფიულად სხვა ვითარებაშია. რუსეთის სახით ისეთი მეზობელი გვყავს, რომ მნიშვნელობა არმიის რაოდენობას კი არა, მისი მომზადების ხარისხსა და ეფექტურობას აქვს. ასე რომ, საქართველოში სავალდებულო-სამხედრო სამსახურში გოგონების გაწვევის აზრს და საფუძველს ვერ ვხედავ, თუმცა თუ რუსეთი დაიშალა, მაშინ, ალბათ, ქართველ ქალსაც მოუწევს თავდაცვა ისწავლოს.

**— ბოლო დროს რატომღაც გავრცელდა მოსაზრება, რომ ქალი ფსიქოლოგიურად მამაკაცზე ძლიერია და კარგადაც ისვრის...**

— ძლიერი მებრძოლი და კარგი მსროლელი ის არის, ვისაც უკეთესი სამხედრო და ფსიქოლოგიური მომზადება აქვს გავლილი, ვინც უფრო მაღალ დონეზეა გაწვრთნილი. ჩემი აზრით, სამხედრო ოპერაციების დროს ქალების ფსიქოლოგიური უპირატესობა გადაჭარბებულია. ტრადიციულად, სამხედრო სფეროში მამაკაცები იყვნენ ჩართულნი. ეს ბოლო დროს რატომღაც მოდაში შემოვიდა, ქალები ირწმუნებიან, კაცებს ყველაფერში ვჯობივართო... ქალი კაცს ბრძოლაში, სიმამაცეში, მოძრაობის სისხარტეში, ყურადღების კონცენტრირებასა და გნებავთ, სნაიპერობაში ვერც გაუტოლდება. სნაიპერული ხელოვნების მთელი არსი კარგ იარაღშია და აუკანკალდება თუ არა მსროლელს ხელი, ეს უკვე მის ბუნებაზეა დამოკიდებული. სროლისას დიდი მნიშვნელობა აქვს სნაიპერის სიმშვიდეს, რამდენად გაწონასწორებული და კონცენტრირებულია იგი. ეს თვისებები მსროლელის სქესზე კი არა, მის ფსიქოლოგიურ მომზადებაზეა დამოკიდებული. სისულელეა იმის მტკიცება, რომ ქალი ბუნებით უფრო სასტიკია და მას მსხვერპლის მოკვლისას ხელი არ აუკანკალდება. ასეთი დებულება სამხედრო ლოგიკაში არ არსებობს. არსებობს რამდენიმე ფიზიოლოგიური მომენტი, რომელიც თითქოსდა შორსაა სნაიპერის პროფესიისგან, მაგრამ თუ დაუკვირდებით საკმაოდ მნიშვნელოვან ფაქტორად შეიძლება იქცეს. საერთოდ არ გამიგონია სტატისტიკა, რომლის თანახმადაც ქალები უკეთესი მსროლელები არიან, ვიდრე მამაკაცები. უბრალოდ, არიან კარგი სნაიპერი ქალებიც.

ფსიქოლოგის მოსაზრებას არ იზიარებენ ჩვენი შემდეგი რესპონდენტები, რომლებსაც სამხედრო საქმეში გამოცდილება აქვთ.

## ჯულიეტა გოგიძე,

*კაპრალი, საქმის მწარმოებელი:*

— მე ისეთი რეგიონიდან ვარ, გასაკვირიც კი იქნებოდა, რომ სამხედრო კარიერა არ გამეკეთებინა. არასდროს დამიკარგავს იმედი, რომ ოდესმე სამაჩაბლოს დავიბრუნებთ...

20 წლის ვიყავი, იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაბარება რომ დავაპირე, მაგრამ მშობლებმა დამიშალეს. მაშინ იურისტსა და ფორმიან ქალს ცხინვალში ცოტა სხვანაირად უცქეროდნენ. მერე მთელი 10 წელი რუსეთში, პეტერბურგში მომიწია ცხოვრებამ. შარშან კი გავიგე, რომ გორში ბატალიონი ყალიბდებოდა და სასწრაფოდ ჩამოვედი საქართველოში. გადავწყვიტე, თავდაცვის სამინისტროსთან კონტრაქტი გამეფორმებინა. გამიმართლა, ასაკის მიუხედავად (39 წლის ვარ), ნორმატივები უპრობლემოდ ჩავაბარე. ყოველ დილით 6 საათზე ვდგებოდით, 7 კილომეტრს გავრბოდით და აზიდვებსაც ვაკეთებდით. ისეთი მძიმე კარანტინი გავიარე, რომ ბევრს ეგონა, ვერ გავუძლებდი. ნორმატივები 12-მა ქალმა ჩააბარა და ყველა მიიღეს. ძალიან ბევრმა მამაკაცმა კი სიცივეს ვერ



ნატო მიდოდაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუძლო, ზოგს კი ფსიქიკამ უმტყუნა. მინახავს ტირილამდე მისული მამაკაცები... თუ სამხედროს ფსიქიკა არ აქვს მყარი, მან საომარი მოქმედებების დროს, შესაძლოა, დიდი ზარალი მიაყენოს თანამებრძოლებს. ათამდე კაცის სახელსა და გვარს ჩამოგითვლით, ვისაც ხელ-ფეხი და გულმკერდი დავუზილე და გაყინვას გადავარჩინე... (სამედიცინო კოლეჯი მაქვს დამთავრებული).

სროლაში თბილისელმა ინსტრუქტორებმა გამოგვცადეს და ქალებმა ყველაზე კარგი შედეგი ვაჩვენეთ. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ყველაფერს ნებისმიერ მამაკაცზე კარგად ვაკეთებ. თუ ადამიანი ფსიქოლოგიურად არ არის ძლიერი, მას ფიზიკური მომზადება ვერ შველის.

**— ჯარში წასვლამდეც ვარჯიშობდით?**

— დიახ, ყოველთვის ძლიერი ვიყავი. სანამ სამაჩაბლოში ვცხოვრობდი, სანადიროდაც დავდიოდი. არც თვალს ვუჩივი და არც მიზანს. ახლაც ყველაზე სწრაფად ვშლი და ვაწყობ ავტომატს. მართალია, ბევრ კაცს არ მოსწონს ძლიერი ქალი, მაგრამ ჩემს ასეულში, გორის საინჟინრო ბატალიონში, ყველა ამბობს, რომ ამ საქმისთვის ვარ დაბადებული. შენ გვერდით თავს უსუსურად ვგრძნობთო, მეუბნებიან. ხუმრობით ჯენტლმენსაც მეძახიან. შვილი არასდროს მყოლია, მაგრამ ზოგისთვის დედა ვარ და ზოგისთვის — და...

**— ქალბატონო ჯულიეტა, აგვისტოს ომში მონაწილეობდით?**

— სამწუხაროდ, არა. 6-7 აგვისტოს გორში ვიყავი, საინჟინრო ტაქტიკურ ბატალიონში უნდა დავემტკიცებინეთ. დედა და და ცხინვალში მყავდა და ვერც მათ მივეხმარე გამოსვლაში. გორში ექთანის როლის შესრულებამ მომიწია. არასდროს დამავიწყდება ის უმწეობის განცდა, როცა ავტომატით ხელში შევცქეროდი, როგორ ბომბავდა გორს რუსული ავიაცია.

**— რომელიმე საბრძოლო მოქმედებებში თუ მიგიღიათ მონაწილეობა?**

— მიმიღია, მაგრამ საიდუმლოა, ვერ დაგიკონკრეტებთ, სად და როდის.

## ნატო მიდოდაშვილი,

*25 წლის კაპრალი:*

— მეხუთე ქვეით ბრიგადაში ვმსახურობ. სამხედრო ფორმის ჩაცმაზე იმდენ ხანს ვოცნებობდი, რომ მზად ვიყავი, ნებისმიერი სიძნელე დამეძლია.

ცხინვალიდან დევნილი ვარ, მერე ტირძნისში დავსახლდით. ახლა ის სახლიც დავკარგეთ და გორში კარვების ქალაქში ვცხოვრობ... თუ არა მე, სხვას ვის უნდა ჩაეცვა სამხედრო ფორმა?! როცა სამშობლოს სჭირდება, ყველა ქართველი, სქესის განურჩევლად, ვალდებულია, ქვეყანა დაიცვას.

**— ნატო, რამდენად რთულია ჯარისკაცური რეჟიმი ქალისთვის?**

— ყველაზე ძნელი აზიდვების გაკეთება იყო, მაგრამ ახლა უკვე მეცინება ამაზე. ისე კი, როცა ამბობენ, ქალს რა უნდა ჯარშიო, სულ ის მახსენდება, როგორც წაუვიდა რამდენიმე ბიჭს გული თოვლში ვარჯიშის დროს სიცივისგან. 50-ზე მეტმა ახალგაზრდამ კონტრაქტზე უარი თქვა. 45-დღიანი კარანტინი გვქონდა და ბევრი კაცისთვისაც კი გაუსაძლისი პირობები იყო. ოფიცრები გვეუბნებოდნენ, ჯარში სამსახური ამაზე უარესი იქნებაო, მაგრამ იმ დღეების შემდეგ რა სიძნელემ, წინააღმდეგობამ და სიცივემ უნდა გამაკვირვოს ან შემაშინოს...

საინჟინრო ბატალიონში ვმსახურობ და ცხინვალის ბოლო ომში არ ვყოფილვარ, რადგან ჩვენს ბატალიონს არ მოუწია წასვლამ. თუმცა, ჩემი არჩევანის მთელი არსი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში წვლილის შეტანა იყო და იმედია, ამ ოცნებას ავიხდენ. ამჯერად კი ნაღმური ველების განეიტრალება გვევალება და დღემდე იქ ვმუშაობთ.

## ამირან სალუქვაძე,

*სამხედრო ექსპერტი:*

**— ბატონო ამირან, თქვენი აზრით, აქვს თუ არა საქართველოს ისრაელის ტიპის სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პოტენციალი?**

— ქართველ ერს უზარმაზარი პოტენციალი აქვს. ამ პოტენციალის და თვითგადარჩენის უნარის გარეშე ჩვენ XXI საუკუნემდე ვერ მოვაღწევდით. საქართველოს ძალიან დიდი სამხედრო გამოცდილება აქვს, რაც ქვეყნის ისტორიიდან კარგად ჩანს. საქართველოს განადგურებისა და დამონების მსურველები ყოველთვის ჰყავდა და ახლაც გამოჩნდა რუსეთის სახით. ასეთ შემთხვევაში მტერს კარგად აწონილი საშინაო და საგარეო პოლიტიკა, საზოგადოების ერთიანობა და მსხვერპლის გაღების უნარი უნდა დავუპირისპიროთ. თუ ერს ქვეყნისთვის მსხვერპლის გაღება არ შეუძლია, ის დამოუკიდებლობის ღირსი არ არის და ვერც იქნება. აგვისტოს მძიმე დღეებში ჩვენი ხალხის ენთუზიაზმმა, ჯარისკაცების გმირობის უამრავმა ფაქტმა დაგვანახვა, რომ ქართველ ხალხში მებრძოლის მუხტი არსებობს. მთავარია, არ ჩავკლათ, პირიქით, შევინარჩუნოთ და გავაძლიეროთ. ამისთვის კი აუცილებელია აგვისტოს ომიდან სწორი დასკვნის გამოტანა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება. რაც მთავარია, კადრები უნდა შევარჩიოთ სწორად. და კიდევ ერთი, ქვეყანა არ უნდა დაუბრუნდეს გაწვევის სისტემას. ბოლო წლებში ქართული არმიის პროფესიონალური საფუძვლების მოსამზადებლად ბევრი რამ გაკეთდა და გაწვევის განახლება უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება. თუ რეზერვის მომზადების საქმეში შეცდომები იყო დაშვებული, ეს იმას არ ნიშნავს, რომ გაწვევის სისტემაზე გადასვლით სწრაფ ეფექტს მივიღებთ. 100-ათასიანი რეზერვის მომზადებას ერთ-ორი კვირა კი არა, რამდენიმე წელი სჭირდება... პრობლემა იყო რეზერვის უკონტროლობა და სასწავლო პროცესის ორგანიზების დაბალი დონე. უმჯობესია გაწვევის პროგრამები დაიხვეწოს და იგი წვრთნისა და ალჭურვის პროგრამებს მიუახლოვდეს. შეირჩეს ოპტიმალური ხანგრძლივობა 1,5-დან 3 თვემდე, რათა რეზერვის გავლა უმტკივნეულოდ მოხდეს, მაგრამ ხარისხის კონტროლის გარეშე ნებისმიერი სისტემის შექმნის მცდელობაც კი კრახით დასრულდება. როცა საქართველოს ისრაელის ტიპის სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაზე ლაპარაკობენ, ეს ყველაფერი უნდა გაითვალისწინონ.

**— როგორ და რა ფაქტორების**

„ლიგა"
სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია
– ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
– სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
– ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
– სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე
მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11 ☎ 32 21 21, 31 73 24

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გათვალისწინებით ყალიბდებოდა ისრაელი ასეთი ტიპის სახელმწიფოდ?**

— 1949 წელს ისრაელის არმიის გენერალურ შტაბს სათავეში ახალგაზრდა გენერალი იადინი ჩაუდგა და არმიის აღმშენებლობის ფორმები შეიმუშავა. საფუძვლად ბრიტანული მოდელი აიღო. კადრების მომზადებისა და მობილიზაციის სისტემაში ბევრი რამ შვეიცარიის გამოცდილებიდანაც გამოიყენა. არმიის გამოყენების დოქტრინის შემუშავება სპეციალურ კომიტეტს დაევალა. გეოპოლიტიკური ანალიზი გეოგრაფიული რეალობიდან გამომდინარე, ისრაელისთვის საკმაოდ წამგებიანი იყო. მრავალრიცხოვანი მოწინააღმდეგის უპირატესობის გამო იგი გამარჯვებას ვერ მიაღწევდა. გარდაუვალი იქნებოდა ქვეყნის ეკონომიკური კრახი. ისრაელი შეზღუდული იყო მანევრულობის მხრივაც, არ არსებობდა ბუნებრივი წინააღმდეგობებიც. მას შეეძლო მხოლოდ ხანმოკლე ომი ეწარმოებინა და მოწინააღმდეგისთვის ისეთი ზარალი მიეყენებინა, რომლის შემდეგაც ის საბრძოლო მოქმედებების განახლებას დიდხანს ვერ შეძლებდა. არმიის შემდეგი გარდაქმნა 1953 წლიდან დაიწყო, როცა გენერალური შტაბის უფროსად მოშე დაინი დაინიშნა. მან აქცენტი, ძირითადად, პროფესიონალიზმზე გააკეთა. შექმნა პროფესიონალი ოფიცრებისთვის ნორმალური კარიერული ზრდის პირობები. გაატარა რეფორმებიც, რომელიც უფრო ორგანიზაციულ ხასიათს ატარებდა, ვიდრე ტექნიკურს. მაგალითად, ისეთი უზრუნველყოფის ობიექტები, როგორიცაა საცხობები, სამრეცხაოები, სახელოსნოები არმიის სტრუქტურიდან გაიყვანეს და სამოქალაქო სექტორს გადასცეს.

ასეთივე რეორგანიზაცია ქართულ არმიაში ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა, ირაკლი ოქრუაშვილმაც ჩაატარა, რაც საკმაოდ ეფექტიანი გამოდგა, მაგრამ მას თან ახლდა გაუმართლებელი საკადრო წმენდა არმიისთვის მიუღებელი გუნდური პრინციპით. კარდინალურად შეიცვალა ოპერაციების დაგეგმარების წესი. ოპერაციის დაგეგმარებაზე პასუხისმგებლობა შემსრულებელზე გადავიდა. გენერალური შტაბი გასცემდა დირექტივებს. წახალისებული იყო ნებისმიერი ინიციატივა და დამოუკიდებელი ქმედება...

ჩვენგან განსხვავებით ისრაელის არმიაში ყველა მეთაური, სერჟანტი თუ გენერალი სამეთაურო საფეხურებს მკაცრად გადიოდა. ოფიცერთა სკოლაში მხოლოდ რიგითებიდან ირიცხებოდნენ. მნიშვნელობა არ ჰქონდა განათლებასა და სოციალურ მდგომარეობას,



ჯულიეტა გოგიძე (მარცხნიდან მეორე) მეგობრებთან ერთად

მთავარი ლიდერის თვისებები იყო. 1956 წლის შემდეგ მეტი ყურადღება დაუთმეს სატანკო ქვედანაყოფების განვითარებას როგორც ტექნიკურად, ასევე ორგანიზაციულად. გარდა ამისა, დიდი ყურადღება ექცეოდა ავიაციას. სრული რეორგანიზაცია განიცადა სამობილიზაციო სისტემამაც.

ამ დროისთვის განსხვავებული ვითარება იყო მეზობელ არაბულ ქვეყნებში, განსაკუთრებით ეგვიპტეში. სამხედრო გადატრიალების შემდეგ ოფიცრები და გენერლები ისეთი პრივილეგიებით სარგებლობდნენ, რომ რიგითი მოქალაქეებისთვის წარმოუდგენელიც კი იყო. ეგვიპტის პრეზიდენტი ნასერი პირადად აკონტროლებდა მისი ოფიცრებისა და გენერლების დაწინაურებას, რაც ქვეყნის სამხედრო განვითარებას ხელს უშლიდა.

უნიკალურია 1967 წლის „ექვსდღიან ომად“ წოდებული ისრაელ-არაბული ქვეყნების დაპირისპირება. ძალთა თანაფარდობა არაბული ქვეყნების სასარგებლოდ იყო. ამ ომს ისრაელი წლების განმავლობაში ამზადებდა. მიზნად არაბული ქვეყნების იზოლაციიდან თავის დაღწევა ჰქონდა დასახული. საბრძოლო მოქმედებები ისრაელმა საავიაცო იერიშებით ეგვიპტის ძირითად საავიაციო ბაზებზე, აეროდრომებზე, საჰაერო თავდაცვის ობიექტებსა და სუეცის არხის ხიდებზე დაიწყო. ამას კი წინ უძღოდა დეზინფორმაცია და ტაქტიკური ხერხები — ისრაელმა 3000-მდე სამხედრო მოსამსახურე შვებულებაში გაუშვა და მათი დასვენების ამსახველი ფოტომასალები პრესაში გაავრცელა. ამ ომის სცენარი ჯერ კიდევ 1965 წლიდან მზადდებოდა. ყოველდღე 2 საათის განმავლობაში 40 თვითმფრინავი საშუალო და მაღალ სიმაღლეებზე ზღვის მიმართულებით მიფრინავდა, შემდეგ დაბალ სიმაღლეებზე გადადიოდნენ და უდაბნო ნეგეევის აეროდრომზე სხდებოდნენ. ასეთი ფრენებით არაბული საჰაერო თავდაცვა ისრაელის ავიაციის ფრენების გრაფიკს ეჩვეოდა და საფრთხედ აღარ აღიქვამდა. 1967 წლის 5 ივნისს კი 40-მა თვითმფრინავმა იერიში ერთდროულად ეგვიპტის 19 აეროდრომზე მიიტანა. ექვსდღიან ომში ისრაელმა თავისი სახელმწიფოს ისტორიაში ერთ-ერთ ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია. ამ ომში 800-მდე კაცი და 132 ტანკი დაკარგა მაშინ, როცა სამი არაბული სახელმწიფოს დანაკარგი ჯამში 17-დან 23-ათასამდე დაღუპულსა და 50 ათასამდე დაჭრილს შეადგენდა. ამ ომის შემდეგ იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქი გახდა და ამ სახელმწიფომ ტერიტორიული პრობლემები გადაწყვიტა. ომის შედეგებმა მას საშუალება მისცა, ეგვიპტესთან მომგებიანი მოლაპარაკებები ეწარმოებინა და 1979 წელს მასთან სამშვიდობო ხელშეკრულებასაც მოაწერა ხელი.

სამხედრო თეორიის თვალსაზრისით ისრაელის ომს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მისი გამოცდილება მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების არმიებმა შეისწავლეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მცირერიცხოვან ქვეყანას, თუნდაც მტრებით იყოს გარშემორტყმული, საბრძოლო მოქმედებების წარმატებით წარმოება შეუძლია, თუკი ყველაფერი სწორად ექნება გათვლილი.

ლალი პაპასკირი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პუტინი ევროპას უტევს

## რუსეთის სპეცსამსახურების მარცხი ჩეხეთში

საქართველოში ერთადერთი საკითხი, რომელზეც ერიც და ბერიც ერთსულოვანია NATO-ს სრულფასოვანი წევრობაა. ბუქარესტში მიღებული, ცოტა არ იყოს, აბსტრაქტული დაპირება — საქართველო და უკრაინა NATO-ს წევრები გახდებიანო, რეალურ აღსრულებას მოითხოვს. ამის ერთ-ერთი წინა პირობა კი 2008 წლის დეკემბერში ჩვენთვის მაპ-ის მიღება იქნება.

ამის საპირისპიროდ რუსეთის ხელისუფლება ცდილობს აშკარა და ფარული მეთოდებით გზა გადაუკეტოს საქართველოსა და უკრაინას NATO-სკენ. დღეს იმ ფარულ ოპერატიულ-აგენტურულ ოპერაციებზე მოგითხრობთ, რომლებსაც რუსეთის სპეცსამსახურები ატარებენ.

რუსეთთან ომის დროს საქართველოს გვერდით მეზობელ და „მოძმე“ ქვეყნებზე მეტად აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიისპირეთის ქვეყნები დადგნენ. დღეს სწორედ ისინი არიან რუსეთის სპეცსამსახურების შეტევის მთავარი ობიექტი.

ეს ქვეყანა უპირველესად ჩეხეთია, რომელიც 90-იანი წლების დასაწყისიდანაა რუსეთის სპეცსამსახურების სამიზნე. როგორც ირკვევა, რუსეთის სპეცსამსახურების ხელშია 1990 წელს საბჭოთა კა-გე-ბეს მიერ იმდროინდელი ჩეხოსლოვაკიიდან გატანილი უშიშროების სამინისტროს ოპერატიულ მონაცემთა ბაზის დიდი ნაწილი, მათ შორის საიდუმლო ინფორმაცია ამ ქვეყნის 30 ათას მოქალაქეზე. ასე რომ, „მიდექი და იცურავე“.

ჩეხეთის კონტრდაზვერვის ოფიციალურმა ინფორმაციამ ძალაუნებურად დიდი ქართველი კლასიკოსის სიტყვები: „ერთს ბედს ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ“ გაგვახსენა. მათი ცნობით, ჩეხეთში რუსეთის საელჩოს თანამშრომლების ნახევარი, ანუ 30 კაცი, რუსეთის სპეცსამსახურების თანამშრომლები ყოფილან. მათი მთავარი ამოცანა NATO-ს საიდუმლო ინფორმაციის მოპოვება, ჩეხეთი-აშშ-ის ურთიერთობის გაფუჭება და რუსეთის ეკონომიკური ინტერესების ლობირებაა. ამისთვის ისინი ცდილობენ ჩეხეთის პოლიტიკურ ელიტაში, მასმედიაში, ასევე სტრატეგიული დარგებისა და



საწარმოების ხელმძღვანელობაში საკუთარი აგენტურის გაყვანას.

რუსეთის სპეცსამსახურების მნიშვნელოვანი ამოცანაა ჩეხეთის NATO-ს საწინააღმდეგო პლაცდარმად გამოყენება. რუსეთმა ჩეხეთში შექმნა ერთგვარი სადაზვერვო ბაზა NATO-ს წევრი ქვეყნების წინააღმდეგ სამუშაოდ. ამ ჯაშუშურ ქსელში გაერთიანებული არიან როგორც დიპლომატის საფარქვეშ მოქმედი საგარეო დაზვერვის სამსახურისა და გე-ერუს მზვერავები, ასევე საელჩოს ტექნიკური პერსონალი და არალეგალური აგენტები. რუსი ჯაშუშები მჭიდროდ „თანამშრომლობენ“ ჩეხეთში კარგად ფეხმოკიდებულ რუსულ მაფიასთან. განვლილ პერიოდში ჩეხეთის ხელისუფლება რატომღაც საოცარი სიმშვიდით უყურებდა რუსი მზვერავების აქტიურ საქმიანობას. მართლაც, თუ 1991-1999 წლებში გერმანიიდან 150, საფრანგეთიდან — 82, დიდი ბრიტანეთიდან — 37, პოლონეთიდან კი 11 რუსი ჯაშუში გააძევეს, ჩეხეთიდან მხოლოდ ერთი.

ჩეხეთის პრემიერ-მინისტრი მირეკ ტოპოლეკი შეშფოთებას ვერ მალავდა, როცა ჩეხეთის მთავარი სპეცსამსახურის „ინფორმაციისა და უშიშროების სამსახურის“ (BIS) ყოველწლიურ მოხსენებას გაეცნო. ირკვევა, რომ რუსეთის საგარეო დაზვერვა და გე-ერ-უ (სამხედრო დაზვერვა) ზეაქტიურად მოქმედებენ ამ ქვეყანაში. ისინი ცდილობენ მოსახლეობა ანტიამერიკულად განაწყონ და ხელი შეუშალონ აშშ-ის რადარების ჩეხეთში განლაგებას. ამ მიზნის მისაღწევად ისინი ორგანიზებას უკეთებენ მრავალათასიან საპროტესტო აქციებსა და დემონსტრაციებს.

ჩეხეთის ამ სპეცსამსახურის ინფორმაციით, 2007 წელს მათ გამოავლინეს მასმედიაში, აგრეთვე საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციებში რუსეთის აგენტურული შეღწევის მრავალი მცდელობა.

გარდა ამისა, რუსი მზვერავების ერთ-ერთი ამოცანა ჩეხეთში რუსეთის დადებითი იმიჯის შექმნაა, ამიტომაც ისინი ფულს არ იშურებენ ათასგვარი კულტურული და სპორტული ღონისძიებების მოსაწყობად. ძნელი სათქმელია, რას მიაღწევენ რუსი „მზვერავ-პიარშჩიკები“, თუმცა თუ ახლო კომუნისტურ წარსულს გავიხსენებთ, მათთვის ძნელი იქნება ჩეხებს თავი შეაყვარონ, რადგანაც ყველას კარგად ახსოვს 1968 წლის „პრაღის გაზაფხული“ და საბჭოთა (იგივე რუსული) ტანკებით სისხლში ჩახშობილი დემოკრატია. არც საბჭოთა კავშირი-ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტთა გუნდების დაპირისპირება (რომელიც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა უფრო იყო, ვიდრე სპორტი) დავიწყებიათ ჩეხებს.

ეს ისტორია საოცრად ჰგავს საქართველოს გუშინდელ და დღევანდელ რეალობას. ჩეხებმა მოასწრეს და NATO-ს ქოლგას შეაფარეს თავი, რუსეთი ცდილობს, რომ ეს საქართველოსთვის აუხდენელ ოცნებად დარჩეს.

### რუსეთის დეზინფორმაციული ომი

ცხინვალის რეგიონში განვითარებული მოვლენების შემდეგ დღე არ გავა, საქართველოს საწინააღმდეგო დეზინფორმაცია არ გაავრცელონ რუსეთის სპეცსამსახურებმა. ჩვენი ქვეყანა და ქართველი პოლიტიკოსები ადრეც მრავალჯერ გამხდარან მათი დეზინფორმაციული შეტევების ობიექტი.

ჩვიდმეტი წელია რუსეთის სატელევიზიო არხებსა და პრესაში, რუსეთის ხელმძღვანელობის დავალებით, სისტემატურად ვრცელდება სპეცსამსახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურების მიერ მომზადებული „დეზა“ (დეზინფორმაცია — შემოკლებით „დეზა“) საქართველოსა და ქართველების წინააღმდეგ. ქართველი პოლიტიკოსების პიროვნული შეურაცხყოფის უკან მთელი ქართველი ერის დამცირების სურვილი იმალება. ეს დაუფარავი ბრძოლა სხვა, მით უფრო მცირერიცხოვანი ერების წინააღმდეგ, ისტორიულად რუსეთის საგარეო და საშინაო პოლიტიკის ქვაკუთხედი იყო. მათი განსაკუთრებული „სიყვარული“ და „ყურადღება“ საქართველოსადმი სახეზეა. გავიხსენოთ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ძველი და ახალი მოვლენები, როდესაც დეზინფორმაციული მუშაობის შედეგად სიმართლე სიცრუით შეიცვალა.

დეზინფორმაცია ჯერ საბჭოთა კავშირის, შემდეგ კი რუსეთის სპეცსამსახურების მუშაობის ერთ-ერთი უმთავრესი მეთოდი და ამავე დროს „ფარული ომის“ მძლავრი იარაღი იყო და არის. რუსეთის სპეცსამსახურებში კარგად იციან, რომ საწყისი მასალა მაქსიმალურად დამაჯერებელი უნდა იყოს. თუ 90% სიმართლეს 10% ტყუილთან შევაზავებთ, დეზინფორმაციის დამაჯერებლობის ხარისხი ძალზე მაღალი იქნება. ამასთან, რაც უფრო სენსაციური იქნება „ფაქტი“, საინფორმაციო საშუალებები მით უფრო სწრაფად და ფართოდ გაავრცელებენ მას. „დეზას“ გადამოწმების დროს, რაც უფრო ძნელდება ტყუილის პირველწყარომდე მისვლა და სიმართლის დადგენა, მით უფრო მაღალ შეფასებას იმსახურებენ ოპერაციის შემსრულებლები.

ამავე დროს რუსეთის სპეცსამსახურები ცდილობენ დეზას გასავრცელებლად გამოიყენონ მაქსიმალურად დიდტირაჟიანი გაზეთები, პოპულარული ტელეარხები და სოლიდური საინფორმაციო სააგენტოები.

თუმცა რუსული პროპაგანდის გასავრცელებლად არც ანტიგლობალისტების, მწვანეების და ე.წ. სამშვიდობო მოძრაობების გამოყენებას ერიდებიან.

ჯერ კიდევ ავადსახსენებელი კა-გე-ბე იყენებდა საერთაშორისო ორგანიზაცია „მშვიდობის მსოფლიო საბჭოს“ დეზინფორმაციის გასავრცელებლად. ამ შემთხვევაში ცნობილი ჭეშმარიტება — „ვინც ფულს იხდის, მუსიკასაც ის უკვეთს“ — წარმატებით მოქმედებდა, რადგან ამ ორგანიზაციის დაფინანსების 90%-ს საბჭოთა კავშირზე მოდიოდა. დაფინანსების სანაცვლოდ კი საბჭოთა


ალექსანდრე ზდანოვიჩი

სპეცსამსახურები ამომწურავად იყენებდნენ ამ მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი საერთაშორისო ორგანიზაციის ოპერატიულ რესურსებს.

რუსეთის ეფ-ეს-ბესა და გე-ერ-უს საკმაოდ მაღალი კვალიფიკაციის ანალიტიკოსები ჰყავს, რომელთაგან ბევრს ძველი კა-გე-ბეს სკოლა აქვს გავლილი და რა გასაკვირია, რომ კვლავ ძველი გზით მიდიან და დეზინფორმაციის ჩვეული მეთოდების გამოყენებას ცდილობენ.

რუსული დეზინფორმაციის მთავარი გამავრცელებლები უპირველესად გაზეთები, რადიო და ტელეარხები არიან. ამ მხრივ განსაკუთრებით რუსეთის ხელისუფლების კონტროლირებადი ტელევიზიები გამოირჩევიან (თუმცა რუსეთში დამოუკიდებელი გაზეთი და ტელეარხი სადღა დარჩა?). ეს არცაა გასაკვირი, რადგანაც 2002 წელს რუსეთის სახელმწიფო ტელერადიოკომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, ვლადიმირ პუტინის გადაწყვეტილებით, დაინიშნა გენერალ-ლეიტენანტი ალექსანდრ ზდანოვიჩი, რომელიც მანამდე წლების განმავლობაში ეფ-ეს-ბეს პრესსამსახურს ხელმძღვანელობდა. ახალ სამსახურში ზდანოვიჩი უკვე ე.წ. „მოქმედი რეზერვის ოფიცრად“ (ოდეერად) გვევლინება და ოფიციალურად მისი მთავარი მოვალეობაა უსაფრთხოების დაცვა და სპეციალური პროექტების განხორციელება. ეს კი სწორედ ის დეზინფორმაციული პროექტებია, რომელსაც რუსეთის ხელისუფლება მსოფლიო საზოგადოებრიობის მოსატყუებლად თხზავს.

ვფიქრობთ, ორად ორი მაგალითიც კი საკმარისი იქნება რუსეთის სპეცსამსახურების „დეზინფორმაციულ ფანტაზიებში“ გასარკვევად.

მიმდინარე წლის სექტემბრის შუა რიცხვებში რუსეთის საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს „სენსაციური“ ცნობა იმის შესახებ, თითქოს ცხინვალში ისრაელის მოქალაქე 1000 ებრაელი ინსტრუქტორი ქართულ სამხედრო ფორმებში გადაცმული იბრძოდა. ხოლო 30 სექტემბერს მორიგი დეზინფორმაცია დადეს ინტერნეტში — თითქოს ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდებს საქართველოში დაღუპული ამერიკელი ინსტრუქტორების ცხედრები გადაჰქონდათ.

## რუსეთის სპეცსამსახურებმა საინფორმაციო ომი საფრანგეთის ტერიტორიაზე გადაიტანეს

რუსეთის ხელისუფლებამ თავისი საინფორმაციო საშუალებები საკმარისად რომ აღარ ჩათვალა, ევროპელების შეცდომაში შეყვანა გადაწყვიტა და დეზინფორმაციის ჩვეულ მეთოდებს მიმართა.

სექტემბრის შუა რიცხვებში პარიზში მემარცხენე-ლიბერალური შეხედულებებით გამორჩეულ გაზეთ „ლიბერასიონის“ რედაქციაში ელეგანტურად ჩაცმული მამაკაცი მივიდა და ოდნავი რუსული აქცენტით სარეკლამო განცხადების გამოქვეყნება ითხოვა. მეოთხედი გვერდის მოცულობის განცხადება აუცილებლად 16 სექტემბერს უნდა დაბეჭდილიყო. მომსვლელი თანახმა იყო საკმაოდ დიდი თანხა — 9 ათასი ევრო გადაეხადა.

„ლიბერასიონი“ შედარებით ახალგაზრდა გაზეთია, ის 1973 წელს დააფუძნეს გამომცემელმა სერჟ ჟიულიმ და ცნობილმა ფრანგმა ფილოსოფოსმა ჟან-პოლ სარტრმა. მისი ტირაჟი 200000 აღწევს. ამჟამად მისი მფლობელი ედუარდ დე როტშილდია. ბოლო წლებში გაზეთი ფინანსურ კრიზისს განიცდიდა და შემოსავლების მნიშვნელოვანი წყარო სარეკლამო განცხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებების განთავსება იყო.

### როგორ გაშიფრა „ლიბერასიონმა" რუსეთის დაზვერვა

რუსეთის საგარეო დაზვერვის ამ ოპერაციაში ყველაზე საინტერესო სარეკლამო განცხადების ტექსტი გახლდათ. პარიზში რუსეთის საელჩოს რეზიდენტურაში მომზადებულ განცხადებაში რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულთა სამძიმრის სიტყვებს „თბილისის რეჟიმის თავდასხმის" დაგმობა და კრიტიკა მოჰყვებოდა. ტექსტს თან ცხინვალის დანგრეული შენობების ფოტოებიც ახლდა, რასაც ხაზი უნდა გაესვა ქართველების სისასტიკისთვის.

ყველაფერ ამას კი პოლიტიკური შეფასებები აგვირგვინებდა, სადაც რუსეთი მხსნელად და მშვიდობის „მტრედად" იყო გამოყვანილი, ხოლო საქართველო კი პირსისხლიან აგრესორად.

რუსეთის საელჩოს თანამშრომლის მიტანილი განცხადება აშკარად სცილდებოდა სარეკლამო ტექსტის ფორმატს და აშკარად დეზინფორმაციული ხასიათი ჰქონდა. საელჩოს რეზიდენტურაში მომზადებული ეს დეზა ფრანგული გაზეთის მთავარმა რედაქტორმა დიდიე პურკერმა სამართლიანად მიიჩნია რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკურ აქციად და განცხადების გამოქვეყნებაზე უარი განაცხადა.

„100.000 ევროც რომ შემოეთავაზებინათ, ჩვენ ამ პოლიტიკურ განცხადებას მაინც არ დავბეჭდავდით, — განაცხადა სარედაქციო კოლეგიის ერთ-ერთმა წევრმა ფრანსუა სერჟანმა, — მართალია, ფინანსურად გვიჭირს, მაგრამ ყველაფერი ხომ ფულზე არ იყიდება!" — დასძინა მან.

ფრანგული გაზეთის პოზიციას რუსეთში მხარი ერთადერთმა რუსულმა ინტერნეტსაიტმა დაუჭირა, დანარჩენებმა დაამახინჯეს რედკოლეგიის პოზიცია. რუსეთის სპეცსამსახურების „რუპორებმა" საინფორმაციო სააგენტო „ნოვოსტის" მეთაურობით, „ლიბერასიონი" ათასგვარ ცოდვაში დაადანაშაულეს.

ჩანს, სხვა ფრანგული გაზეთის — „ფიგაროს" კურტიზანული ჩვევები „ლიბერასიონს", საბედნიეროდ, ჯერ არ გადასდებია.

### „ფიგარო" სახელწოდებას ამართლებს

„ფიგარო" რომ საფრანგეთში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ყოველდღიური გაზეთია, ამას მტკიცება არ სჭირდება. ის 1826 წლის 15 იანვარს დაარსდა და ამჟამად თითქმის 400000 ტირაჟით გამოდის. მთავარი რედაქტორი ეტიენ მუჟეა, ხოლო მისი მფლობელი ფრანგი მილიარდერი სერჟ დასო, რომელიც საკმაოდ კონსერვატორული პოლიტიკური შეხედულებებით გამოირჩევა.

მართალია, გაზეთს ფინანსურად არ უჭირს, მაინც „ოცდაათ ვერცხლად" შეიძლება მისი ყიდვა. უფრო სწორად, 21000 ევროდ. ზუსტად ამდენი გადაიხადა რუსეთის დაზვერვამ ერთ პატარა „სარეკლამო განცხადებაში", სინამდვილეში კი დეზინფორმაციულ ტექსტში, რომელიც უკრაინის პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოს წინააღმდეგ იყო მიმართული.

სექტემბრის დასაწყისში „ფიგაროში" სარეკლამო ტექსტის ფორმატით გამოქვეყნდა ოცამდე უკრაინელი მეცნიერის, პოლიტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის ღია მიმართვა იუშჩენკოსდამი. ისინი მთელი ევროპის გასაგონად ათას ცოდვაში სდებდნენ ბრალს უკრაინის პრეზიდენტს. განცხადების აშკარა პოლიტიკურ-დეზინფორმაციული ხასიათის მიუხედავად, გაზეთმა ტექსტი მაინც დაბეჭდა, რამაც უდიდესი სიხარული გამოიწვია... რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურში, სადაც სავარაუდოდ დაიწერა კიდეც. როგორც შემდგომ გაირკვა, თვით მიმართვის ხელმომწერთა უმრავლესობამ ტექსტის შინაარსი ბოლომდე არც კი იცოდა.

მასალა, რომელიც პარიზში რუსეთის საელჩოს თანხით დაიბეჭდა, გამოსაქვეყნებლად მოამზადა რუსეთის სპეცსამსახურებთან დაახლოებულმა პოლიტოლოგმა, ამჟამად კი სათათბიროს დეპუტატმა, საქართველოსა და უკრაინის „დიდმა მეგობარმა" სერგეი მარკოვმა.

თუ ორივე ზემომოყვანილ ფაქტს ერთმანეთს შევადარებთ, დავრწმუნდებით, რომ საბედნიეროდ ყველაფერი არ იყიდება, მით უმეტეს, რუსეთის სპეცსამსახურების დეზინფორმაცია.

ბესიკ ალადაშვილი

მხარდაჭერა
ქართულ წარმოებას!!!
„კვირის პალიტრის" მედია სახლი
ისევ თქვენს გვერდითაა
და საქართველოში შექმნილი
რთული პირობების გამო
გთავაზობთ უპრეცედენტო ფასდაკლებას
ქართული პროდუქციის რეკლამის განთავსებაზე

რადიო „პალიტრაში"
FM 103.9
და ღლეისთვის ყველაზე
წარმატებულ ჟურნალებში
„გზა" და „არსენალი"
რეკლამის ღირებულება
მინუს ფასდაკლება
საბაზო
ტარიფებიდან და
-50%
იოსებიძის 49
37-78-07; 38-78-70

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამერიკული ტანკსაწინააღმდეგო საშუალებები

ჟურნალის წინა ნომერში ჩვენ ის ამერიკული ჰაერსაწინააღმდეგო საშუალებები განვიხილეთ, რომლებიც მალე, შესაძლოა, საქართველოს ცის სადარაჯოზე დადგნენ. ამჯერად კი გვინდა მკითხველს გავაცნოთ ის ტანკსაწინააღმდეგო საშუალებები, რომლებიც დღეს აშშ-ის არმიის განკარგულებაშია და რომლებიც არც ისე შორეულ მომავალში, შესაძლოა, საქართველოს გადმოეცეს.





ყუმბარსატყორცნი M72 LAW, რომლის დანიშნულებაა მოკლე დისტანციებზე დაჯავშნული სამიზნეებისა და გამაგრებული ობიექტების განადგურება, გასული საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევარში შეიქმნა. აშშ-ის არმიამ სწორედ მაშინ გამოაცხადა კონკურსი ინდივიდუალური მოხმარების მსუბუქი ტანკსაწინააღმდეგო საშუალების შექმნაზე.

სისტემა LAW-ზე (Light Anti-Tank Weapon — მსუბუქი ტანკსაწინააღმდეგო საშუალება) მუშაობა 1958 წლის თებერვალში ამერიკულმა ფირმა Hesse Eastern Co-მ დაიწყო, 1959 წელს სისტემამ პირველი გამოცდა გაიარა, 1961 წლის მარტში კი, ოფიციალური ნიშნულით M72 LAW, აშშ-ის არმიამ შეიარაღებაში მიიღო. მისი სერიული წარმოება ფირმა Talley Defense Systems-მა გააგრძელა.



ახალი იარაღის შექმნის კონცეფციას საფუძვლად დაედო ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელების შექმნილი ერთჯერადი ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნი Panzerfaust-ი. აშშ-მა განავრცო გერმანელების იდეა და პირველმა გამოიყენა გასაშლელი სატრანსპორტო-გამშვები კონტეინერი, რომელიც ბრძოლისას ყუმბარას საიმედოდ იცავდა.

M72 LAW ერთჯერადი გამოყენებისაა. კუმულაციური ჯავშანგამტანი ქობინის მქონე რეაქტიული ყუმბარას მას ქარხანაშივე უყენებენ. თავად ტელესკოპური ტიპის გასაშლელი გამშვები კონ-

M72 გასაშლელი სატრანსპორტო-გამშვები კონტეინერის მქონე მსოფლიოში პირველი ყუმბარსატყორცნია



უძრავი სამიზნის შემთხვევაში M72-ის გამოყენების ეფექტური მანძილი 200მ-ია, მოძრავის შემთხვევაში კი — 165



ეროვნული ბიბლიოთეკა



კომპლექსის მოხმარება როგორც სტაციონარულ ასევე მობილურ ვარიანტში შეიძლება

ცი სამიზნის გახსნა. შემდგომ მსროლელი ყუმბარსატყორცნს მხარზე იდებს და გამშვები კლავიშის მეშვეობით რაკეტას უშვებს. გასროლისას რაკეტის სიჩქარე, რომლის სიგრძეც 508 მმ-ია, კალიბრი კი — 66 მმ, საწყისი სიჩქარე 145მ/წმ-ს შეადგენს, შემდგომ კი ის 170-200მ/წმ-მდე იზრდება.

რეაქტიული ყუმბარა M54-ის მყარსაწვავიანი ძრავა მუხტს მთლიანად გამშვები მილის შიგნით ხარჯავს და ფრენისას რაკეტის სტაბილიზება კუდის გასაშლელი ფრთასხმულობით ხდება. უძრავი სამიზნეების წინააღმდეგ M72-ტეინერის ლულას კუთხვილები არ აქვს. ის ორი მილისგან შედგება — შიდა — ალუმინისა და გარეთა — მინაპლასტიკის. დაკეცილი ყუმბარსატყორცნის სიგრძე 655 მმ-ია, გაშლილის კი — 899 მმ. ყუმბარსატყორცნის კორპუსზე გამშვები დანადგარი და ღია მექანიკური სამიზნე მაგრდება.

არასაბრძოლო მდგომარეობაში რეაქტიული ყუმბარა ალუმინის მილის შიგნით არის, რომელიც, თავის მხრივ, გარე მინაპლასტიკის მილის უკანა ნაწილშია მოთავსებული. ორივე მხრიდან გამშვები მილის ბოლოები სარქვლებითაა დაცული, რითაც ის სატრანსპორტო კონტეინერის როლს ასრულებს. სროლის წინ სარქვლები იღება და შიდა მილი გარე მილიდან უკანა მხარეს იწევა. ამავე დროს ავტომატურად ხდება საცემი მექანიზმის შეყენება და დასაკე-



ტანკებისგან თავდაცვის მიზნით ამერიკელი საზღვაო ქვეითები კომპლექს TOW-ს ქვეითთა საბრძოლო მანქანა Bredley-ზე ამონტაჟებენ



მოდიფიკაციიდან გამომდინარე, TOW-ს რაკეტის ფრენის მანძილი 3750მ-მდე აღწევს



3750მ-მდე დისტანციაზე მას 600მმ-იანი ჯავშნის გახვრეტა შეუძლია

ეროვნული ბიბლიოთეკა



ყუმბარსატყორცნი SRAW ერთჯერადი გამოყენებისა



ის გამოყენების ეფექტიანი მანძილი 200მ-ს შეადგენს, მოძრავი სამიზნის შემთხვევაში კი — 165მ-ს. თავად M18-ის ტიპის ჭურვის ჯავშანგამტანობა 305 მმ-ია.

გაშვების შემდეგ კონტეინერს, რომლის წონაც რაკეტასთან ერთად 3.45კგ-ს შეადგენს, აგდებენ. იმის გამო, რომ M72-ის ლულა (გამშვები მილი) უკნიდან ღიაა, გასროლისას მსროლელის უკან წარმოქმნილი სახიფათო ზონის სიღრმე 15მ-ს აღწევს.

აშშ-ის არმია M72-ებს ინტენსიურად იყენებდა ვიეტნამის ომში. ამჟამად აშშ-ის არმიაში M72 LAW-ის სერიის ყუმბარსატყორცნები უფრო ეფექტიანი ერთჯერადი M136-ებითაა (აშშ-ში ლიცენზირებულად წარმოებული შვედური ყუმბარსატყორცნი Bofors AT4) შეცვლილი.

M72-ის სერიული წარმოება Improved LAW ვარიანტით დღესაც მიმდინარეობს, რომელიც წინამორბედი მოდიფიკაციებისგან უფრო ძლიერი ძრავათი და საბრძოლო ქობინით განსხვავდება. 2005 წლიდან კი იწარმოება მოდერნიზებული M72 E10.

თუ M72-ს შევაფასებთ კრიტერიუმით „ფასი-ეფექტიანობა“, ის საკმაოდ ძლიერი და ეფექტიანი იარაღია. მისი ფასი დაახლოებით 1.000 დოლარია და დიდად აღემატება ყველაზე უბრალო ჯავშანმანქანის ფასსაც კი, რომლის განადგურებაც მისი საშუალებით შეიძლება.

ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსი TOW ამერიკულმა ფირმა Hughes-მა შექმნა. შეიარაღებაში 1969 წელს მიღებული კომპლექსი დღეს აშშ-ის არმიის ძირითადი ტანკსაწინააღმდეგო საშუალებაა. გასროლის შემდეგ რაკეტის მართვა, რომლის სიგრძეც 1.174 მ-ია, დიამეტრი კი — 152 მმ,



ახლო დისტანციებზე SRAW-ი Javelin-ის ნაცვლად გამოიყენება

მავთულების საშუალებით ხდება, რის გამოც კომპლექსის რაკეტა BGM-71A თავის კლასში ამგვარი სახით მართვადი ყველაზე მძიმე საშუალებაა. მისი წონა 22.5კგ-ს შეადგენს, საიდანაც 3.9კგ კუმულაციური ტიპის საბრძოლო ქობინზე მოდის. კომპლექსის BGM-71-ის ტიპის რაკეტის ფრენის მანძილი 1000მ-ს შეადგენს, რაც მართვის სისტემის სახეობითაა განპირობებული. ამ დისტანციაზე მისი ჯავშანგამტანობა 600 მმ-ია, ფრენის მაქსიმალური სიჩქარე კი — 1124კმ/სთ.

შექმნის შემდგომ კომპლექსმა არაერთხელ გაიარა მოდერნიზება. 1976 წელს კომპანია Hughes-მა შექმნა მოდერნიზებული რაკეტა BGM-71B Extended-Range TOW, რომლის ფრენის მანძილიც 3750 მ-მდე იყო გაზრდილი. 1981 წელს კი შეიქმნა მოდიფიკაცია BGM-71C Improved TOW, რომლის გამოყენებაც ევროპაში საბჭოთა ტანკების გასანადგურებლად სურდათ. პოტენციური მოწინააღმდეგის მიერ კომპოზიციური ჯავშნის გამოყენების საპასუხოდ 1983 წელს შეიქმნა კომპლექსი TOW-2. რეაქტიული ჯავშნის საწინააღმდეგოდ კი 1986 წლიდან სერიულ წარმოებაში მოდერნიზებული რაკეტები BGM-71E და BGM-71F ჩაუშვეს, — შესაბამისად, კომპლექსები TOW-2A და TOW-2B. TOW-2A-ზე ტანდემური ტიპის საბრძოლო ქობინია გამოყენებული. მისი კუმულაციური საბრძოლო ქობინი TOW-2-სგანაა აღებული. რაკეტის წინა ნაწილზე დამაგრებულ ბუნიკში 38მმ-ის დიამეტრის დამატებითი 300გ-იანი კუმულაციური ქობინი თავსდება, რომელიც ძირი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თადისგან 300მმ-ის დისტანციაზეა განთავსებული. მიზნის დინამიკურ დაცვასთან შეხებისას ჯერ ბუნიკში არსებული საბრძოლო ქობინი ფეთქდება, შემდეგ კი დაუცველ ჯავშანს 5.89კგ-იანი ძირითადი საბრძოლო ქობინი ხვდება.

კომპლექსის შემდეგი მოდიფიკაცია TOW-2B რაკეტის შეთანწყობის მიხედვით წინას ანალოგიურია, ოღონდ ის ნახევრად ავტომატურ რეჟიმში იმართება და ლაზერული მანძილმზომითაა აღჭურვილი. უკანასკნელი ორივე მოდიფიკაციის რაკეტის ფრენის მანძილი 3750მ-ს შეადგენს, სიგრძე — 1280 (TOW-2A) და 1219მმ-ს (TOW-2B), ფრენის ხანგრძლივობა მაქსიმალურ დისტანციაზე კი 20-21წმ-ს.

რაკეტებს M151 და M220-ის (მხოლოდ TOW-2-ის სერიების შემთხვევაში გამოიყენება) ტიპის დანადგარებიდან უშვებენ. მათი გამოყენება სტაციონარულ (საბჭოთა СПГ-9-ის მსგავსად) და მობილურ ვარიანტში შეიძლება. ამ უკანასკნელის შემთხვევაში გამშვები დანადგარის დამონტაჟება M113-ის ტიპის ჯავშანტრანსპორტიორზე (მოდიფიკაცია M113 APC), მაღალი გამავლობის HUMMER-სა და ჯიპებზეა შესაძლებელი. გარდა ამისა, ტანკებისგან თავდაცვის მიზნით ამ კომპლექსებს ამერიკულ ქვეითთა საბრძოლო მანქანა Bradley-სა და ჯავშანტრანსპორტიორ M1134 Stryker-ზე აყენებენ.

რაკეტის დამიზნების სისტემიდან მავთულების ამოღებით ავტომატურად იხსნება რაკეტის ფრენის სიჩქარესა და დისტანციაზე დადებული შეზღუდვა, რომელიც მავთულის კოჭიდან გაშლის მექანიზმის არსებობითაა განპირობებული.

1988 წელს მილიმეტრულ დიაპაზონში მომუშავე სხივით მართვადი რაკეტის პირველი საცდელი გაშვება ჩატარდა.

1991 წელს კომპლექსი TOW სპარსეთის ყურეში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში გამოიყენეს და საკმაოდ ეფექტიანადაც. დასავლელი ექსპერტების მონაცემებით, საზღვაო ქვეითების მხოლოდ ერთმა ჯგუფმა 120 რაკეტის გამოყენებით ერაყელების 93 დაჯავშნული სამიზნე გაანადგურა.

კომპლექსის მოდერნიზაცია დღესაც გრძელდება. შეიქმნა ახალი გამშვები დანადგარი ITAS-ი, რომელშიც გაერთიანებულია ახალი კომბინირებული სამიზნე, ლაზერული მანძილმზომი და რაკეტის მართვის გაუმჯობესებული აპარატურა.

არსებული მონაცემებით, 2000 წლისთვის გამოშვებულ იქნა კომპლექს TOW-ს ყველა მოდიფიკაციის 600 ათასზე მეტი რაკეტა. დღეისთვის ის ალბანეთის, არგენტინის, ბოტსვანის, კანადის, კოლუმბიის, დანიის, ეგვიპტის, ეთიოპიის, ფინეთის, გერმანიის, საბერძნეთის, უნგრეთის, ირანის, ისრაელის, იტალიის, იაპონიის, იორდანიის, ქუვეითის, ლიტვის, მაროკოს, ლუქსემბურგის, პაკისტანის, პორტუგალიის, საუდის არაბეთის, ესპანეთის, სამხრეთ კორეის, შვედეთის, შვეიცარიის, ტაივანის, ტაილანდის, თურქეთის, არაბთა გაერთიანებული საამიროების, დიდი ბრიტანეთის, აშშ-ის, ვიეტნამისა და იემენის შეიარაღებაშია.

ყუმბარსატყორცნი SRAW ამავე დასახელების პროგრამის ფარგლებში (Short-Range Assault Weapon — ახლო მოქმედების საიერიშო იარაღი) აშშ-ის საზღვაო კორპუსის ინიციატივით შეიქმნა. მას M72 LAW-ის ტიპის ყუმბარსატყორცნი უნდა შეეცვალა.

1990-1993 წლებში ახალი იარაღის (რომელსაც იმ დროისთვის უკვე ჰქონდა ნიშნული FGM-172) შექმნაზე ერთდროულად რამდენიმე ფირმა მუშაობდა. მისი წარმოების უფლება კი კორპორაცია Loral-ს ერგო. დღეს მას ფირმა Lockheed Martin-ი აწარმოებს.

კომპლექსი SRAW (მას მეორე სახელწოდებაც აქვს — Predator-ი), თავდაპირველად აშშ-ის საზღვაო ქვეითებისთვის შეიქმნა როგორც ახლო მოქმედების ტანკსაწინააღმდეგო საშუალება. აღნიშნულ დისტანციაზე ის კომპლექს Javelin-ის ნაცვლად უნდა გამოეყენებინათ. თუმც მოგვიანებით სახმელეთო ჯარებმა მის ბაზაზე ინდივიდუალური გამოყენების იარაღი შეუკვეთეს, რომლითაც საველე საფორტიფიკაციო ნაგებობებისა და მსუბუქად შეჯავშნული (ქვეითთა საბრძოლო მან-



მოქმედების პრინციპის წყალობით კომპლექსი Javelin-ი გადარჩენის შანსს არც ერთ ტანკს არ უტოვებს


არსენალი
JAVELIN

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქანა, ჯავშანტრანსპორტიორი) სამიზნეების განადგურება იქნებოდა შესაძლებელი.

1997 წელს კომპლექსის გამოცდა დაიწყო. წელიწად-ნახევრის შემდეგ კი ის შეიარაღებაში მიიღეს.

ყუმბარსატყორცნი SRAW ერთჯერადი გამოყენებისაა. მას გარედან ცილინდრისებრი პლასტიკური კონტეინერის ფორმა აქვს. სატრანსპორტო-გამშვები კონტეინერი, რომლის სიგრძე 890 მმ-ია, ორივე მხრიდან დახუფულია, მას რაკეტით ქარხანაში აღჭურავენ. გარედან კონტეინერზე მაგრდება სახელური მისი ტრანსპორტირებისთვის, ოპტიკური სამიზნე და გამშვები ელექტრომაგნიტური მოწყობილობა. კომპლექსის მოქმედების ეფექტიანი მანძილი 400 მ-ია.



დღეისთვის კომპლექსი Javelin-ი აშშ-ის გარდა 15 ქვეყნის შეიარაღებაშია



კომპლექსის რაკეტას, რომლის სიგრძეც 325.6 მმ-ია, ორსაფეხურიანი ძრავა აქვს. პირველი (სასტარტო) საფეხური რაკეტის კონტეინერიდან 25მ/წმ-ის სიჩქარით უსაფრთხო გაშვებას უზრუნველყოფს. გამომავალი აირების დაბალი სიჩქარე, რომლებსაც დამატებით გამშვები კონტეინერის უკანა მხარეს არსებული ხუფი აჩერებს, SRAW-ს დახურული სივრციდან სროლის საშუალებას იძლევა. მეორე (სამარშო) საფეხური კი მსროლელისგან 5მ-ის მანძილზე ირთვება. ის რაკეტას 125მ-ის დისტანციაზე 300მ/წმ-ის ტოლ სიჩქარემდე აჩქარებს. რაკეტის წონა 3.116კგ-ს შეადგენს (მთლიანად კომპლექსისა — 9კგ-ს), სადანაც 2.34კგ საბრძოლო ქობინზე მოდის.

რაკეტას დამიზნების ინერციული სისტემა აქვს, რისი წყალობითაც მსროლელს არ სჭირდება ქარის სიჩქარისა და ჰაერის ტემპერატურის გათვალისწინება — ავტოპილოტი რაკეტას სროლისას არჩეულ ტრაექტორიაზე აჩერებს. თუ სამიზნე მოძრავია, მაშინ სამიზნეს მარკერით ორი წამის განმავლობაში უნდა გასცილდეს და უკვე შემდეგ გაუშვას რაკეტა, რომლის კალიბრიც 140.5 მმ-ია. ამ შემთხვევაში ავტოპილოტი ავტომატურად ანგარიშობს სამიზნესთან შეხვედრის კუთხეს. ამგვარად, კომპლექსი SRAW „გაისროლე და დაივიწყეს" პრინციპის მიხედვით შექმნილი ინდივიდუალური გამოყენების პირველი იარაღია.

ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსი Javelin-ი ამ სახის შეიარაღების მესამე თაობის წარმომადგენელია.



ერთ-ერთი გამოცდისას Javelin-ის რაკეტამ სამიზნედ მდგარი T-72 ნაცარტუტად აქცია

აშშ-ის არმიის დავალებით მასზე მუშაობა 1986 წელს ფირმა Javelin Joint Venture-მა დაიწყო და მას პროგრამა AAWS-M-ის (Advanced Anti-tank System Medium — საშუალო დისტანციის თანამედროვე ტანკსაწინააღმდეგო სისტემა) ფარგლებში ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსი M47 Dragon-ი უნდა შეეცვალა. კომპლექსის სრულყოფას რამდენიმე წელი დასჭირდა, რის შემდეგაც დაიწყო მისი საფრენოსნო გამოცდა. სამიზნეებად ამერიკული M-60 და საბჭოთა T-62 და T-72-ის ტიპის ტანკები იყვნენ. ერთ-ერთი გამოცდისას კომპლექსის რაკეტამ T-72-ის ტიპის ტანკი ნაცარტუტად აქცია.



ერთი მანქანის სახურავზე მდებარე ნაკვეთურში 4 რაკეტაა განთავსებული

1966 წელს კომპლექსი Javelin-ი შეიარაღებაში მიიღეს. მეორე თაობის კომპლექსებისგან განსხვავებით, რომელთა გაშვების შემდეგ ოპერატორი ადგილზე რჩება და რაკეტას უმიზნებს, Javelin-ში რეალიზებულია პრინციპი „გაისროლე და დაივიწყე", რაც ოპერატორს გასროლის შემდეგ პოზიციის შეცვლის საშუალებას აძლევს.

კომპლექსის, რომლის საერთო წონა 22.5კგ-ია, სატრანსპორტო-გამშვები კონტეინერი (სიგრძე 1198 მმ, წონა 4.1კგ), ინფრაწითელი დამიზნების მქონე რაკეტა და სამიზნე მოწყობილობა (წონა 6.36კგ) შედის. Javelin-ის რაკეტის სიგრძე 108.2 მმ-ია, წონა კი — 11.8 კგ, საიდანაც 8.4 კგ ტანდემური ტიპის კუმულაციურ ქობინზე მოდის. ფრენისას რაკეტის სტაბილიზება სტაბილიზატორებით ხდება, რომლებიც გაშვების შემდეგ ავტომატურად იშლება.

კომპლექსის სამიზნე მოწყობილობას კომბინირებული დღედამური სამიზნე აქვს. დღის სამიზნე ოთხმაგი გადიდებ-ის ოპტიკითაა აღჭურვილი. ღამის სამიზნე ინფრაწითელ დიაპაზონში მუშაობს და სამიზნის აღმოჩენას სითბური კვალის საშუალებით ახდენს. მუშაობის რეჟიმიდან გამომდინარე, ის ოთხ ან ცხრამაგ გადიდებას უზრუნველყოფს.

Javelin-ის გასროლა ასე ხდება: ოპერატორი სამიზნე მოწყობილობის საშუალებით აღმოაჩენს სამიზნეს და მას ოპტიკური სამიზნის მარკერს ამთხვევს. შემდეგ რაკეტის თვითმიზნებად თავზე გადაერთვება, რომელსაც უფრო ვიწრო მოქმედების არეალი აქვს. ვიდეოეკრანზე კურსორით სამიზნის მონიშვნისა და მისი დაჭერის შემდეგ, ოპერატორი რაკეტას უშვებს.

გასროლა ორ რეჟიმში შეიძლება: პიკირების რეჟიმში (პიკირების კუთხე $45^0$) და შეტევა ჰორიზონტალურ სიბრტყეში. ამ უკანასკნელს ბუნკერების, გამაგრებული სანგრებისა და დაბალ სიმაღლეზე ჩამოკიდებული შვეულმფრენების გასანადგურებლად იყენებენ.

ტანკების გასანადგურებლად კი პირველი რეჟიმი გამოიყენება. ოპერატორი რაკეტას ჰორიზონტალის მიმართ 18-გრადუსიანი კუთხით ზევით ისვრის. რაკეტის კონტეინერიდან გამოტყორცნა დენთის მუხტის საშუალებით ხდება, შემდეგ ირთვება სამარშო ძრავა (ფრენის მაქსიმალური სიჩქარე 300მ/წმ) და რაკეტა 150მ-ის სიმაღლეზე ასვლის შემდეგ სამიზნეზე პიკირებს. რადგან ნებისმიერი ტანკის დაცულობა ზემო პროექციაში შუბლა ჯავშანთან შედარებით გაცილებით ნაკლებია, კომპლექსი Javelin-ი გადარჩენის შანს არც ერთ ტანკს, მით უმეტეს, ჯავშანმანქანებს არ უტოვებს. ფრენისას რაკეტით მართვა ძრავას წევის ვექტორის ცვლილებით ხდება. რაკეტის მოქმედების დისტანცია 50-2500მ-ის ფარგლებში ვარირებს. ამ დისტანციებზე მას 750 მმ-ის სისქის ჯავშნის გახვრეტა შეუძლია.



ყველა წინამორბედი კომპლექსისგან განსხვავებით LOSAT-ი ტანკს კინეტიკური ენერგიის ხარჯზე ანადგურებს

რაკეტის სტარტისას გამოყოფილი მცირე დამწვარი აირის წყალობით Javelin-ის გაშვება ოთახიდანაც შეიძლება. როგორც წესი, კომპლექსს 1-2 კაცი ემსახურება, მის გასასროლად სულ 30წმ-ია საჭირო.

კომპლექსის შექმნისა და წარმოების ღირებულებამ 5 მილიარდი დოლარი შეადგინა. დღეს ერთი კომპლექსის ფასი 800.00 დოლარია. 2005 წლამდე სულ 9000 ერთეული გამოუშვეს.

ამჟამად კომპლექსი Javelin-ი აშშ-ის გარდა ავსტრალიის (92 გამშვები მოწყობილობა), ბაჰრეინის (13 გამშვები მოწყობილობა), კანადის (200 გამშ-



ვები მოწყობილობა და 840 რაკეტა), ჩეხეთის (3 გამშვები მოწყობილობა და 12 რაკეტა), ლიტვის (30 გამშვები მოწყობილობა), მექსიკის (140 გამშვები მოწყობილობა და 780 რაკეტა), ახალი ზელანდიის (24 გამშვები მოწყობილობა და 120 რაკეტა), ნორვეგიის (100 გამშვები მოწყობილობა და 526 რაკეტა), ირლანდიის (36 გამშვები მოწყობილობა), ტაივანის (40 გამშვები მოწყობილობა და 360 რაკეტა), იორდანიის (30 გამშვები მოწყობილობა და 110 რაკეტა), ესპანეთის (12 გამშვები მოწყობილობა), ჰოლანდიის (240 გამშვები მოწყობილობა), დიდი ბრიტანეთისა და არაბთა გაერთიანებული საამიროების შეიარაღებაშია.

ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსი LOSAT-ი ტანკებთან ბრძოლის საშუალებებში ამერიკული ტექნოლოგიის ერთ-ერთი ბოლო სიტყვაა. ფირმა Lockheed Martin-ის მიერ შექმნილ კომპლექს LOSAT-ს (Line-Of-Sight Anti-Tank — ვიზირების ხაზზე მოქმედი ტანკსაწინააღმდეგო კომპლექსი) ნებისმიერი ტანკის განადგურება შეუძლია. წინამორბედი ტანკსაწინააღმდეგო კომპლექსებისგან განსხვავებით ის სამიზნეს კინეტიკური ენერგიის ხარჯზე ანადგურებს.

LOSAT-ის შექმნას წინ 1988 წელს აშშ-ის არმიის ინიციატივით დაწყებული პროგრამა AAWS-H (Advanced Anti-Tank Weapon System – Heavy — თანამედროვე მძიმე ტანკსაწინააღმდეგო საშუალება) უძღოდა, რომელიც მიზნად სახმელეთო ბაზირების ახალი ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსის შექმნას ისახავდა. სამხედროების ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნად მისი ჰაერით გადატანის შესაძლებლობა იყო. მალე ამ პროგრამის ფარგლებში შეიქმნა რაკეტა KEM-ი, რომელიც სამიზნეს კინეტიკური ენერგიის ხარჯზე ანადგურებს.

რაკეტის სიგრძე 2.87მ-ს, დიამეტრი 0.16მ-ს, მასა კი 79კგ-ს შეადგენს. განცვიფრებას იწვევს მისი ფრენის სიჩქარე, რომელიც 1.5კმ/წმ-ს (5400კმ/სთ) უტოლდება. მოქმედების მაქსიმალური დისტანციის დასაფარავად, რომელიც დაახლოებით 4500კმ-ს შეადგენს, მას მხოლოდ 3 წმ სჭირდება. ამასთან, რაკეტას არც კუმულაციური და ფუგასური ტიპის საბრძოლო ქობინები აქვს. მიზნის განადგურება კი დიდი სიჩქარისა და რაკეტის ცხვირში არსებული ჯავშანგამტანი გულარის (სავარაუდოდ, ის გაღარიბებული ურანისგან ან ვოლფრამისგან უნდა იყოს დამზადებული) წყალობით ხდება.

სისტემა LOSAT-ი მაღალი გამავლობის HUMMER-ზეა დამონტაჟებული, ამიტომაც მისი გადატანა ჰაერითაც შეიძლება (წონა 5500კგ). რაკეტების გარდა, კომპლექსის შემადგენლობაშია სამიზნის აღმომჩენი ბლოკი წინხედვის ინფრაწითელი და ვიდეომაჩვენებელით, რისი წყალობითაც სისტემა თითქმის ავტონომიურ რეჟიმში მუშაობს. ერთ მანქანაზე ჭერში მდებარე ნაკვეთურში ოთხი რაკეტაა განთავსებული. კომპლექსს 2-3 კაცი ემსახურება.

კომპლექსის შექმნა არც ისე იოლი იყო, რის გამოც პირველი საცდელი გაშვება მხოლოდ 1997 წელს შედგა. მალე აშშ-ის არმიამ ფირმასთან 9.3 მილიონ დოლარად ღირებული კონტრაქტი გააფორმა 12 კომპლექსისა და 144 რაკეტის წარმოებაზე, რომელთა მიწოდებაც 2003 წელს დასრულდა და ისინი აშშ-ის არმიის საპარაშუტო-სადესანტო ქვეითი პოლკის შეიარაღებაში შევიდნენ.

მალე კომპლექს LOSAT-ის რაკეტას მოდერნიზაცია ჩაუტარდა. მწარმოებლების თქმით, ახალი CKEM-ის ტიპის რაკეტის წყალობით კომპლექსი, რომლის გამოყენება ტანკების გარდა დაბალ სიმაღლეზე მფრენი შვეულმფრენებისა და საინჟინრო ნაგებობების გასანადგურებლადაც შეიძლება, წინამორბედზე გაცილებით ეფექტიანი იქნება.

ამჟამად ინფორმაცია რაკეტა CKEM-ის ზუსტ მახასიათებლებზე მიუწვდომელია, მაგრამ თუ საპროექტო მახასიათებლებს ვენდობით, მისი მასა 24-29კგ-ია, სიგრძე 1.2-1.8მ, ფრენის მაქსიმალური მანძილი 5კმ, ჯავშანგამტანი გულარის ენერგია კი 10მგჯ-ს აღემატება.

კომპლექსის გამოცდა 2007 წელს დაიწყო. თუ გამოცდა წარმატებით გაიარა, სერიულ წარმოებაში მას 2012 წელს ჩაუშვებენ.

*თემურ პულუზაშვილი*

**თუ LOSAT-ის გამოცდებმა წარმატებით ჩაიარა, მას შეიარაღებაში 2012 წელს მიიღებენ**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# პრაქტიკული სროლა

## ოსტატობის საიდუმლოებანი

პრაქტიკული სროლა სასროლო სპორტის ერთ-ერთი ყველაზე სახალისო სახეობაა. მისი შეჯიბრებები მეტად სანახაობრივი, დინამიკურია და დღესასწაულს ჰგავს. შეჯიბრებაზე პისტოლეტებსა და რევოლვერებს, გლუვლულიან იარაღსა და გადაჭრილ კარაბინებს ისვრიან. პისტოლეტის სროლის ტექნიკა ყველაზე მეტად საინტერესო და რთულია. ალბათ, ძნელად მოიძებნება სპორტის სახეობა, რომელიც ამგვარ ნერვების დაძაბვას, ინტელექტის კონცენტრაციასა და სპორტსმენის ენერგიის ხარჯვას მოითხოვს.

**(დასაწყისი იხ. „არსენალი“, №14-20)**

ჩვენ უკვე შევისწავლეთ, პისტოლეტის სწრაფად დაძრობა და დამიზნებითი სროლით მიზნის განადგურება. პირველი გასროლისა და პირველი სამიზნის განადგურების შემდეგ, ცეცხლი შემდეგ სამიზნეზე უნდა გადაიტანოთ. იარაღის გადატანა სროლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია.

მსროლელს, შესაძლოა, ეგონოს, რომ იარაღის გადატანა სამიზნიდან სამიზნეზე იოლად შესასრულებელი მოქმედებაა, მაგრამ ასე სულაც არ არის. იარაღის გადატანის დრო ის „ფუჭი“ დროა ორ გასროლას შორის, რომელიც მინიმუმამდე უნდა შეამციროთ. ამით არსებითად მცირდება გასროლათა სერიის საერთო დრო.

იარაღი რომ სწორად გადაიტანოთ, აუცილებელია რამდენიმე მოქმედების შესრულება:

1. ერთი სამიზნის განადგურების შემდეგ პირველად თვალები ამოძრავდება და შემდეგ სამიზნის მოსახვედრ წერტილზე ფოკუსირდება;

2. შემდეგ მსროლელი კორპუსით მობრუნდება და პისტოლეტს მზერით უკვე ფოკუსირებულ სამიზნეზე სწორი ხაზით გადაიტანს.

გადატანისას სასხლეტი შეყენებულია. ნიშნისა და დამიზნების წერტილის შეფარდებისას სასხლეტს დაუშვებთ და გაისვრით.

თუ შემდეგი სამინზე მსროლელის მხედველობის არეშია, ჯერ თვალები ამოძრავდება, შემდეგ კი კორპუსიც თვალებთან ერთად.

თუ შემდეგი სამიზნე მსროლელის მხედველობის არეს გარეთაა, მაშინ ჯერ თავს მოაბრუნებს, შემდეგ კი კორპუსს პისტოლეტთან ერთად. იარაღის გადატანისას ხელის მტევნები, წინამხრები, მხრები, ზურგი თანამიმდევრულად, ტანკის კოშკურასავით მოძრაობს. სასხლეტიდან თითის მოშორება გადატანისას აუცილებელი არ არის.

სწრაფ გადატანაში გავარჯიშებისას თავდაპირველად ზედმიწევნით უნდა დაიცვათ მოქმედებათა თანამიმდევრობა: პირველად ამოძრავდება თვალები ან თავი, შემდეგ კორპუსი. რატომ — პირველად თვალები? იარაღის გადატანისას ძირითადი შეცდომაა პისტოლეტის მიზანზე აცილება. თუკი პისტოლეტის გადატანისას მსროლელს მზერა დასამიზნებელ მოწყობილობაზე ექნება ფოკუსირებული, გაცილებით გაუჭირდება მისი სამიზნის ცენტრში „დამუხრუჭება“. როცა მზერა პისტოლეტის მოძრაობას წინ უსწრებს, მაშინ ცენტრზე აცილების ალბათობა გაცილებით მცირდება.



ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც უნდა იყოს სამიზნეები განლაგებული, იარაღის გადატანა ყოველთვის წრფეზე, პირდაპირი ტრაექტორიით ხდება. წრფე უმოკლესი მანძილია ორ წერტილს შორის.

პირველ ხანებში ეს ორი მოქმედება (თვალების მოძრაობა და გადატანა) ერთმანეთისგან განცალკევებული იქნება. რამდენიმედღიანი წვრთნის შემდეგ თქვენი მოძრაობები ჰარმონიული და თანამიმდევრული გახდება და იარაღსაც სწრაფად და ზუსტად გადაიტანთ.

ხშირად ვარჯიშისას არის მომენტები, როცა იარაღის გადატანა მსროლელს მისგან მარჯვნივ და მარცხნივ განთავსებულ სამიზნეებს შორის უწევს. ასეთ შემთხვევაში დამიზნების ორ ხაზს შორის კუთხემ, შესაძლოა, 180 გრადუსი შეადგინოს. ასეთი „ფართო" გადატანისას პისტოლეტმა ნახევარწრე უნდა მოხაზოს, რომ სამიზნეს მისწვდეს.

გამოცდილი მსროლელები ამ დროს პისტოლეტს მისი რკალის ცენტრალურ ნაწილში მოძრაობისას ოდნავ თავისკენ მიიზიდავენ. ტრაექტორიის ბოლო ნაწილში პისტოლეტი მკვეთრად კი არ შეჩერდება მიზანზე, არამედ წესისამებრ დაემიზნება. ამიტომაც მსროლელს აქვს შანსი გასროლამდე გაასწოროს დასამიზნებელი მოწყობილობა ისე, რომ იარაღის გადატანის სიჩქარე არ შეანელოს. გადატანის ამ ხერხის გამოყენებით პისტოლეტის გაკონტროლება უფრო ადვილია. გადატანის ეს ხერხი უფრო ხშირად გამოიყენება ახლო და საშუალო დისტანციებზე განთავსებული ღია სამიზნეების განადგურებისთვის.

### სამიზნიდან სამიზნეზე იარაღის გადატანის მეთოდიკის დამუშავება

სამიზნე რომ სწრაფად გაანადგუროთ, უნდა გახსოვდეთ: იარაღის გადატანა სწრაფად და ენერგიულად უნდა მოხდეს, გასროლა კი — ზედმიწევნით აკურატულად. ყველა სავარჯიშო ზუსტად და ყურადღებით შეასრულეთ. ერიდეთ აცდენებს. თუ ნიშანს ვერ ხედავთ, არ ისროლოთ! მაშინაც კი, თუ სამიზნე ახლოსაა. მსროლელმა თითოეული გასროლა და მიზანში მოხვედრა ყურადღებით უნდა გააკონტროლოს. ადამიანის შესაძლებლობების ზღვარს თუ გავითვალისწინებთ, მსროლელს შეუძლია ისეთი სისწრაფით სროლა, რამდენად სწრაფადაც მოძრაობს მისი თვალები. ამიტომაც იარაღის გადატანისა და სროლის სისწრაფის გასაზრდელად ყოველ თავისუფალ დროს თვალები ავარჯიშეთ.

### სავარჯიშო №16. თვალების მოძრაობის სისწრაფისთვის

ასრულებენ უიარაღოდ. ტაიმერის გარეშე. სავარჯიშო სამიზნიდან სამიზნეზე მზერის სწრაფად გადატანის გავარჯიშებას ისახავს მიზნად. შინ, საძინებელში (რა თქმა უნდა, მეუღლის თანხმობით) თქვენი საწოლის პირდაპირ დაამაგრეთ სამიზნეების შემცირებული ასლები. გაღვიძების შემდეგ და ძილის წინ მზერა პირველიდან მეორეზე გადაიტანეთ, ამასთან, მზერა თითოეული სამიზნის ცენტრზე უნდა გქონდეთ ფოკუსირებული. ასევე შეგიძლიათ ივარჯიშოთ ოფისში და საამისოდ შენობაში არსებული საგნები გამოიყენოთ. გახსოვდეთ, თვალები არ უნდა დაგეღალოთ. ხშირად შეისვენეთ, თვალები დაახამხამეთ, დაასვენეთ.

### სავარჯიშო №17ა. იარაღის გადატანა

ასრულებენ ფუჭი ტყვიებით. ტაიმერის გარეშე. მსროლელის წინ ოთხი სამიზნეა, მარცხნიდან მარჯვნივ დანომრილი: მ1, მ2, მ3, მ4. ორ ცენტრალურ — მ2 და მ3 სამიზნეებს მიმართულებას შორის კუთხე 40-60 გრადუსს შეადგენს, მ1 და მ4-ისა — 90-120 გრადუსს. გახსოვდეთ: „ფუჭი" ვარჯიში ტყვიაგაუმტარი კედლის მოპირდაპირე მხარეს უნდა შეასრულოთ. იარაღი და მჭიდი დაუტენავია. თუ სამოსამსახურო იარაღი გაქვთ, ნუ დაიზარებთ და მჭიდები დაცალეთ.

სასტარტო პოზიცია. მსროლელი დგას პირით სამიზნეებისკენ. ხელები ჩამოშვებული აქვს. დაუტენავი პისტოლეტი ბუდეში დევს.

შესრულების წესი. პირველი ეტაპი. მსროლელი დააძრობს იარაღს და მ2-ზე სროლის იმიტაციას ახდენს. შემდეგ თავის მოუბრუნებლად გადაიტანს მზერას მ3-ზე, იარაღი გადააქვს და ესვრის. გასროლის შემდეგ არ უნდა შეჩერდეთ. ისევ გადაგაქვთ მზერა მ2-ზე, იარაღსაც გადაიტანთ და კიდევ ერთხ-



ელ მოახდენთ სროლის იმიტაციას. გაიმეორეთ 10-12-ჯერ. როცა დაღლილობას იგრძნობთ, პისტოლეტი ბუდეში მოათავსეთ და კუნთები მოადუნეთ.

მეორე ეტაპი. მსროლელი იმეორებს სავარჯიშოს, ოღონდ ამჯერად მ1 და მ4 სამიზნეებზე. ამ ეტაპზე თავდაპირველად მსროლელი მოაბრუნებს თავს, მზერას სამიზნეზე გადაიტანს, შემდეგ იარაღს და სროლის იმიტაციას ახდენს. იარაღის ფართო გაქანებით გადატანისას უფრო მოხერხებული იქნება სავარჯიშოს შესრულება, თუ ფეხებს მუხლებში ოდნავ მოხრით. ეს კორპუსს თავისუფლებას მისცემს. ტერფების მდგომარეობა იარაღის გადატანისას არ იცვლება.

მესამე ეტაპი. მსროლელი იმეორებს სავარჯიშოს, თანამიმდევრობით გადააქვს იარაღი ხელიდან ხელში და ოთხივე სამიზნეს აქეთ-იქით, ასეთი თანამიმდევრობით ესვრის: მ1 — მ2 — მ3 — მ4— მ3 — მ2 — მ1 — მ2 — მ3 — მ4.

ყველა ეტაპი უნდა შეასრულოთ რამდენჯერმე, პისტოლეტის ორივე ხელით დაჭერით, შემდეგ სუსტი და ძლიერი ხელებით. არ იჩქაროთ. ყველა მოქმედება თანამიმდევრულად, უშეცდომოდ შეასრულეთ და ტემპი თანდათან გაზარდეთ. სროლის იმიტირებისას, სამიზნე მოწყობილობა აუცილებლად





უნდა გაუსწოროთ ნიშანს და დაამუშაოთ სასხლეტის მდგომარეობა. წარმოიდგინეთ, რომ ნამდვილ ტყვიებს ისვრით. ორმაგი და ორდინარული პისტოლეტების სროლისას კაუჭს იმ ძალით უნდა დააწვეთ, რომელიც საკმარისია ჩახმახის დასაცემად.

## სავარჯიშო №17. სროლასთან ერთად პისტოლეტის გადატანა

ასრულებენ ვაზნებითა და ტაიმერით. საჭიროა 20-მეტრიანი სასროლი მოედანი. თუკი მოედანი 20 მეტრზე პატარაა, მაშინ სამიზნეები რაც შეიძლება შორ-შორს განალაგეთ ერთმანეთისგან. გახსოვდეთ, ფოლადის სამიზნეებს შორის მანძილი 8 მეტრზე ნაკლები არ უნდა იყოს. სამიზნეები ისევეა განთავსებული, როგორც სავარჯიშო №17ა შესრულებისას. ამ სავარჯიშოსათვის უფრო გამოდგება გონგები — 20-30სმ დიამეტრის ფოლადის თეფშები. თვალი ადევნეთ, რომ ფოლადის სამიზნის სიბრტყე სროლის მიმართულების პერპენდიკულარული იყოს. ამით თავიდან აიცილებთ რიკოშეტს. სამიზნეებს რიგითი ნომრები უნდა მიანიჭოთ: მ1, მ2, მ3, მ4. ეს სავარჯიშო უმჯობესია №17ა-ს შემდეგ შეასრულოთ.

სავარჯიშოს სქემა. მოედანზე ოთხი სამიზნე მარაოსებურად დგას.

სასტარტო პოზიცია. მსროლელი დგას პირით სამიზნისკენ. ხელები ჩამოშვებული აქვს. დატენილი პისტოლეტი ბუდეშია, ვაზნა — სავაზნეში, დამცველზე.

შესრულების წესი. პირველი ეტაპი. ხმოვანი სიგნალის შემდეგ მსროლელი დააძრობს პისტოლეტს და ესვრის მ2-ს. შემდეგ თავის მოუბრუნებლად მზერა გადააქვს მ3-ზე, პისტოლეტს გადაიტანს და ესვრის მ3-ს. მზერა ისევ მ2-ზე გადააქვს, იმავდროულად გადაიტანს პისტოლეტსაც და ესვრის. დამიზნება პირველი ვარიანტით ხდება (იხ. თავი „გასროლა“). სამიზნებს ესვრის მანამ, სანამ მჭიდში ვაზნები არ გამოილევა (10-2 გასროლა). შემდეგ იარაღიდან მჭიდს ამოიღებს. მაშინაც კი, თუკი დარწმუნებულია, რომ პისტოლეტი დაუტენავია, საკეტი ორჯერ გადაატრიალეთ და ჩახმახის საკონტროლო დაცემა გააკეთეთ. შემდეგ ისევ დატენეთ პისტოლეტი და გადადით შემდეგ ეტაპზე.

მეორე ეტაპი. მსროლელი იმეორებს სავარჯიშოს, ამჯერად მ1 და მ4 სამიზნეზეა ორიენტირებული. ამ ეტაპზე მსროლელი ჯერ მოაბრუნებს თავს, მზერას სამიზნეზე გადაიტანს, შემდეგ იარაღს დაუმიზნებს და ესვრის. იარაღის ერთი სამიზნიდან მეორეზე ფართო კუთხით გადატანისას მუხლები ოდნავ მოხარეთ. ეს კორპუსს მეტ თავისუფლებას მიანიჭებს. ტერფების მდგომარეობა იარაღის გადატანისას არ იცვლება. მოქმედება ფეხების „გადახლართვის“ ხარჯზე ხდება.

მესამე ეტაპი. მსროლელი იარაღს დაუმიზნებს და ესვრის ოთხივე სამიზნეს ამ თანამიმდევრობით: მ1 — მ2 — მ3 — მ4 — მ3 — მ2 — მ1 — მ2 — მ3 — მ4.

ყველა ეტაპზე პისტოლეტი ორივე ხელით გიჭირავთ, შემდეგ სუსტი და ძლიერი ხელებით. არ იჩქაროთ. ყველა მოქმედება გულმოდგინედ, უშეცდომოდ, ტემპის თანდათან გაზრდით გააკეთეთ. გახსოვდეთ, იარაღი იმისთვის გადაგაქვთ, რომ სამიზნე გაანადგუროთ. ამიტომაც გულმოდგინედ დაამუშავეთ თითოეული გასროლა. თუ ააცილეთ, მაშინ აუცილებლად გაიმეორეთ გასროლა და სამიზნე გაანადგურეთ.

ტაიმერზე შეამოწმეთ შედეგები. ის გიჩვენებთ ყველა შუალედს გასროლებს შორის. როცა სავარჯიშოს დაასრულებთ, გასროლების ბოლო სერიის შედეგები საკონტროლო ცხრილში შეიტანეთ.

## სავარჯიშო №18ა. იარაღის თვალდახუჭული გადატანა

სავარჯიშო მოძრაობის კოორდინაციის, კუნთების მეხსიერებისა და ცნობიერების განვითარებას ითვალისწინებს. სამიზნეები საჭირო არ არის.

სასტარტო პოზიცია. მსროლელი ღია ფერის კედლისკენ ან სასროლეთზე ტყვიადამცავი კედლისკენ პირით დგას. დაუტენავი პისტოლეტი ორივე ხელით უჭირავს მზის წნულის დონეზე, ლულით — კედლისკენ, იდაყვებით სხეულის გვერდებს ეხება.

შესრულების წესი. ასწიეთ პისტოლეტი იმ დონემდე, რომელიც ოპტიმალურად გეჩვენებათ სროლისათვის და გაასწორეთ დასამიზნებელი მოწყობილობა, ისე, რომ არსაით არ დაუმიზნოთ. დახუჭეთ თვალი და პისტოლეტი 20 გრადუსით მარჯვნივ, ჰორიზონტალზე გადაიტანეთ. თვალები გაახილეთ და დარწმუნდით, გასწორებულია თუ არა დასამიზნებელი მოწყობილობა. იგივე გაიმეორეთ, ოღონდ 20 გრადუსით მარცხნივ. დაუძაბავად და უემოციოდ იმუშავეთ. უნდა მიაღწიოთ იმას, რომ დახუჭული თვალებით პისტოლეტის გადატანის შემდეგ დასამიზნებელი მოწყობილობა გასწორებულია. გადატანის კუთხე 90 გრადუსამდე გაზარდეთ მარცხნივ და მარჯვნივ. არ დაგავიწყდეთ დამიზნების ხაზის შენარჩუნება.

ეს სავარჯიშო რომ კარგად შეითვისოთ, დაუმიზნეთ პისტოლეტი დამიზნების ცენტრს, თვალები დახუჭეთ და 90 გრადუსით მარცხნივ შეტრიალდით, შემდეგ თვალების აუხელლად იგივე მარჯვნივ გაიმეორეთ. შეამოწმეთ, ხომ არ ასცდით დამიზნების ხაზს. თუ არა, ე.ი. მიუხედავად მზერის მიმართულებისა, შეგიძლიათ პისტოლეტის სწორად დაჭერა თქვენსა და სამიზნეს შორის.

## სავარჯიშო 19ა. მაქოსებრი გადატანა

ასრულებენ ვაზნებითა და ტაიმერით. სავარჯიშოს დანიშნულებაა პისტო-



ეროვნული ბიბლიოთეკა



ლეტის გადატანის ტექნიკის სრულყოფა, ასევე ყურადღებისა და მეხსიერების გავარჯიშება. ამ სავარჯიშოსათვის აუცილებელია 20მ-იანი სასროლი მოედანი. თუ მოედანი უფრო პატარაა, სამიზნეები ერთმანეთისგან რაც შეიძლება შორს განათავსეთ, რის საშუალებასაც მოედანი მოგცემთ. გახსოვდეთ: ფოლადის სამიზნეებამდე მანძილი 8მ-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. სამიზნე გარემო ისეთივეა, როგორიც სავარჯიშო №17-ში, ოღონდ ცენტრში ერთი სამიზნე ემატება. ამ სავარჯიშოსთვის უფრო კარგი იქნება გონგები — ფოლადის 20-30სმ-იანი თეფშები. სამიზნეებს პირობითად მიანიჭებენ რიგობით ნომრებს მ1, მ2, მ3, მ4, მ5.

სასტარტო პოზიცია. მსროლელი დგას პირით სამიზნეებისკენ. ხელები ჩამოშვებული აქვს. დატენილი პისტოლეტი ბუდეშია, ვაზნები — სავაზნეში, დამცველზე.

შესრულების წესი. პირველი ეტაპი. ხმოვანი სიგნალის შემდეგ მსროლელი დააძრობს იარაღს და სამიზნეებს შემდეგი თანამიმდევრობით ანადგურებს: მ1 — მ2 — მ1 — მ4 — მ1 — მ5 — მ1 — მმ4 — მ1 — მ3 — მ1 — მ2 — მ1. სამიზნეები ამ მაქოსებრი მეთოდით მანამდე უნდა გაანადგუროთ, სანამ ვაზნები არ გაგითავდებათ. ბოლოს განმუხტული იარაღი ბუდეში მოათავსეთ. მერე ისევ დატენეთ და შემდეგ ეტაპზე გადადით.

მეორე ეტაპი. მსროლელი იმეორებს სავარჯიშოს, ოღონდ სროლის სხვა თანამიმდევრობით: მ5 — მ4 — მ5 — მ3 — მ5 — მ2 — მ5 — მ1 — მ5 — მ2 — მ5 — მ3 — მ5 — მ4 — მ5.

ორივე ეტაპი რამდენჯერმე უნდა შეასრულოთ პისტოლეტის ორივე ხელით დაჭერით, შემდეგ კი სუსტი და ძლიერი ხელებით. არ იჩქაროთ. ყველა მოქმედება თანამიმდევრულად, გულმოდგინედ დაამუშავეთ, თანდათან ტემპიც გაზარდეთ.

გახსოვდეთ, პისტოლეტის გადატანა სამიზნეების გასანადგურებლად არის საჭირო. ამიტომაც ზედმიწევნით დაამუშავეთ თითოეული გასროლა. თუ ააცილებთ, გაიმეორეთ გასროლა და სამიზნე გაანადგურეთ. გასროლების ყოველი სერიის შემდეგ აღნიშნეთ ეტაპების შესრულების დრო და შეუდარეთ წინა შედეგს.

## სავარჯიშო №20. მოკლე დისტანციაზე იარაღის ფართო კუთხით გადატანა

ასრულებენ ვაზნებით. ტაიმერით. სავარჯიშოს დანიშნულებაა საშუალო და მოკლე დისტანციებზე არსებულ გვერდით სამიზნეებს შორის იარაღის გადატანის დამუშავება. მსროლელის მარჯვნივ და მარცხნივ, 5-7 მეტრის დაშორებით, დგას ორი მუყაოს სამიზნე. სამიზნეზე მიმართულებებს შორის კუთხე 150-160 გრადუსს უნდა შეადგენდეს (არა უმეტეს 180 გრადუსისა). ამ სავარჯიშოს შესრულება აუცილებელია მხოლოდ სასროლ მოედანზე, რომელსაც ტყვიადამცავი კედლები აკრავს გარს. სავარჯიშოს შესულება რეკომენდებულია ოდნავ მოხრილი მუხლებით. ეს კორპუსს მეტ თავისუფლებას მიანიჭებს მობრუნებისას. ყურადღებით იყავით სავარჯიშოს შესრულებისას, 180-გრადუსიანი კუთხე არ დაირღვეს.

სასტარტო პოზიცია. მსროლელი დგას პირით სროლის მიმართულებისკენ. დატენილი პისტოლეტი ბუდეშია, ვაზნები — სავაზნეში, დამცველზე. სამიზნეები მსროლელისგან მარჯვნივ და მარცხნივ, სიმეტრიულად უნდა განათავსოთ.

შესრულების წესი. ხმოვანი სიგნალისთანავე მსროლელი დააძრობს პისტოლეტს, ერთ-ერთი სამიზნისაკენ შეტრიალდება და ისვრის. შემდეგ მობრუნდება და მეორე სამიზნეს ანადგურებს. შეუჩერებლად იარაღი გადააქვს წინა სამიზნეზე და ერთი გასროლით ანადგურებს. ისვრის, სანამ ვაზნები არ გაუთავდება. სავარჯიშოს დასრულების შემდეგ იარაღიდან მჭიდს ამოიღებს და პისტოლეტს ბუდეში ათავსებს.

მსროლელის შებრუნებისას კორპუსის ზედა ნაწილი უძრავად უნდა ჰქონდეს. მობრუნება ფეხების „გადახლართვის“ ხარჯზე ხდება. ტერფები უძრავადაა. ამ დროს მსროლელს პისტოლეტი წრიულად კი არ გადააქვს, არამედ ოდნავ მისწევს კორპუსისკენ, მოძრაობის ტრაექტორიის შუაში. ტრაექტორიის ბოლოს კი გასწევს სამიზნისაკენ. პისტოლეტი კორპუსთან ძალიან ახლოს არ უნდა მიიტანოთ, არ გადაამეტოთ. სამიზნე მხოლოდ ზონა „ა“-ში უნდა გაანადგუროთ. გასროლების ყოველი სერიის შემდეგ შეამოწმეთ დრო გასროლებს შორის. ჩაატარეთ ექსპერიმენტი. დაცალეთ ერთი მჭიდი, ისე, რომ პისტოლეტი კორპუსისკენ არ მისწიოთ. შემდეგ მეორე მჭიდი, ოღონდ პისტოლეტი კორპუსთან ახლოს იყოს. შეადარეთ დრო და სროლის სიზუსტე.

გაიმეორეთ სავარჯიშო ძლიერი და სუსტი ხელებით. თუ უშეცდომოდ შეასრულებთ, შეცვალეთ სამიზნეზე მიმართულებებს შორის კუთხე და მანძილი. არ უნდა შეეჩვიოთ ერთი და იმავე პირობებს.

ბოლო სერიების შედეგები ცხრილში შეიტანეთ.

## დამახასიათებელი შეცდომები და მათი აღკვეთის მეთოდები

იარაღის გადატანისას დაშვებული შეცდომების გამოსწორება შეიძლება იმ მეთოდიის ზედმიწევნით დაცვით, რომელიც ზემოთ არის აღწერილი.

ყველაზე ხშირი და ძნელად გამოსასწორებელი შეცდომაა მსროლელის კუნთების რეაქცია მოსალოდნელ გასროლაზე. მის გამოსასწორებლად ხანგრძლივი და მუდმივი მუშაობაა საჭირო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



„არსენალი“ ცდილობს სულ უფრო და უფრო საინტერესო იყოს მკითხველისათვის, ამიტომ გთავაზობთ ახალ რუბრიკას, რომელშიც განვიხილავთ ზოგადად ომების ისტორიას კონკრეტული ბრძოლების მაგალითზე, რომლებიც VI-XV სს-ებში გაიმართა. ვინაიდან თემა ძალიან ტევადია, რუბრიკა გაგრძელებებით იბეჭდება.

# კავალერიის როლი შუა საუკუნეებში

## გაგრძელება

ომი არის ფიზიკური, ინტელექტუალური და მორალური ძალების დაპირისპირება, რომლის დროსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება შეიარაღებასა და ბრძოლის ტაქტიკას. თანამედროვე სამხედრო ხელოვნება, რომელიც საკმაოდ განებივრებულია ტექნიკური მიღწევების გამოყენებით, დიდად განსხვავდება მისი განვითარების პირველი საფეხურებისაგან. საბრძოლო ხელოვნების განვითარების საწყის ეტაპზე მთავარი და უმნიშვნელოვანესი როლი ადამიანის ფიზიკურ შესაძლებლობებს ენიჭებოდა. სამხედრო ტაქტიკა სამხედრო ხელოვნების შემადგენელი ნაწილია, რომელიც არმიის თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას გულისხმობს. საბრძოლო ხელოვნების ისტორიის მანძილზე ის გამუდმებით იცვლებოდა, რასაც ადამიანთა კულტურული თუ ტექნიკური ევოლუცია განაპირობებდა...

### საბრძოლო რესურსები

შუა საუკუნეების საბრძოლო რესურსებზე საუბრისას პირველ რიგში ყურდღება ცოცხალ ძალაზე უნდა გამახვილდეს, რომლის მომზადებისა და დისციპლინის საკითხი ძალზე არასახარბიელო ვითარებაში იყო.

შუა საუკუნეებში მოქმედებდა განსაზღვრული წესრიგი, იერარქია, სუბორდინაცია, ბრძანების მორჩილების ცნება, მაგრამ დისციპლინის თანამედროვე — უსიტყვო მორჩილების გაგება, პრაქტიკულად, არ არსებობდა. დისციპლინა, რომელიც დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების, თვითნებობისა და ეგოისტური მიდრეკილებების აღმოფხვრას ემსახურება, შუა საუკუნეებისათვის სრულიად უცხო რამ გახლდათ. ფეოდელური წყობა დამოუკიდებლობის საოცარი გრძნობით სულდგმულობდა. ნობილს, რომელსაც თავის მამულში ყველასა და ყველაფრის ბატონ-პატრონად მიაჩნდა თავი, ხშირად არ სურდა თავი დაეხარა მიწიერი უზენაესი ავტორიტეტისათვის. შვილი უპირისპირდებოდა მამას, ფეოდალი — მეფეს, გრაფი — ჰერცოგს, ეს ყველაფერი კი საშინელ ქაოსსა და არეულობას იწვევდა ქვეყანაში.

თანამედროვე ჯარში დანაშაულის შესაბამისი სხვადასხვა სახის სასჯელი არსებობს, შუა საუკუნეებში კი ყველაზე მძიმე და უპატიებელი საქციელისათვის ბარონებს მამულებს ჩამოართმევდნენ ან განდევნიდნენ. თუმცა ამ სასჯელის ასრულებაც ძალზე რთული იყო, რადგან განაწყენებულ ფეოდალს შეიძლებოდა ამბოხება მოეწყო მეფისათვის, დაჰპირისპირებოდა ან დაჰკავშირებოდა რომელიმე გრაფს და სამოქალაქო ომი წამოეწყო. დამნაშავეებს ხშირად წნელითაც კი სცემდნენ, მაგრამ ეს სასჯელი უფრო მონას შეეფერებოდა, ვიდრე ჯარისკაცს. ყველაზე რთულ ვითარებაში მხედართმთავარი იყო, რომელსაც იმდენი უნდა მოეხერხებინა, რომ სხვადასხვა იერარქიისა და ინტერესების ფეოდალები დაემორჩილებინა. ასე რომ, ხშირად მეფის ძალაუფლება საკმაოდ სუსტი გახლდათ.

როგორც წესი, ფეოდალური პირამიდის სათავეში მეფე იდგა. გამოუცდელი ან ძალიან ახალგაზრდა ხელისუფალი რეგენტის დახმარებით მართავდა სახელმწიფოს. ქმედუნარიანი მეფე ან რეგენტი არმიას დამოუკიდებლად ხელმძღვანელობდა, უნარშეზღუდული კი ამ საქმეს კონეტაბლს და მარშალს გადააბარებდა ხოლმე (სამხედრო მინისტრი და მისი მოადგილე).

არმია სენიორების რაზმეულებისა და დაქირავებული ჯარისაგან შედგებოდა. ფეოდალური წყობის პერიოდში მართვის სადავეები მეფეს ეპყრა ხელთ, რომელსაც



ეროვნული ბიბლიოთეკა

შეეძლო მიწის ნაკვეთი და ტიტულიც კი ჩამოერთმია რაინდისათვის, რომელიც თავის მოვალეობას არ შეასრულებდა და მოწოდებისთანავე არ გამოცხადდებოდა თავისი მეომრებით.

სამხედრო რესურსები, რომლებიც მეფის განკარგულებაში იყო, მას მემკვიდრეობით გადაეცემოდა და იშვიათად თუ განიცდიდა მოდერნიზაციას. მხოლოდ გამორჩეულ მთავარსარდლებს ეძლეოდათ ინოვაციების შესაძლებლობა. შუა საუკუნეების საზოგადოების წარმოების საშუალებები კიდევ უფრო ზღუდავდნენ სწრაფი ცვლილებების პროცესებს. შეიარაღების ტექნოლოგიები ნელა ვითარდებოდა, ისევე ნელა, როგორც იცვლებოდა თვად საომარ მოქმედებათა წარმოების მანერები.

ფეოდალური რაზმეულები სამხედრო სამსახურს უწევდნენ სენიორსა და მეფეს. სავალდებულო სამსახური, როგორც წესი, 40 დღე-ღამეს არ აღემატებოდა, ამიტომაც მისი ამოწურვის შემთხვევაში მეომრებს უფლება ჰქონდათ სახლებში დაბრუნებულიყვნენ. 40-დღიანი სამსახური ხანგრძლივი სამხედრო კამპანიების წარმოებას აფერხებდა, ვინაიდან მოვალეობის მოხდის შემდეგ ჯარი, ფაქტობრივად, იფანტებოდა. ამიტომაც მეფეები ხშირად იყენებდნენ დაქირავებულ ჯარს. სენიორს ან კაპიტანს დაახლოებით 50-500-კაციანი რაზმი გამოჰყავდა, რომელთაც ხელფასის საფასურად ან ალაფის განაწილების იმედით დამქირავებლის მხარეს უნდა ებრძოლა. დაქირავებული ჯარისკაცის პროფესია ყველაზე მომხიბვლელი იყო იმ პერიოდში. მეომარი ხშირად ხელფასსაც იღებდა და ნადავლითაც ბრუნდებოდა შინ, ამიტომაც მათ რიგებს არაპროფესიონალი მეომრები, ყაჩაღები და ვიგინდარებიც ეტანებოდნენ, რომელთაც იოლი გზით სურდათ მოეპოვებინათ ქონება. ასეთი ცხოვრების წესის მიმდევართ დიდად არ ახარებდათ სამშვიდობო მოლაპარაკებები და ზავი. ეს ხომ ამცირებდა მოთხოვნას დაქირავებულ მეომრებსა და ლუკმაპურის შოვნის საშუალებას უზღუდავდა. ასეთ შემთხვევებში საზსრების დაკარგვის საშიშროების წინაშე მდგარი ყაჩაღთა რაზმები მაინც განაგრძობდნენ „მუშაობას“, ოღონდ ამჯერად მხოლოდ თავიანთი ჯიბისათვის. ისინი თავს ესხმოდნენ ციხეს ან რამდენიმე დასახლებულ პუნქტს, აწიოკებდნენ, ძარცვავდნენ. თავსაც კი იმართლებდნენ, ამას მოსახლეობის „დაცვის“ მიზნით ვაკეთებთო. როგორც ყოველთვის, მოსახლეობა ყველაზე მეტად ზარალდებოდა და იძულებული ხდებოდა, „პროფესიონალ ყაჩაღთა“ რაზმების ჯიბეები გაესქელებინა. გასამრჯელოს მიღების შემდეგ ეს „სენიორები“ სხვა რეგიონებს ესხმოდნენ თავს და ასე გაუთავებლად აწიოკებდნენ ქალაქებს.

ხშირად ასეთი რაზმები საკმაოდ კარგად იყო ორგანიზებული. მის რიგებში ირიცხებოდნენ მღვდლები, მაღალი თანამდებობის პირები და წარჩინებული პირები, რომლებიც, რა თქმა უნდა, ორგანიზაციის სათავეში იყვნენ მოქცეულნი და ალაფის „განაწილებაც“ მათ ევალებოდა. სავარაუდოა, რომ ამ პირების ორგანიზებით „მსხვილი პროექტების“ განხორციელების მიზნით რამდენიმე პატარა რაზმი ერთიანდებოდა. კოალიციურ ე.წ. „დიდი რაზმებში“, შესაძლოა, 16 ათას კაცსაც მოეყარა თავი. მაგ., ასეთი იყო საფრანგეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით რონისა და სონის დაბლობებში 1360-1365 წლებში მოთარეშე რაზმები. ყოფილა შემთხვევა, როდესაც ასეთი დაჯგუფებების დახმარებით მეფეებსაც კი უსარგებლიათ. მაგ., ბერტრან დიუ გეკლენი (1320-1380 წ.წ.). ბრეტანელთა გვარის გაღატაკებულმა წარმომადგენელმა სამხედრო ნიჭის წყალობით კასტილიისა და საფრანგეთის კონეტაბლის თანამდებობის მიღება შეძლო. გეკლენი დაქირავებულ ჯარს მეთაურობდა, რომელშიც მკაცრი დისციპლინა მოქმედებდა. მიუხედავად იმისა, რომ წარმოშობით საშუალო ფენას ეკუთვნოდა, არ იბრძოდა რაინდთა ჩვეული წესითა და კანონებით. არ უყვარდა მასშტაბური ბრძოლები და უპირატესობას მცირე შეტაკებებსა და პარტიზანულ ბრძოლებს ანიჭებდა. 1369 წელს მან თავისი 10 000-კაციანი ჯარით მონტელის ბრძოლაში პედრო IV დაამარცხა და მის ძმას ჰენრიხ II-ს გამეფებაში დაეხმარა.

ჰენრიხის გამეფებისა და პედროს სიკვდილის შემდეგ გეკლენის დაქირავებული ჯარი მალე შავ პრინცს, იგივე ედუარდ პლანტაგენეტს დასჭირდა, რომელიც ბრწყინვალედ ხელმძღვანელობდა ინგლისის არმიას 1356 წელს პუატიეს ბრძოლაში. როდესაც ასწლიანი ომი დასრულდა და საფრანგეთის მონარქიამ პოზიცია გაიმაგრა, თავისუფალმა „პროფესიონალთა რაზმებმა“ აღმოსავლეთისაკენ გადაინაცვლეს. მრავალი მათგანი იტალიაში მოქმედებდა, სადაც კონდოტიერების სახელით იყვნენ ცნობილი. ხშირად მათ შეიარაღებული გლეხებიც უერთდებოდნენ გასამჯელოს ან ალაფის მოპოვების მიზნით. ხანდახან ისინი წარმატებასაც აღწევდნენ. დროთა განმავლობაში „მოყვარულები“ დაქირავებულ-პროფესიონალთა რაზმებს უერთდებოდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ქრონისტები „ნაკლებპრიორიტეტულ“ საკითხად მიიჩნევდნენ დაბალი ფენების სამხედრო მოქმედებებში მონაწილეობის აღწერას, გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ მოსახლეობის როლი ქალაქის დაცვაში საკმაოდ დიდი იყო. ხდებოდა ისეც, რომ ზოგიერთი სავაჭრო გილდია საკუთარ თავზე იღებდა ციტადელის რომელიმე ნაწილის დაცვას. მოქმედებებში აქტიურად ერთვებოდა ქალაქის „მილიციაც“. მაგ., შოტლანდიაში, ნიდერლანდებსა და შვეიცარიაში მოსახლეობა არმიის ძირითად ბირთვს შეადგენდა, ხოლო ფეოდალთა რაზმების ფუნქციას მათი მხარდაჭერა წარმოადგენდა. ამ მრავალფეროვანი რაზმების მართვა ადვილი საქმე არ იყო. ყველას სურდა ბრძოლის ველზე ისეთი პოზიცია დაეკავებინა, რომ ახლოს ყოფილიყო მეფის კოლონასთან, ამ უკანასკნელს კი მისი მამაცობა და გამორჩეულობა აღენიშნა. პოზიციების განაწილების ნიადაგზე არაერთი დაპირისპირება მომხდარა (მაგ: 1250 წლის 8 თებერვალს მეშვიდე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს ლუი IX-ს ძმა ტამპლიერების მაგისტრს კოლონაში ადგილის გამო წაეჩხუბა, დაარღვია მეფის ბრძანება და ალყაში მოქცეულ 800 რაინდთან ერთად დაიღუპა). ამას ემატებოდა ნობილთა შური და პატივმოყვარეობა, რომლებიც ანგარების გამო მზად იყვნენ ერთმანეთისათვის ყელი გამოეჭრათ. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რა ძალისხმევა ესაჭიროებოდა მეფესა თუ მარშალს ამგვარი არასტაბილური და მრავალმხრივ პრობლემატური სამხედრო ფორმირების სამართავად.

## ხელისუფლების კონსოლიდაცია

მეფის ტიტული და ძალაუფლება მემკვიდრეობით გადაეცემოდა. უპირატესობა მემკვიდრეებს შორის, რა თქმა უნდა, მამაკაცს ენიჭებოდა, მაგრამ ხშირად ქალსაც გადაეცემოდა. მემკვიდრეობა ქალზე იმ შემთხვევაში გადავიდოდა, თუ ის ერთადერთი მემკვიდრე იყო და რომელიმე ძლიერი და გავლენიანი ნობილის მეუღლე გახდებოდა. მამაკაცი მემკვიდრის დაბადებამდე სწორედ სიძე ითვლებოდა ხელისუფლად.

იმ შემთხვევაში, თუკი მემკვიდრე საერთოდ არ არსებობდა, სამეფო რომელიმე ნათესავის ხელში გადადიოდა. როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში სამეფო ტახტზე რამდენიმე პრეტენდენტი აცხადებდა პრეტენზიას, რასაც ხშირად დაპირისპირებაც თან სდევდა. გამეფებული ბარონი თავის მამულებს სამეფო საკუთრებას უერთებდა, ხშირად კი პირიქითაც ხდებოდა. ტერიტორიების დაქუცმაცების ტენდენცია ევროპის ფეოდალიზაციის დასაწყისისათვის იყო დამახასიათებელი და გარკვეული დროის შემდეგ საპირისპირო მიმართულებით წავიდა. ცენტრალიზებული ხელისუფლების შექმნის საუკეთესო მაგალითად საფრანგეთი შეგვიძლია დავასახელოთ. პირველი კაპეტინგის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მმართველობის პერიოდისათვის (987წ.) საფრანგეთი დაქუცმაცებული და დეცენტრალიზებული იყო. მას დაახლოებით ნახევარი ათასწლეული დასჭირდა იმისათვის, რომ დაებრუნებინა ის საზღვრები, რომლებიც თანამედროვე პოლიტიკურ რუკაზე საფრანგეთის რესპუბლიკად მოიაზრება. გაცილებით უფრო ადრე მოხდა ხელისუფლების კონსოლიდაცია პოსტრომაულ ინგლისში, როდესაც ნორტუმბრია, მერსია, უესექსი და სხვა სამეფოები გაერთიანდნენ.

## ლაშქრობები ერესის წინააღმდეგ

ისტორიულად მოვლენები ისე განვითარდა, რომ საფრანგეთის რეგიონი ლანგედოკი მთელი დანარჩენი ქვეყნისაგან დამოუკიდებლად ვითარდებოდა. მას თავისი ენაც კი ჰქონდა, რომელსაც La langue d'oc ეწოდებოდა. სწორედ ენის სახელწოდებიდან მომდინარეობს საფრანგეთის სამხრეთ რეგიონის დასახელებაც. საფრანგეთის სამხრეთი და ჩრდილოეთი მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, თითქოს აქ ორი სხვადასხვა ცივილიზაცია არსებობდა და ვითარდებოდა. თავდაპირველად, მასზე დიდ ზეგავლენას ახდენდნენ რომაელები, რომლებიც ცენტრალურ დ ჩრდილოეთ გალიასთან შედარებით აქ 80 წლით ადრე მოვიდნენ (121 წ ძვ. წ.). მათ შემდეგ აქ დასახლდნენ ვესტგოთები (V საუკუნეში), თავიანთი კვალი დატოვეს აფრიკაში მიმავალმა ვანდალებმაც. VIII საუკუნის დასაწყისიდან აქ ბატონობდნენ არაბები, შემდეგ კი — ფრანკები (პეპინიდები და შარლემანი), რომლებმაც აქ ფეოდალიზმი შემოიტანეს. X-XI საუკუნეებიდან პოეზიისა და ერესისკენ მიდრეკილ საფრანგეთის სამხრეთ ტერიტორიაზე ბალკანეთიდან კათარების (იგივე ალბიგოელები) დუალისტურმა მსოფლმხედველობამ შემოაღწია, რომელიც სამყაროს ორ ნაწილად, სულიერ და მიწიერ სივრცეებად ჰყოფდა. კათარები თავიანთ თავს „კეთილ ქრისტიანებს" უწოდებდნენ, ხოლო რომის ეკლესიას — „სატანას სინაგოგად", მის მსახურებს კი ცოდვილებად მოიხსენიებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ კათარები ასეთ მკაცრ დამოკიდებულებას ავლენდნენ რომის უზურპატორული ეკლესიისადმი, თავად კათოლიკეებს ისინი არ ერჩოდნენ. არსებობს უამრავი უტყუარი ცნობა, რომელთა მიხედვით ვლინდება, რომ იმ ტერიტორიებზე, სადაც კათარები კომპაქტურად სახლობდნენ, მოსახლეობაში სრული გაგება და მშვიდობა სუფევდა. იქ კი, სადაც უმეტესობა კათოლიკე იყო, კათარი მუდამ თავდასხმის ობიექტი ხდებოდა. დროთა განმავლობაში კათარების დევნამ ჯვაროსნული ლაშქრობის სახეც მიიღო.

კათარებს არ სწამდათ არც სამოთხისა და არც ჯოჯოხეთის არსებობის. უკეთ რომ ვთქვათ, მათ მიაჩნდათ, რომ ჯოჯოხეთი თავად მიწიერი ცხოვრება იყო. ისინი არ ცნობდნენ რელიგიურ ცერემონიალებს და ჰქონდათ მხოლოდ ერთი რიტუალი, რომლის დროსაც კათარი თავით ეხებოდა წმინდა წიგნებს და „მამაო ჩვენოს" კითხულობდა. სექტის მიმდევარს, რომელიც ამ რიტუალს ეზიარებოდა „კეთილი", ანუ „დასრულებული" ადამიანი ეწოდებოდა. მას არ ჰქონდა ოჯახის შექმნის, ინტიმური ურთიერთობის, ცხოველური საკვების მიღების უფლება და სხვ.



დასავლური კათოლიკური ეკლესია, რომელიც ასწლეულების განმავლობაში ძალაუფლებისათვის იბრძოდა, დიდხანს ვერ აიტანდა ამგვარ „დისიდენტებს". „რწმენის სიწმინდის" დამცველებმა, ცისტერციანული მონასტრის ბერებმა მალე განგაშის ზარებს ჩამოჰკრეს. განსაკუთრებული სიმკაცრით გამორჩეულმა რომის პაპმა ინოკენტი III-მ (მისი ორგანიზებით წარმართულმა ჯვაროსნულმა ლაშქრობამ ქრისტიანული კონსტანტინოპოლი და საბერძნეთი დაიმორჩილა) ლანგედოკში ლეგატი პიერ კასტელინო (1207 წ.) გაგზავნა, რომელმაც დაამოწმა კათოლიკური ეკლესიის ეჭვი: „საფრანგეთის სამხრეთით ფესვები გაიდგა და აყვავდა ყველაზე ბოროტი ერესი". პაპმა ტულუზის გრაფისაგან, რაიმუნდ VI-საგან შესაბამისი ღონისძიებების გატარება მოითხოვა, მაგრამ მან არამცთუ ყურად იღო პაპის მოთხოვნა, არამედ ლეგატის მოკვლაც კი მოისურვა. ეს ვითარება საკმარისი აღმოჩნდა ჯვაროსნული ლაშქრობის დასაწყებად. 1209 წლის 24 ივნისს ლიონის მახლობლად შეიკრიბა არმია სიტოს აბატის არნო ამორის მეთაურობით, რომელსაც თან ახლდნენ ედო ან ოტო III ბურგუნდიელი, გრაფები ნევერ ერვე დე დონზი და სიმონ დე მონფორი.

ისინი ვალანსისაკენ დაიძრნენ, დაიკავეს მონტლიმარი და ბეზე. ჯვაროსნები მსვლელობისას ხოცავდნენ ყველას, განურჩევლად სქესისა, ასაკისა და რელიგიური ალმსარებლობებისა. კათარებთან ერთად მათ ბევრი კათოლიკეც გაჟლიტეს. კარკაცინში ერეტიკოსებს ნება დართეს, დაეტოვებინათ ქალაქი, რომელიც შემდეგ გაქურდეს. 40 დღის შემდეგ მრავალი ჯვაროსანი



უკან დაბრუნდა დიდძალი ნადავლით, დარჩა მხოლოდ სიმონ დე მონფორი, რომელმაც ბრძოლის გაგრძელება გადაწყვიტა. მონფორის ექსპედიციამ დამსჯელი ფუნქცია ჩამოიშორა და დაპყრობითი ბრძოლები დაიწყო.

რაიმუნდ VI, რომელიც წინააღმდეგობას უწევდა ჯვაროსნულ ლაშქრობას, ახლა კიდევ უფრო დიდი გაღიზიანებით ადევნებდა თვალს მონფორის საქციელს. მიუხედავად ძლავრი სამხედრო ძალისა, ის მაინც არ ცდილობდა პირდაპირ შეტაკებოდა მომხდურს და გადამწყვეტი ბრძოლა დაეწყო. 1212 წლის სექტემბერში ჯვაროსნებმა მიურე აიღეს, ამავდროულად მტრის ხელში აღმოჩნდა კომენისა და ბეარნის სენიორების მიწები. აი, აქ კი მონფორმა გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა. მან არაგონის მეფის პედრო II-ის (მეტსახელად „კათოლიკე“) ვასალების — გრაფ ფუას, გრაფ კომენისა და გასტონ ბეარნელის სამფლობელოები დაიპყრო. სამართლიანობის საძებნელად სენიორებმა სწორედ მას მიმართეს. თავდაპირველად, ორივე მხარემ ჩათვალა, რომ სამართალს მხოლოდ პაპთან თუ იპოვიდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ინოკენტი III ძალზე მკაცრად აკრიტიკებდა მონფორს და საყვედურობდა კათოლიკეთა მიწების დაპყრობას, როგორც ჩანს, მან მაინც მონფორი გაამართლა. არაგონის მეფეს იმედი გაუცრუვდა და გადაწყვიტა ძალის გამოყენებით დაეცვა მოკავშირეები.

1213 წლის სექტემბერში პედროს ძალებმა მიურეს მიაღწიეს, რომელშიც მონფორის 30 ფრანგი რაინდისა და 700 ქვეითისაგან შემდგარი გარნიზონი იყო გამაგრებული. პედროს მხარეს იბრძოდნენ რაიმუნდ VI და კომენისა და ბეარნის სენიორების ძალები — დაახლოებით 2000-3000 მხედარი (რაინდები და სერჟანები). ასევე საკმაო რაოდენობის ქვეითი ჯარი, თუმცა მათი ზუსტი რაოდენობა ჩვენთვის უცნობია. მათ ლაშქარი ქალაქის ჩრდილოეთით, პატარა მდინარის მახლობლად გაშალეს. ეს მდინარე სამხრეთიდან იცავდა მათ პოზიციებს, ხოლო ჩრდილოეთით და დასავლეთით მათი პოზიციები აბსოლუტურად ღია იყო. 11 სექტემბერს პედროს მეომრებმა ქვამტყორცნი მანქანები დააყენეს და კედლების მონგრევა დაიწყეს.

მონფორმა მალე შეიტყო მოწინააღმდეგის იერიშის შესახებ, რომელიც ფანჟოში, 65 კმ-ს დაშორებით იმყოფებოდა. მან სასწრაფოდ შეკრიბა თავისი საკმაოდ მოკრძალებული ძალები (240 რაინდი და 500 მხედარი სერჟანი). მიურეს დამცველები მცირერიცხოვნების გამო ნამდვილად ვერ შეძლებდნენ მოიერიშეების მოგერიებას, რომ არა მოფნორის მოახლოება, რომელმაც მოწინააღმდეგეს ქალაქის გალავანთან მიუსწრო. არ არის ცნობილი, რამ აიძულა მოიერიშეები ქალაქის შტურმი შეეწყვიტათ — პანიკამ თუ ბრძანებამ, მაგრამ ისინი მომენტალურად მოსცილდნენ ციტადელს. მონფორმა დაბრკოლების გარეშე შეაღწია ქალაქში. მეორე დღეს მხარეებმა მოლაპარაკება წამოიწყეს. მოკლევადიანი შესვენების დროს მოხდა ისე, რომ ქალაქის სამხრეთი კარიბჭე, რომელიც არაგონის არმიის მახლობლად იყო, ნებსით თუ უნებლიეთ, ღია აღმოჩნდა. პედროს ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია და ავანგარდს უბრძანა, რაიმუნდ VI-ს ქვეითებთან ერთად ქალაქში შესულიყვნენ. შუბებით შეიარაღებული ესპანელები, როგორც ქვეითები, ასევე მხედრები, ვიწრო ხიდით გალავნისაკენ გაეშურნენ. ჭყლეტის გამო ყველამ ვერ შეძლო ქალაქში შეღწევა, სადაც მალევე ალყაში მოექცნენ და გაიჟლიტნენ. დანარჩენებს უბრძანეს, უკან დაეხიათ, შტურმისათვის მომზადებულიყვნენ და გამაგრებულიყვნენ. იმ დროისათვის დე მონფორი თავის მხედრებთან ერთად სამხრეთ-დასავლეთი კედლისაკენ დაიძრა და ჯარი სამ ბატალად გაანაწილა. მონფორის გეგმით პირველ ორს პირდაპირი იერიში უნდა მიეტანა მოწინააღმდეგეზე, მესამე დივიზიონს კი, რომელსაც თავად მონფორი მეთაურობდა, აღმოსავლეთიდან უნდა შემოევლო და ფლანგზე უნდა დაერტყა მოწინააღმდეგისათვის. თითოეულ დანაყოფში დაახლოებით 250 კაცი იყო, რაც პედროს მხოლოდ ერთი ავანგარდის მთელი რაზმეულისხელა იყო. ესპანელები იერიშს არ ელოდნენ, ისინი ისვენებდნენ. სავარაუდოა, რომ ეს ყველაფერი წინასწარ იყო გათვლილი და მონფორმა ზუსტად შეარჩია ადგილი და დრო. მონფორმა ყველა დროშა პირველ დივიზიონს მისცა, რომლის უკან მეორეც მიდიოდა. ისინი ქალაქის კედლის გასწვრივ მიდიოდნენ. შესაბამის დროს ზუსტად და დროულად უნდა ჩამდგარიყვნენ მწყობრში. მექანიზმმა უზადოდ იმოქმედა. მოწინააღმდეგის ჯარისკაცები გაოცებული შეჰყურებდნენ მოულოდნელად გამოჩენილ მტრის რიგებს. ესპანელები დაიბნენ. ჩამოქვეითებული სენიორები საჭურველთმტვირთველებს განკარგულებებს აძლევდნენ, ისინი, ვინც უნაგირზე ისხდნენ, თავიანთ ადგილებს ეძებდნენ რიგებში. საბოლოოდ ჯვაროსანთა თავდასხმის შედეგად ესპანელთა ავანგარდი მტვერივით გაიფანტა. ქვეითები ბანაკისაკენ გაიქცნენ, სადაც მეფის დივიზიონი სასწრაფო წესით ემზადებოდა შეტევისათვის. ამ დროისათვის მონფორმაც შეასრულა თავისი მოხერხებული მანევრი და ფლანგიდან შეუტია არაგონის მეფეს. მეფე ბრძოლის ველზე დაეცა, ხოლო მისი არმია გაიფანტა და განადგურდა.

## დაგეგმარება

დღეს სამხედრო მეთაურებს ოპერატიულად მიეწოდებათ უახლესი ინფორმაცია ფრონტიდან, აქვთ კავშირგაბმულობის საუკეთესო საშუალებები, მაღალხარისხიანი რუკები და თანამგზავრიდან გადაღებული ფოტომასალები. შუა საუკუნეების მხედართმთავარს კი ამის საშუალება არ ჰქონდა. ხშირად რუკაც კი არ გააჩნდათ და თუკი ჰქონდათ, მასზე მხოლოდ დიდი დასახლებები, მდინარეები და მთათა სისტემები იყო დატანილი. კონკრეტული და ზუსტი ინფორმაცია კი, როგორც წესი, არ მოიპოვებოდა. რუკის მიხედვით ლაშქრის მოძრაობის დაგეგმარება და ბანაკის მოწყობა ძნელი იყო. იმისათვის, რომ ლაშქარი ერთიდან მეორე პუნქტამდე უპრობლემოდ მისულიყო, მხედართმთავარს მეგზური ესაჭიროებოდა, რომელიც კარგად იცნობდა რეგიონის სატრანსპორტო საშუალებებს. მეგზური შეიძლებოდა ყოფილიყო ნებისმიერი — ადგილობრივი ბატონი, მღვდელი, ვაჭარი თუ გლეხი.

მტრის დისლოკაციის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ, შუა საუკუნეების სარდალი სამხედრო საბჭოს იწვევდა და წყვეტდა, სად და როგორ უნდა ემოქმედა. ჯარის შეკრებას საკმაოდ დიდი დრო სჭირდებოდა. სანამ შიკრიკები ვასალებთან ამბავს ჩაიტანდნენ, ისინი კი თავიანთ ბატონებს ჯარისკაცებს მოაგროვებინებდნენ, შეკრებდნენ და დანიშნულების ადგილზე გაგზავნიდნენ, რამდენიმე დღე ან კვირა იკარგებოდა.

ამგვარად, რაინდები იკრიბებოდნენ და ბანაკში იმ გეგმის მიხედვით იყრიდნენ თავს, რომელსაც ხელისუფალი შეიმუშავებდა ხოლმე. მეფის შტაბს კარგად უნდა გაეთვალა, როგორ უნდა გაენაწილებინა პოზიციები მწყობრში, რომ ყველაზე გავლენიანი ვასალები არ გაენაწყენებინა. ისინი მტკივნეულად განიცდიდ-

ნენ, თუკი მეფისა და მათ კარავს დიდი მანძილი აშორებდა.

რაინდებს უნდა ჰყოლოდათ ერთი, საუკეთესო შემთხვევაში კი ორი საბრძოლო ცხენი. მასთან ერთად უნდა ჰყოლოდათ სამგზავრო ცხენი, ეტლი, ერთი ან რამდენიმე საჭურველთმტვირთველი და რამდენიმე მსახური.

რაოდენობრივად რაინდთა რაზმეული, შესაძლოა, საკმაოდ შთამბეჭდავი ყოფილიყო, მაგრამ, როგორც წესი, მათში ნონ-კომბატების რაოდენობა ხშირად „კეთილშობილთა" რაოდენობას აღემატებოდა.

რაც უფრო მაღალი რანგის იყო მებრძოლი, მით მეტი ადამიანი და საგანი ეხვია მას გარს. ცნობილია, რომ ქარავანი ნელა მიიწევს წინ. შუა საუკუნეებში არმია დღეში დაახლოებით 15-25 კილომეტრს გადიოდა (40-50 კმ ფორსირებული მარშით). მოწინააღმდეგის სავარაუდო დისლოკაციის ადგილთან მიახლოებისას განსაკუთრებულ როლს ასრულებდნენ მზვერავები. მოწინააღმდეგის იდენტიფიკაციის საქმე მარტივდებოდა, თუკი ის ანადგურებდა და ძარცვავდა გარშემო ყველაფერს (თავდასხმისას) ან ანადგურებდა მარაგს (უკან დახევის შემთხვევაში). ცეცხლის კვამლი ერთგვარი „შუქურის" ფუნქციას ასრულებდა, რომელიც ლაშქრის არა მხოლოდ დისლოკაციის ადგილს, არამედ მის ზრახვებსაც ააშკარავებდა. თუკი სარდალი თავის ჯარს რამდენიმე კოლონად ყოფდა და სხვადასხვა მიმართულებით აგზავნიდა, ამოცანის შესრულება თავიდან ბოლომდე რაზმის მეთაურს ევალებოდა; მთავარსარდალი არ იყო დაკავებული მათი მოქმედებების კორექტირებით ოპერაციის მსვლელობისას. ერთმანეთისაგან დიდი მანძილით დაშორებული ფორმირებების ურთიერთშეთანხმებული მოქმედება ევროპის ტერიტორიაზე მხოლოდ მონღოლებს შეეძლოთ.

ბრძოლის წინ მოწინააღმდეგეები, როგორც წესი, ბატალებად, დივიზიონებად ეწყობოდნენ. აქ შეიმჩნეოდა ოპერატიულ-ტაქტიკური ხასიათის სეგრეგაცია: კავალერია და ქვეითები მოძრაობდნენ სხვადასხვა სიჩქარით და ასრულებდნენ სხვადასხვა ფუნქციას ბრძოლის ველზე. თავად კავალერიაც იყოფოდა კარგად ეკიპირებულ მდიდარ რაინდებად, ღარიბ რაინდებად და სერჟანტებად (ეს უკანასკნელნი არაკეთილშობილური წარმომავლობის გამო ხშირად უფრო ქვეითი ჯარისკაცების ფუნქციას ასრულებდნენ. მათ ჰქონდათ უფრო მსუბუქი აბჯარი.) რაც უფრო მდიდარი იყო მეომარი, მით უკეთ იყო აღჭურვილი და შესაბამისად, ადგილს წინა რიგებში იკავებდა. ფეხოსნები იყოფოდნენ შეიარაღებულ დივიზიონებად, რომლებსაც საშუალება ჰქონდათ ბრძოლა დისტანციიდან ეწარმოებინათ (მშვილდი, არბალეტი, მოგვიანებით არკებუზები) და ისინი, ვინც ხელჩართულ ბრძოლაში მონაწილეობდნენ. ყოველი ფორმირების მეთაურად გამოცდილი და ჭკვიანი სენიორი იდგა. არისტოკრატია არ დაემორჩილებოდა მას, ვინც გვარიშვილობით მათზე დაბალი იქნებოდა.

## ტაქტიკური მანევრები

როგორი ტაქტიკური შესაძლებლობებით სარგებლობდა ჰიპოტეტური შუა საუკუნეების მხედართმთავარი, როდესაც მრავალრიცხოვანი მტრის წინაშე იდგა და ამავდროულად, საკმაოდ შეზღუდული რესურსები ჰქონდა? დავიწყოთ იმით, რომ არმიასთან ერთად მას მემკვიდრეობად წინაპართა გამოცდილებაც მოჰყვებოდა. მომავალი მეფე უკვე ბავშვობიდან სწავლობდა სამხედრო საქმეს მამისგან (ბაბუის, ძმის და ბიძისაგან). ზოგიერთს ჰქონდა საშუალება გასცნობოდა რომაელების სამხედრო სახელმძღვანელოებს, ისეთ ავტორებს, როგორებიც იყვნენ ვეგეტიუსი ან სექსტიუს ფრონტინოსი. იმ დროს, როდესაც ომი მაღალი კლასების ყველაზე გასართობ საქმიანობას წარმოადგენდა, სამხედრო საქმე მსჯელობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან თემად ითვლებოდა. ფართოდ არის გავრცელებული აზრი იმის თაობაზე, რომ შუა საუკუნეების არმიები ჩვეულებრივ სამ დივიზიონად: ავანგარდად, ძირითად ბირთვად და არიერგარდად იყოფოდა, მაგრამ ეს ძალზე ზედაპირული ნათქვამია. შუა საუკუნეების მხედართმთავრები ჯარს აწყობდნენ კონკრეტული მოთხოვნების შესაბამისად.

1132 წელს ნოჩეროს მახლობლად სიცილიის ნორმანდიელმა მეფემ რუტგერ II-მ, რომელიც აჯანყებულ აპულიოსსა და მის ექვს დივიზიონად დაყოფილ ლაშქარს დაუპირისპირდა, ბრძოლის ველზე რვა ბატალი განალაგა. გათამაშებულმა ბრძოლამ ცხადყო, რომ არმიის ტაქტიკურ დრეკადობას შედეგი არ მოაქვს, თუკი მხედართმთავარს მისი გამოყენების უნარი არ გააჩნია. რუტგერმა გადაწყვიტა, ძირითადად, იერიში მოწინააღმდეგის ლაშქრის ნახევარზე მიეტანა. ამიტომაც მან ყველა რვა დივიზიონი კოლონად განალაგა და მარცხენა ფლანგს შეუტია. პირველმა ორმა რაზმმა ძალზე შეავიწროვა მტერი, მაგრამ მალე ალყაში მოექცნენ. გამოვიდა, რომ მეამბოხეს მთელი არმია ორი ბატალის წინააღმდეგ იბრძოდა. მტრის ძალთა უპირატესობით დამფრთხალ მეომრებში ქაოსი გამეფდა, რომელიც რუტგერის სხვა ბატალებსაც გადაედო, რამაც დიდი დანაკარგი გამოიწვია. მტრის არმიის მეორე ნაწილის მობრუნება რუტგერს საშუალებას აძლევდა, მტრისათვის დარჩენილი ძალების გამოყენებით შეეტია, მაგრამ როგორც ჩანს, სიცილიელთა დივიზიონები საკმაოდ შორს იყვნენ და ამიტომაც გაბედეს ფლანგიდან შეეტიათ მეფისათვის. შესაძლებელია, ყველაფერი მიმდინარეობდა ძალიან სწრაფად, ან კიდევ რუპერტი ვერ ხედავდა ბრძოლის ველს და ვერ მართავდა სიტუაციას.

უფრო მარტივ გეგმებსა და მწყობრებს, როგოც წესი, უფრო დიდი წარმატება მოჰქონდა. თუკი მოწინააღმდეგე იმავეს აკეთებდა, მაშინ მხედართმთავარზე უკვე არაფერი იყო დამოკიდებული — ბრძოლა მუშტი-კრივში გადაიზრდებოდა ხოლმე.

თუკი მხედართმთავარს საქმე ჰქონდა გამობრძმედილ და ალღოიან მოწინააღმდეგესთან, ისეთებთან, როგორებიც იყვნენ მონღოლები, პირდაპირი იერიში გარანტირებულ დამარცხებას მოასწავებდა.

*ანა ფალიანი*

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი

მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსი მედესანტეების ოპერაციები საქართველოში



**საჰაერო-სადესანტო ჯარები რუსეთის შეიარაღებული ძალების ყველაზე გამორჩეულ და ელიტურ გვარეობად ითვლება. მათ მოწინააღმდეგის ზურგში ყველაზე რთული დავალებების შესასრულებლად იყენებენ. სამოქმედო არეალის სპეციფიკა მედესანტეების სათანადო მომზადებასა და მუდმივ საბრძოლო მზადყოფნას მოითხოვს.**

1968 წელს ჩეხოსლოვაკიაში დემოკრატიული პროცესების ჩახშობაში საბჭოთა საჰაერო-სადესანტო ჯარებმა „დიდი წვლილი შეიტანეს“. 21 აგვისტოს მედესანტეებმა პრაღის მახლობლად მდებარე რუზინეს აეროპორტი დაიკავეს და ამით ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებში საბჭოთა სამხედრო აგრესია დაიწყო.

ასეთივე სცენარი ჰქონდა ავღანეთში შეჭრის ოპერაციას. 1979 წლის 24 დეკემბერს საბჭოთა პარაშუტისტები ქაბულიდან 50 კილომეტრით დაშორებულ ბაგრამის აეროდრომზე გადასხდნენ და საბჭოთა არმია ქვეყანაში არსებული რეჟიმის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებზე გადავიდა.

ათასობით რუსმა მედესანტემ დიდი საბრძოლო გამოცდილება მიიღო ჩეჩნეთის ორივე ომში. საყოველთაოდ ცნობილია ბრძოლა სიმაღლე 776-ისათვის – 2000 წლის 29 თებერვლიდან 1-ელ მარტის ღამემდე 104-ე საპარაშუტო-სადესანტო პოლკის მე-6 ასეულის 90 მებრძოლს ჩეჩენთა რაზმების ძლიერი შეტევის მოგერიება მოუხდა. ბრძოლას მხოლოდ 6 მედესანტე გადაურჩა. 22 მათგანს და მათ შორის 21-ს სიკვდილის შემდეგ რუსეთის გმირობა მიენიჭა.

საბჭოთა მედესანტეებმა საქართველოს თავი პირველად 1989 წლის 9 აპრილს „გააცნეს“. კიროვაბადიდან (ახლანდელი განჯა) შემოყვანილი 345-ე საპარაშუტო-სადესანტო პოლკის პირადი შემადგენლობა თბილისში მშვიდობიანი მიტინგის დაშლაში მონაწილეობდა და შემდგომ ქალაქში კომენდანტის საათის დაცვას უზრუნველყოფდა.

იმავე პოლკის პირადი შემადგენლობა და საბრძოლო ტექნიკა (ჯავშანტექნიკის 159 ერთეული და 18 თვითმავალი საარტილერიო დანადგარი „ნონა“) 1992 წლის აგვისტოში გუდაუთაში გადაიყვანეს, სადაც აფხაზეთის კონფლიქტის დროს რუსეთის შეიარაღებული ძალების ობიექტებს იცავდნენ. საბრძოლო მოქმედებებში რუსი მედესანტეებიც მონაწილეობდნენ, ბევრმა ამისათვის რუსეთის სახელმწიფო ჯილდო დაიმსახურა.

1992 წლის 29 აგვისტოს 345-ე პოლკის ქვედანაყოფებმა ქვედა ეშერასთან, რუსეთის არმიის 24-ე სამხედრო-სეისმურ ლაბორატორიასთან, ქართულ რაზმებს ძლიერი ცეცხლი გაუხსნეს და გუდაუთისაკენ სვლის საშუალება არ მისცეს.

საბრძოლო მოქმედებათა დასრულების შემდეგ 345-ე პოლკი აფხაზეთში ე.წ. სამშვიდობო მისიის შესასრულებლად დარჩა.

1999 წლის აგვისტოში, ჩეჩნეთის მეორე ომის დაწყებასთან ერთად, რუსეთმა საქართველოს ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად აფხაზეთში ფსკოვის 76-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიის 104-ე საპარაშუტო-სადესანტო პოლკის ბატალიონი შემოიყვანა. ფსკოველმა მედესანტეებმა კოდორის ხეობის მისადგომები ჩრდილო კავკასიიდან ჩეჩენთა რაზმების შემოსვლისა და აფხაზეთიდან დახმარების შეღწევის აღკვეთის მიზნით გადაკეტეს.

საქართველოს კონტროლირებადი კოდორი აფხაზ სეპარატისტებს მოსვენებას არ აძლევდა, ამიტომ რუსმა სამხედროებმა ხეობაში სამშვიდობო პოსტის გახსნა მოინდომეს.

2002 წლის 12 აპრილს შვეულმფრენებმა გუდაუთიდან 78-კაციანი დესანტი ქვემო აჟარიდან დასავლეთით 1 კილომეტრში გადასხეს. ოფიციალური მოსკოვის განცხადებით, მედესანტეთა დანიშნულება იყო კოდორის ხეობაში დევნილთა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ დაბრუნების უზრუნველყოფა, ქართველებსა და აფხაზებს შორის შეიარაღებული დაპირისპირების აღკვეთა, ჰუმანიტარული დახმარებების შეტანა და ა.შ..

სინამდვილეში ამ „კეთილი“ განზრახვის უკან კოდორში რუსი სამხედროების ფეხის მოკიდებისა და შემდგომში მთლიანად ხეობის გაკონტროლების გეგმა იმალებოდა.

რუსები პოზიციის გამაგრებით იყვნენ დაკავებული, როცა ხეობაში მყოფი ქართული ქვედანაყოფები ფერდობებზე განლაგდნენ და მოწინააღმდეგე ალყაში მოაქციეს. მოლაპარაკების შემდეგ გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილმა მედესანტეებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



2008 წლის აგვისტოში სოხუმის აეროპორტში რუსულმა სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავებმა რამდენიმე ასეული მედესანტე თავიანთი ტექნიკით შემოიყვანეს

მა უკან გაბრუნება ამჯობინეს.

რამდენიმე ხნის წინ რუსეთის საჰაერო-სადესანტო ჯარებს სტრუქტურული რეორგანიზაცია ჩაუტარდა. ფსკოვის 76-ე დივიზია და ულიანოვსკის 31-ე ბრიგადა სადესანტო-მოიერიშე, ხოლო ნოვოროსიისკის მე-7 დივიზია სამთო სადესანტო-მოიერიშე გახდა. ივანოვოს 98-ე და ტულის 106-ე დივიზიები ისევ საჰაერო-სადესანტოდ დარჩა.

სადესანტო-მოიერიშე დივიზიის პოლკებში ერთი საპარაშუტო-სადესანტო და ორი სადესანტო-მოიერიშე ბატალიონი შედის. მათ შორის განსხვავება შეიარაღებასა და მოწინააღმდეგის ზურგში დესანტირების ხერხებშია.

საპარაშუტო-სადესანტო ბატალიონი აღჭურვილია მედესანტეთა საბრძოლო



რუსი პარაშუტისტები ფოთის პორტში

მანქანებით (БМД-1,2,3,4) და პირადი შემადგენლობის დესანტირებისათვის კლასიკური ხერხი – პარაშუტებით გადმოხტომა გამოიყენება.

სადესანტო-მოიერიშე ბატალიონი ქვეითთა საბრძოლო მანქანებით (БМП-2) გადაადგილდება, უფრო მეტი არტილერია და სხვა საცეცხლე საშუალებები აქვს და დესანტირება აეროდრომზე დაჯდომით უკეთდება. თუმცა ორივე სახის ბატალიონის პირადი შემადგენლობა პარაშუტით გადმოხტომაში აუცილებელ მომზადებას გადის.

ამგვარი სპეციალიზაცია სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავების ნაკლებობამ გამოიწვია, რომლის რაოდენობა მთლიანად დივიზიის საჰაერო გზით დესანტირებისათვის არასაკმარისია.

საბრძოლო შესაძლებლობათა გასაზრდელად თითოეულ სადესანტო-მოიერიშე ბატალიონს სადაზვერვო ოცეული და საარტილერიო ბატარეა დაემატა.

ასეულებში საცეცხლე ძალის ასამაღლებლად ყუმბარმტყორცნელ-მეტყვიამფრქვევეთა ათეულებია შექმნილი, რომლებიც ორ სნაიპერს (ერთ-ერთი მსხვილკალიბრიანი სნაიპერული შაშხანით არის აღჭურვილი), АГС-ის რამდენიმე გათვლასა და მსხვილკალიბრიან ტყვიამფრქვევებს აერთიანებს.

დივიზიებში სამ-სამი პოლკიდან თითოთითოს დაშლით დანარჩენი პოლკებისა და ცალკეული ქვედანაყოფების შტატები პირადი შემადგენლობით სრულად შეივსო.

სრულად დაკომპლექტებულ ბატალიონს დამოუკიდებლად, ყოველგვარი დამატებითი ძალებისა თუ საშუალებების გარეშე მოქმედება შეუძლია და ძირითად ტაქტიკურ ერთეულს წარმოადგენს.

საჰაერო-სადესანტო ჯარებში სუსტ მხარედ სადაზვერვო ქვედანაყოფების ნაკლებობა რჩება. დივიზიაში შემავალი



მედესანტეთა ჯავშანმანქანა ერთ-ერთი ქართული სოფლის მახლობლად

ეროვნული ბიბლიოთეკა



რუს მედესანტეთა კოლონა ცხინვალისკენ მიემართება

სადაზვერვო ასეული არასაკმარისად ითვლება და სადაზვერვო ბატალიონამდე გაშლის შესაძლებლობა განიხილება.

აგვისტოს მოვლენების დროს აგრესორის ჯარების დაახლოებით 25% საჰაერო-სადესანტო ჯარების ქვედანაყოფებით იყო წარმოდგენილი, მაგრამ ის არაპირდაპირი დანიშნულებით – მოტომსროლელ ნაწილებში სუსტი ადგილების შევსება-გაძლიერების მიზნით გამოიყენეს. ასე რომ, სისხლისმღვრელი ბრძოლა რუს მედესანტეთა და ქართული არმიის ქვედანაყოფებს შორის არ ყოფილა.

8 აგვისტოს დღის ბოლოსათვის რამდენიმე სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავმა 76-ე დივიზიის 104-ე სადესანტო-მოიერიშე პოლკის საბატალიონო ტაქტიკური ჯგუფი საბრძოლო ტექნიკითურთ ბესლანის აეროდრომზე გადმოიყვანა. გზად მედესანტეებმა საბრძოლო მასალები მიიღეს და 10 აგვისტოს როკის გვირაბის სამხრეთ პორტალი გადმოკვეთეს.

მედესანტეები 58-ე არმიის სხვა ნაწილებთან ერთად ცხინვალს ჩრდილოეთიდან მიადგნენ და ქალაქის მახლობლად ორი დასახლებული პუნქტი დაიკავეს. მეორე დღეს ცხინვალის სამხრეთ გარეუბანზე გავიდნენ და გეზი სოფელ ვარიანისკენ აიღეს. გავრცელებული ინფორმაციით, მედესანტეთა განკარგულებაში უახლესი ტექნიკა – მედესანტეთა საბრძოლო მანქანები БМД-3 და БМД-4, საბრძოლო დაჯავშნული მანქანა „ტიგრი“ იყო.

ცხინვალი-ჯავის გზაზე 104-ე პოლკის საბატალიონო ტაქტიკური ჯგუფი ქართული ქვედანაყოფების ჩასაფრებაში მოყვა, სადაც ერთი მებრძოლი დაეღუპათ და 7 დაეჭრათ. მოგვიანებით ერთი მათგანი გარდაიცვალა. კიდევ ერთი მედესანტე ცხინვალში საარტილერიო ცეცხლში დაიღუპა.

საქართველოში როკის გვირაბით ივანოვოს 98-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიის 217-ე საპარაშუტო-სადესანტო პოლკის საბატალიონო ტაქტიკური ჯგუფიც შემოვიდა.

ივანოველი მედესანტეები რუსული სამხედრო კოლონის ავანგარდში იყვნენ და ზემო ნიქოზიდან ქვედა ხვითისაკენ სვლისას ქართული ტანკების ცეცხლქვეშ აღმოჩნდნენ. დაიღუპა ერთი მედესანტე, რამდენიმე კი დაიჭრა.

გავრცელებული ინფორმაციით, ივანოველი მედესანტეების გამოყენება თბილისის ოპერაციისათვის იგეგმებოდა. 12 აგვისტოსათვის რუსეთის არმიის მეწინავე ნაწილები საქართველოს დედაქალაქზე სალაშქროდ მზად იყვნენ. დაზვერვა უკვე აკვირდებოდა თბილისის გარეუბნებს და შეტევის შესაძლო მიმართულებებს არჩევდა. „თბილისს ჩვენ ავიღებდით, მაგრამ შემდეგ რა იქნებოდა? – ის, რაც ერაყში“, – ასე ფიქრობდა ერთი რუსი ოფიცერი.

თბილისი რომ არ აიღო, რუსეთის თავდაცვის მინისტრი ანატოლი სერდიუკოვი 10 სექტემბერს რუსეთის სახელმწიფო დუმაში მკაცრად გააკრიტიკეს, ხოლო კომუნისტების ფრაქციამ მისი გადადგომაც კი მოითხოვა.

იმ დღეებში საქართველოს ტერიტორიაზე შემოვიდა მოსკოვის 45-ე ცალკეული გვარდიული სადაზვერვო სპეცდანიშნულების პოლკის ერთი ქვედანაყოფიც.



მედესანტეთა კოლონა შესვენებაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლახან პრეზიდენტმა დმიტრი მედვედევმა პოლკის ერთ-ერთ ოფიცერს, რუსეთის გმირს, პოდპოლკოვნიკ ანატოლი ლებედს წმინდა გიორგის IV ხარისხის ორდენი გადასცა საბრძოლო ოპერაციების ჩატარების დროს შეტევის წინა ხაზზე ყოფნისა და პირადი გმირობის მაგალითის ჩვენებისათვის.

რა გმირობა ჩაიდინა პოდპოლკოვნიკმა ლებედმა, უცნობია, მაგრამ მისი ქვედანაყოფის დანიშნულებიდან გამომდინარე, ალბათ, ის თბილისთან ყველაზე ახლოს იდგა.



დაჯავშნული ავტომობილი „ტიგრი" მედესანტეთა შეიარაღებაში ცოტა ხნის წინ გამოჩნდა

დასავლეთ საქართველოში სამოქმედოდ რუსმა აგრესორებმა აფხაზეთში ნოვოროსიისკის მე-7 სადესანტო-მოიერიშე სამთო დივიზიის დიდი ნაწილი შემოიყვანეს.

დივიზიის ქვედანაყოფები აფხაზეთში რკინიგზით, სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავებით, ზოგიერთი კი თავისი სვლით შემოვიდა. სტავროპოლის 247-ე სადესანტო-მოიერიშე პოლკის ტაქტიკური ჯგუფი საბრძოლო ტექნიკით შავი ზღვის ფლოტის ორმა დიდმა სადესანტო ხომალდმა ჩამოიყვანა.

სამხედრო-სატრანსპორტო ავიაციამ აფხაზეთში ულიანოვსკიდან 31-ე ცალკეული სადესანტო-მოიერიშე ბრიგადის 450-კაციანი საბატალიონო ტაქტიკური ჯგუფი გადმოისროლა. სულ აფხაზეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ 2695 მედესანტე მოქმედებდა.

სამეგრელოს მოსახლეობას კიდევ დიდხანს ემახსოვრება რუს მედესანტეთა ჯავშნიანი მანქანებისა და სატვირთო ავტომობილების კოლონათა თარეში. „მშვიდობის იძულების" ოპერაციაში რუსეთის ელიტური საჰაერო-სადესანტო ჯარების ნაწილების მონაწილეობა, ძირითადად, ქართული არმიის სამხედრო ობიექტების განადგურება-ძარცვაში გამოიხატა. სენაკის სამხედრო ბაზიდან 70 ერთეული ჯავშანტექნიკა გაიტანეს. მათ შორის 20 ტანკი Т-72, 10 ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМП-2, რამდენიმე მსუბუქად დაჯავშნული ჯავშანტრანსპორტიორი МТ-ЛБ, საინჟინრო ტექნიკის რამდენიმე ერთეული და ა.შ.. რუსმა მედესანტეებმა წაიღეს საჰაერო თავდაცვის კომპლექს Бук-М1-ის ორი გამშვები დანადგარი, ორი ათასზე მეტი ცეცხლსასროლი იარაღი, ათასზე მეტი ტანკსაწინააღმდეგო და ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმი და მილიონობით ვაზნა. ფოთიდან გაიტანეს ათასზე მეტი ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტა „შტურმი", სწრაფსვლიანი სადესანტო კატარღები და სხვა ტექნიკა.

რუსმა მედესანტეებმა ხელს გააყოლეს ქართველი სამხედროების უნიფორმები, საყოფაცხოვრებო თუ პირადი მოხმარების ნივთები, რასაც ვერ შესწვდნენ, გაანადგურეს.

საქართველოში „მშვიდობის დასამყარებლად" გამოგზავნილმა სტავროპოლელმა მედესანტეებმა კი სამარის მე-15 სამშვიდობო ბატალიონის ასეულთან ერთად კოდორის მისასვლელები გადაკეტეს და აფხაზებს ხეობაზე შეიარაღებული თავდასხმისათვის ხელსაყრელი პირობები შეუქმნეს.

დასავლეთ საქართველოში ჩატარებული ოპერაცია მე-7 დივიზიის პირადი შემადგენლობისათვის უსისხლოდ მაინც არ დასრულებულა. მარშის დროს ჯავშანტრანსპორტიორების ხეობაში გადავარდნას ორი ოფიცრის სიცოცხლე ემსხვერპლა.

24 აგვისტოს მე-7 დივიზიის ერთი ნაწილი სამმა დიდმა სადესანტო ხომალდმა აფხაზეთიდან გაიყვანა. მედესანტეთა საბრძოლო ტექნიკა იმდენად დაძველებულ-გაუმართავი გამოდგა, რომ ხომალდებზე დატვირთვამ დაგეგმილზე ბევრად მეტი დრო მოითხოვა.

მეორე დღეს 25 აგვისტოს საღამოს ოჩამჩირიდან ახალშეკეთებული რკინიგზის ხაზით სტავროპოლელი და ულიანოვსკელი მედესანტეები ეშელონებით თავიანთი დისლოკაციის მუდმივი ადგილებისაკენ გაემგზავრნენ.

მედესანტეთა ერთი ნაწილი საბრძოლო ტექნიკასთან ერთად საქართველოს ტერიტორიის ოკუპირებულ ნაწილებში ე.წ. სამშვიდობო ძალების სახელით ჯერ კიდევ რჩება.

საქართველოს ოკუპაცია რუსეთის საჰაერო-სადესანტო ჯარების ისტორიაში „გმირულ ეპოპეად" ჩაიწერა — ბევრმა მედესანტე ოფიცერმა თუ რიგითმა ამისათვის სახელმწიფო ჯილდოები დაიმსახურა.

თემურ ჩაჩანიძე

ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМД-2 საჰაერო-სადესანტო ჯარებშია ყველაზე გავრცელებული



# კროსვორდი




**თარაზულად** 5. იტალიის არმიის საუკეთესო ქვეითი ნაწილების ჯარისკაცი; 6. ფაშისტური გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი; 7. ფეთქებადი ნივთიერება; 8. ინდონეზიური პისტოლეტი; 13. ავსტრიული პისტოლეტი; 14. ისრაელის არმია; 15. სწრაფი თავდასხმა მოწინააღმდეგეზე; 17. გზა ფრონტის ხაზის გასწვრივ; 19. სხვადასხვაგვარი ცეცხლსასროლი იარაღის მწარმოებელი ავსტრიული ფირმა; 21. ღვთისმშობლის სახელწოდება კათოლიკეებში; 22. პლანეტა იუპიტერის თანამგზავრი; 23. ოფიცრის წოდება გენერალს ზევით; 25. ციხესიმაგრის კედელი; 26. რუსული შვეულმფრენი; 27. გერმანული პისტოლეტი; 30. შოტლანდიური ვისკი; 32. მუნიციპალიტეტი.

**შვეულად** 1. ესპანეთის ფეხბურთის გუნდი; 2. მსხვილკალიბრიანი პისტოლეტებისა და თოფების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 3. საფრანგეთის სამხედრო მოღვაწე, მარშალი; 4. დიდი ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ძალების მცურავი სახელოსნო; 8. ამერიკული ფრთოსანი რაკეტა; 9. ქვეყანა აფრიკაში; 10. სატანვარჯიშო იარაღი; 11. რამდენიმე ქვემეხის ხშირი გასროლა ერთდროულად; 12. ამერიკული აიამზიდი; 16. ამერიკული პისტოლეტის „ჰაი სტანდარდის“ მოდელი; 18. ბელგიური რევოლური; 20. ჩრდილოამერიკელ ინდიელთა საბრძოლო იარაღი — მსუბუქი ნაჯახი, რომელსაც შორიდან სასროლად იყენებენ; 24. ფინური პისტოლეტი; 25. უდაბნო აზიაში; 28. უნგრული პისტოლეტი; 29. წყლის ტრანსპორტი; 31. ერნესტო გევარას მეტსახელი.

*ჟურნალის წინა ნომერში გამოქვეყნებული „კროსვორდის“ პასუხები:* **თარაზულად:** 1. მაელი; 5. საურო; 6. კაპიტანი; 8. ყარარაკა; 10. ლამბორგინი; 13. რაბატი; 15. დაბური; 16. ასპიდე; 17. ტარანი; 19. ვერსია; 20. მედინა; 22. მამბა; 24. ბუმერანგი; 26. რიონი; 28. ნივა; 29. ატილა; 30. ხიდი. **შვეულად:** 1. მუშკეტი; 2. ეკიპაჟი; 3. მუხიკა; 4. მოჰიკანი; 5. სპა; 7. ტერორი; 9. რობესპიერი; 10. ლანდშტურმი; 11. ბლოუპაიპი; 12. რაშიდი; 14. ტრადიცია; 16. არავა; 18. ბასრა; 19. ვერსია; 21. დრულოვი; 22. მუნდირი; 23. მაიბახი; 25. ერმა; 27. ირა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თურქეთი ახალი თაობის ხომალდებს აგებს



„კილიჩის“ სერიის სარაკეტო კატარლა

**თურქეთს სამხედრო გემთმშენებლობის ხანგრძლივი ისტორია აქვს. 1390 წელს გალიპოლისში (გელიბოლუ) საფუძველი ჩაეყარა პირველ ვერფს, ხოლო 1544 წელს ოქროს რქის ყურეში, იმდროინდელ ევროპაში უდიდესი გემთსაშენის მშენებლობა დაიწყო.**

1974 წელს კუნძულ კვიპროსზე შეჭრის გამო თურქეთს იარაღის მიწოდების ემბარგო დაუწესდა და ქვეყნის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, თავდაცვითი მრეწველობისათვის მეტი ყურადღება დაეთმო. სამამულო გემთსაშენებმა სახელმწიფოსგან გამოყოფილი დამატებითი თანხებით სწრაფად დაიწყეს განვითარება. მანამდე თურქეთი სამხედრო დანიშნულების ხომალდებსა და კატარღებს სხვა ქვეყნებში ყიდულობდა ან დახმარების პროგრამებით საჩუქრად იღებდა. დღეისათვის თურქეთის სამხედრო-საზღვაო ძალები რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებით შავიზღვისპირა ქვეყნებს შორის ლიდერია.

თურქეთის გემთსაშენებს მაღალი სამრეწველო და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი აქვს, რომლის ფორმირებაში დასავლეთის ქვეყნებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს, უპირველესად კი გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ. გერმანია-თურქეთის საზღვაო თანამშრომლობას დიდი ხნის ტრადიცია აქვს და ის ამჟამადაც ინტენსიურია.

გერმანული კომპანია „ბლომ უნდ ვოსის“ დახმარებითა და ხელშეწყობით გიოლჯუკში MEKO-200-ის პროექტით „იავუზისა“ და „ბარბაროსას“ სერიის ოროთხი თანამედროვე ფრეგატი აიგო.

იმავე კომპანიასთან ერთობლივად მიმდინარეობდა MEKO-100 პროექტის კორვეტზე მუშაობა, მაგრამ თურქეთმა 2000 წლიდან დამოუკიდებლად მუშაობა ამჯობინა და 2004 წლის მარტში მომავლის ხომალდის პროექტი დასრულდა.

ახალი პროექტი MILGEM-ის, ანუ ეროვნული ხომალდის სახელით არის ცნობილი. პროექტს კონცეფციითა და დიზაინით „ლოქჰიდ მარტინის“ 3000 ტონა წყალწყვის სანაპირო ზოლის ხომალდთან (პროექტი LCS) ბევრი საერთო აქვს. მასში ფართოდ არის გამოყენებული „სტელსის“ საფუძველზე შექმნილი ტექნოლოგიები და მასალები.

ახალი ხომალდების დანიშნულება იქნება საჰაერო სამიზნეების ადრეული აღმოჩენა, იდენტიფიცირება და თანხლება, წყალქვეშა ნავებთან ბრძოლა, დაზვერვა, ესკორტირება, პორტებისა და სადგომების დაცვა, წარმომადგენლობითი მოვალეობის შესრულება და ა.შ..

MILGEM-ის პროექტის კორვეტის წყალწყვა 2000 ტონა, სიგრძე 99 მეტრი და წყალჯდომი 3,76 მეტრია. ძალოვან დანადგარში საერთო 43030 ცხენის ძალის ერთი აირტურბინა და ორი დიზელის ძრავა შედის. სიჩქარე 29 კვანძზე მეტია და ეკონომიური 15 კვანძით 3500 მილზე ცურვა არის შესაძლებელი. ავტონომიურობა 21 დღეზეა გათვლილი და ეკიპაჟი ას კაცზე მეტს ითვლის.

კორვეტის შეიარაღებაში შედის ერთი 76 მმ-იანი ქვემეხი, ორი 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევი ავტომატური და ხელით მართვის რეჟიმებით, 8 ხომალდსაწინააღმდეგო ფრთოსანი რაკეტა „ჰარპუნი“, 21 საზენიტო რაკეტა RAM, 324 მმ-იანი 2X3 სატორპედო აპარატი წყალქვეშა ნავსაწინააღმდეგო ტორპედოებით, ერთი შვეულმფრენი ან უპილოტო საფრენი აპარატები.

პროექტის პირველ ხომალდს „ჰეიბელიადას“ სტამბოლის სამხედრო-საზღვაო ვერფზე საფუძველი 2005 წლის 26 ივნისს ჩაეყარა და კორვეტის წყალში ჩაშვება თურქეთის ფლოტისათვის ღირსშესანიშნავ დღეს, 2008 წლის 27 სექტემბერს შედგა.

MILGEM-ის პროექტის ხომალდი



ეროვნული ბიბლიოთეკა

1538 წლის 27 სექტემბერს პრევეზესთან ქაფუდან ფაშა ჰაირედინ ბარბაროსამ გაბედული მოქმედებებით ანდრეა დორიას ქრისტიანული ქვეყნების გაერთიანებული ფლოტი დაამარცხა.

„ჰეიბელიადას" დასრულება და ფლოტისათვის გადაცემა 2011 წლისათვის არის მოსალოდნელი.

MILGEM-ის პროექტი 2028 წლისათვის დასრულდება და განზრახულია სულ რვა კორვეტისა და ოთხი ფრეგატის კლასის ხომალდის აგება.

კორვეტისაგან განსხვავებით ფრეგატს (პროექტი F-100) გაზრდილი ზომები და შეიარაღების განსხვავებული სისტემები აქვს. კერძოდ, საზენიტო, ხომალდ და წყალქვეშა ნავსაწინააღმდეგო რაკეტებისათვის Mk.41 – ვერტიკალური სტარტის უნივერსალური დანადგარის გამოყენება არის გადაწყვეტილი.




თურქული სამხედრო ხომალდის მართვის ცენტრალური პოსტი

F-100 პროექტის ხომალდებზე აპრობირება უნდა გაიაროს ყველა იმ სისტემამ, მოწყობილობამ თუ ტექნოლოგიურმა სიახლემ, რომლითაც სამომავლოდ 5500 ტონა წყალწყვის TF-2000 პროექტის საესკადრო ნაღმოსნები აღიჭურვება.

თურქული პროექტის კორვეტებით უკვე დაინტერესდა პაკისტანის სამხედრო-საზღვაო ძალები და 2007 წლის აპრილიდან 4 ხომალდის თაობაზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს. ისლამაბადს ერთი ხომალდის თურქეთში და სამის საკუთარ ვერფებზე აგება სურს.

ახალი თურქული ხომალდების დაპროექტებასა და მშენებლობას მთლიანად სტამბოლის გემთსაშენი ქარხანა „სტამბოლი" უზრუნველყოფს, რომელიც ორ საწარმოს – „პენდიკსა" და „ტაშქიზაქს" აერთიანებს.

თურქეთის სამხედრო-საზღვაო ძალების ახალი პროექტების ხომალდებით შევსებაში დიდი ადგილი ეთმობა წყალქვეშა ნავების მშენებლობას. ამჟამად წყალქვეშა ნავების რაოდენობით თურქეთი შავიზღვისპირა ყველა ქვეყანას ერთად აღებულს აღემატება. რუსეთის მხრიდან მხოლოდ შავი ზღვის ფლოტი იგულისხმება.

წყალქვეშა ნავების მშენებლობაში თანამშრომლობა მსოფლიოში ერთ-ერთ აღიარებულ და ლიდერ გერმანულ კომპანია HDW-სთან ისევ გრძელდება.

1976-90 წლებში გიოლჯუკის ვერფებზე გერმანული კომპანიის 209/1200 პროექტის 3 და 1989-2008 წლებში 209/1400 პროექტის 8 წყალქვეშა ნავი აიგო.

2008 წლის ივლისში თურქეთის თავდაცვის მინისტრმა ვეჯდი ღონულმა განაცხადა, რომ გადაწყდა გერმანული 214 პროექტის 6 დიზელელექტრული წყალქვეშა ნავის აგება. კონტრაქტი გერმანულ-ბრიტანულ კონსორციუმ HDW/MFI-თან უკვე გაფორმდა და მისი ღირებულება დაახლოებით 2.5 მილიარდი დოლარია.

პირველი წყალქვეშა ნავის წყალში ჩაშვება 2015 წელს მოხდება და ყოველ მომდევნო წელს თურქეთის ფლოტი თითო სუბმარინს მიიღებს.

214 პროექტის წყალქვეშა ნავის წყალქვეშა წყალწყვა 1800 ტონას და სიგრძე 65,3 მეტრს შეადგენს. ჩაყვინთვის ზღვრული სიღრმე 400 მეტრია. წყალქვეშა სიჩქარე 20 კვანძია, ხოლო ცურვის სიშორე 12 ათასი მილი. ავტონომიურობა 12 კვირაზეა გათვლილი.

ძალოვან დანადგარში შემავალი დიზელის ძრავა წყალქვეშ ცურვისათვის ბორტის გარედან ატმოსფერული ჰაერის მიღების შნორკელის სისტემით არის აღჭურვილი.

გარდა ამისა, ნავს აქვს ელექტროქიმიური გენერატორი, რომლის ელემენტებში წყალბადისა და ჟანგბადის შეერთება ელექტროენერგიას იძლევა. პროცესი უხმაუროდ მიმდინარეობს და მისი ერთადერთი ნარჩენი პროდუქტი დისტილირებული წყალია. ამ გზით მიღებული ელექტროენერგია 4 კვანძით წყალქვეშ 1248 მილის გაცურვას უზრუნველყოფს.



400 ტონა წყალწყვის საპატრულო კატარღა

წყალქვეშა ნავს 533 მმ-იანი 8 სატორპედო აპარატი აქვს, ხოლო ხომალდსაწინააღმდეგო ფრთოსანი რაკეტებისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალქვეშა ნავსაწინააღმდეგო ტორპედოების მარაგი 14 ერთეულს შეადგენს.

თანამედროვე აპარატურის, იარაღის მართვის ინტეგრირებული სისტემისა და ავტომატიზაციის მაღალი ხარისხის ხარჯზე ეკიპაჟი მხოლოდ 27 კაცისაგან შედგება.

მშენებლობა გიოლჯუკის გემთსაშენ ქარხანაში დაიწყება და საჭირო მასალების, აგრეგატებისა და სისტემების დაახლოებით 80% თურქულ საწარმოებში დამზადდება.

ეგეოსისა და შავ ზღვებში სტრატეგიული ბალანსის შენარჩუნების მიზნით 2007 წლის დასაწყისში თურქულ კერძო კომპანია RMK-სა და იტალიურ „ფინკანტიერის“ შორის ხელი მოეწერა 325 მილიონი დოლარის ღირებულების კონტრაქტს, რომელიც 4 დიდი საძიებო-სამაშველო დანიშნულების ხომალდის მშენებლობას შეეხება.



შვეულმფრენი T-129

ხომალდები ტექნიკური პარამეტრებითა და შეიარაღებით 1700 ტონა წყალწყვის იტალიური „სირიოს“ მსგავსი იქნება.

2007 წლის აგვისტოში კერძო კომპანია „დეარსანმა“ თურქეთის სამხედრო-საზღვაო ძალებისა და სანაპირო დაცვისათვის 16 საპატრულო კატარღის აგების შეკვეთა მიიღო.

კატარღებმა სრუტეებში, სამხედრო-საზღვაო ბაზებსა თუ პორტებში, სანაპიროს დახურულ რაიონებში უნდა უზრუნველყონ დაზვერვა, პატრულირება, წყალქვეშა ნავებთან ბრძოლა, საზღვაო ბაზებისა და სადგომების დაცვა, საჰაერო თავდაცვის ამოცანათა გადაწყვეტა და ა.შ..

400 ტონა წყალწყვის კატარღის სიგრძე 56 მეტრი, წყალჯდომი 2,5 მეტრი და ცურვის სიშორე 2 ათას მილია. ძალურ დანადგარში გერმანული MTU-ის ორი დიზელის ძრავა შედის საერთო 7300 ცხენის ძალით, რაც 25 კვანძს უზრუნველყოფს. ეკიპაჟი 34 კაცისაგან შედგება.

კატარღა აღჭურვილია „ოტო მელარის“ 40 მმ-იანი შეწყვილებული საარტილერიო დანადგარით, ორი 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევით, საზენიტო რაკეტებითა და სხვა საშუალებებით.

კატარღების მშენებლობისათვის საჭირო მასალების, სისტემებისა და აგრეგატების 69% თურქეთზე მოდის. განიხილება პროექტის საექსპორტო შესაძლებლობებიც.

კატარღების მშენებლობაში ბოლო დროს კიდევ ერთი კერძო კომპანია „იონჯ იონუკი“ დაწინაურდა და ბაზარზე აღიარებაც მოიპოვა.

კომპანიაში შექმნილი KAAN-ის პროექტის საპატრულო კატარღები – KAAN-15-ს (სიგრძით 7,7 მეტრი), KAAN-19-ს (სიგრძით 15,4 მეტრი), KAAN-29-სა (სიგრძით 31 მეტრი) და KAAN-33-ს (სიგრძით 35 მეტრი) აერთიანებს.

„იონჯ იონუკი“ თურქეთის სანაპირო დაცვისათვის KAAN-ის პროექტის კატარღებს 1999 წლიდან აგებს. 2011 წლისათვის KAAN-33-ის კატარღების რაოდენობა 5-დან 16-მდე უნდა გაიზარდოს. შედარებით პატარა სიგრძის კატარღები 27 ერთეულით მოიმატებს.

კარგი საექსპლუატაციო-საბრძოლო თვისებების გამო KAAN-ის პროექტმა დაინტერესება სხვა ქვეყნებშიც გამოიწვია.

პაკისტანის სამხედრო-საზღვაო ძალებს KAAN-33-ის სერიის ორი კატარღა „ზარარი“ და „კარარი“ შემტევი შეიარაღებითა და ორიც საპატრულო დანიშნულების უკვე გადაეცა.

2008 წელს საქართველოს სანაპირო დაცვამ იმავე კომპანიისაგან საპატრულო სამსახურისათვის განკუთვნილი კატარღა „სოხუმი“ მიიღო და სამომავლოდ მოსალოდნელია კიდევ რამდენიმე ახალი კატარღის აგება.

ივლისში კომპანია „იონჯ იონუკის“ წარმომადგენელი თურქეთის თავდაცვითი მრეწველობის დელეგაციის შემადგენლობაში აზერბაიჯანს ესტუმრა. კომპანია აზერბაიჯანს კასპიის ზღვის პირობებისათვის შესაფერის კატარღებსა და ხომალდებს სთავაზობს. ბაქოში ახალი გემთსაშენი ქარხნის მშენებლობით დაინტერესება და დახმარების გაწევის სურვილი გამოითქვა.

თურქები არც მოძველებულ ხომალდებს ივიწყებენ და მოდერნიზაციით, უახლესი შეიარაღებით აღჭურვის გზით თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოჰყავთ.

თურქეთმა 2008 წლის აპრილში ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამის უწყებას ვერტიკალური სტარტის დანადგარ Mk.41-ის 6 კომპლექსისა და შესაბამისი მოწყობილობებისა შეძენის თხოვნით მიმართა. კონტრაქტის ღირებულება 227 მილიონი დოლარია. 2 კომპლექსი MEKO-200 პროექტის და 4 კი „ოლივერ პერის“ პროექტის ფრეგატებისათვის არის გათვალისწინებული. დანადგარი Mk.41 და საზენიტო ESSM ტიპის უახლესი რაკეტები მოდერნიზებული ხომალდების საჰაერო თავდაცვის შესაძლებლობებს ბევრად აამაღლებს.

2011 წლისათვის დაგეგმილია თურქეთის ფლოტის რაოდენობრივი ზრდა, სადაც ფრეგატების რაოდენობა 27-ს, წყალქვეშა ნავების – 20-ს, კორვეტების – 18-ს, სარაკეტო კატარღების – 47-ს, KAAN-ის სერიის საპატრულო კატარღების – 85-ს, სანაპირო დაცვის საპატრულო ხომალდების – 22-სა და საძიებო-სამაშველო ხომალდების – 4-ს მიაღწევს.

თურქეთი უკვე ფიქრობს ფლოტისათვის შვეულმფრენმზიდის აგებას და ამ მიმართულებით საძიებო-საკვლევი სამუშაოები იტალიურ კომპანიებთან გრძელდება. ხომალდის წყალწყვა 15-დან 18 ათას ტონამდე იქნება და მასზე განთავსდება 18 მსუბუქი შვეულმფრენი T-129, რომელიც იტალიური „აუგუსტო ბელი“ A-129-ის თურქულ ვარიანტს წარმოადგენს.

თურქეთის სამხედრო-საზღვაო ძალებისათვის მიმდინარე წლის 25 ივლისი ღირსშესანიშნავი გამოდგა. იმ დღეს სამხედრო მეზღვაურებს 209/1400 პროექტის ბოლო წყალქვეშა ნავი S 360 „ბირინჯ ინენიუ“ და მოიერიშე სადესანტო კატარღა გადაეცა, ხოლო სანაპირო დაცვას ორი საპატრულო კატარღა შემატა.

*თემურ ჩაჩანიძე*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოხუმი 1992-93 წლების კონფლიქტის მონაწილეებს არ ივიწყებს

**30 სექტემბერს სოხუმში სეპარატისტულმა ხელისუფლებამ საქართველოზე გამარჯვების მე-15 წლისთავი აღლუმით აღნიშნა.**



აფხაზური „ალბატროსები" კოდორის ხეობის დაბომბვაში მონაწილეობდნენ

ის მოსკოვის ტრადიციულ, 9 მაისის აღლუმებს ძალიან ჰგავდა. მსვლელობა გუმისთისა და აღმოსავლეთის ფრონტების ვეტერანებმა გახსნეს. მათ მიჰყვნენ 1992-93 წლების კონფლიქტში მონაწილე ჩრდილოკავკასიელი და რუსი მოხალისეები. ამის შემდეგ კაპიტანმა რობერტ კოლონიამ გამარჯვების დროშა გამოატარა, რომელიც 1993 წლის 30 სექტემბერს მდინარე ენგურთან რაფაელ ამპარმა და აფხაზეთის გმირმა შამილ არძინბამ აღმართეს.

აფხაზეთის არმია მე-2 ცალკეულმა საზღვაო ქვეითთა და მე-3 ცალკეულმა სამთო-მსროლელმა ბატალიონებმა, აფხაზეთის, ყუბანისა და დონის კაზაკთა დანაყოფებმა წარადგინეს.

მოედანზე გაატარეს ყუბანის კაზაკთა ჯარების სოხუმის კაზაკთა განსაკუთრებული განყოფილების კაზაკების დროშა, რომელიც პოლკოვნიკ ვასილჩენკოს მოჰქონდა. ჩაიარა უკრაინიდან სპეციალურად ჩამოსულმა კაზაკთა 60-კაციანმა კოლონამ. ამით მიანიშნეს, რომ უკრაინელთა ნაწილი მხარს სოხუმს უჭერს.



2008 წლის 30 სექტემბერი, სოხუმი. სეპარატისტები გამარჯვებას ზეიმობენ

კაზაკების მსვლელობა სოხუმის უმაღლესი საერთო-საჯარისო სამეთაურო სასწავლებლისა და სოხუმის მილიციის სკოლის კურსანტებმა დაასრულეს.

აღლუმის დასკვნითი ნაწილი სხვადასხვა კალიბრის საარტილერიო სისტემების, ზალპური ცეცხლის „გრადის" ტიპის დანადგარების, ჯავშანტრანსპორტიორების, ტანკების, შვეულმფრენებისა და საბრძოლო თვითმფრინავების დემონსტრირებას დაეთმო.

სეპარატისტების საზეიმო განწყობას კიდევ უფრო აძლიერებდა კოდორის ოპერაციის წარმატებით დასრულება. აფხაზთა ფორმირებებმა რუსეთის ე.წ. სამშვიდობო ძალების, რუსული ავიაციისა და შავი ზღვის ფლოტის ხომალდების მხარდაჭერით ხეობის თითქმის უდანაკარგოდ დაკავება შეძლეს.

რამდენიმედღიანი საავიაციო, საარტილერიო თუ სარაკეტო დაბომბვების შემდეგ, როცა ხეობა ქართულმა ქვედანაყოფებმა და მოსახლეობამ დაცალა, 12 აგვისტოს აფხაზური ავიაციის ოთხმა Ми-8 ტიპის შვეულმფრენმა კოდორში ნახევარ დღეში ოთხასზე მეტი სამთო-მსროლელი და რეზერვისტი (1992-93 წლების კონფლიქტის მონაწილეები) გადმოსხა. ოპერაციას პოლკოვნიკი ვიქტორ ტვამბა მეთაურობდა, ხოლო რუსებთან მოქმედებებს კოორდინაციას სეპარატისტთა თავდაცვის მინისტრის მოადგილე, გენერლ-მაიორი ზაკან ნამბა უკეთებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხედროებს გამარჯვება დაუფასდათ და ტვამბას მორიგი წოდება — გენერალ-მაიორი, ხოლო ნამბას კი — გენერალ-ლეიტენანტი მიენიჭა.

ცხინვალში ბრძოლების დაწყების პარალელურად ბაღაფშმა ქართული პასუხისმგებლობის ზონაში (კოდორის ხეობა) წესრიგის დასამყარებლად აფხაზური ჯარების ე.წ. რუს სამშვიდობოებთან ერთობლივი მოქმედების სურვილი ჯერ კიდევ 10 აგვისტოს გამოთქვა და იქვე დასძინა, რომ ამით ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე მოსკოვის შეთანხმება დაირღვეოდა.

მოსკოვის 1994 წლის 14 მაისის შეთანხმება, რომელსაც საქართველოს მხრიდან ხელს ჯაბა იოსელიანი აწერდა, ცეცხლის შეწყვეტის აუცილებელ დაცვასა და სამხედრო მოქმედებებისაგან თავშეკავებას მოითხოვდა. მიუხედავად ამისა, სოხუმმა თავისი მიზნების მისაღწევად შეთანხმება დაარღვია.

საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან დიდი ხნის წინ დაწყებული ბრძოლა აფხაზმა სეპარატისტებმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევითა და რუსეთისგან სახელმწიფოებრიობის აღიარებით დაასრულეს.

სეპარატისტული მოძრაობისათვის მოსკოვის მუდმივმა მხარდაჭერამ, 1992-93 წლებში ფულით, იარაღითა და ცოცხალი ძალით გაწეულმა დახმარებამ, საბრძოლო მოქმედებებში რუსეთის არმიის უშუალო მონაწილეობამ კონფლიქტის მსვლელობაზე გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია.

სოხუმის მონაცემებით, 1992-93 წლებში აფხაზთა მხარეს დაახლოებით 12 ათასამდე კაცი იბრძოდა, საიდანაც 5-დან 7 ათასამდე სხვა ქვეყნების მოქალაქე იყო. მათ დიდ ნაწილს რუსეთის ჩრდილო კავკასიიდან და სხვა რეგიონებიდან ჩამოსული მოხალისეები შეადგენდნენ. მებრძოლთა შორის იყვნენ უკრაინის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, სომხეთის, ყაზახეთის, აგრეთვე თურქეთის, სირიის, იორდანიისა და სხვა ქვეყნების მოქალაქეებიც.

ცოცხალი ძალის დანაკარგს აფხაზები ეროვნების მიხედვით აღრიცხავენ. მართლაც, კონფლიქტში სეპარატისტთა მხარეს იბრძოდნენ რუსები, ბელორუსები, თათრები, აბაზინები, ადიღელები, ბალყარელები, ინგუშები, ყაბარდოელები, ყარაჩაელები, ოსები, ჩერქეზები, ჩეჩნები და სხვ. ყველაზე ბევრნი ყაბარდოელები იყვნენ, საბრძოლო მოქმედებებში დაახლოებით 1500 ყაბარდოელი მონაწილეობდა. დაღუპულია 64, დაჭრილ-დაინვალიდებულია 68 და უკვალოდ დაკარგულია 3 კაცი.

ყაბარდოელთა დაღვრილი სისხლი სეპარატისტებმა სათანადოდ დააფასეს და 12 მათგანს აფხაზეთის გმირობა მიანიჭეს. აფხაზეთის გმირის წოდებას ატარებს საბჭოთა უშიშროების თანამშრომელი და კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის პრეზიდენტი მუსა შანიბოვი, სეპარატისტთა ყოფილი თავდაცვის მინისტრი სულთან სოსნალიევი და სხვები.

აფხაზეთში 445 ჩეჩენიც იბრძოდა, თუმცა არსებობს განსხვავებული მონაცემიც — 1500 კაცი. კონფლიქტში ჩეჩნების მონაწილეობას კონკრეტული მიზანი ჰქონდა. ჩეჩნეთის მაშინდელი პრეზიდენტი, საბჭოთა არმიის გენერალი ჯოჰარ დუდაევი რუსეთთან ომის გარდაუვალობას ხედავდა და სურდა კონფლიქტებში საბრძოლო გამოცდილება რაც შეიძლება ბევრ ჩეჩენს მიეღო. ჩეჩენთაგან დაიღუპა 75 და დაიჭრა 147 ჩეჩენი მებრძოლი.

აფხაზეთის კონფლიქტში „ამობრწყინდა" შამილ ბასაევის სახელიც. 1993 წლის იანვრიდან შამილ ბასაევი მთიელ ხალხთა კონფედერაციის ძალების სარდალია. რუსეთისათვის №1 ტერორისტი აფხაზეთის გმირის წოდებას ატარებდა.

აფხაზეთის არმიის პირველი ტანკი




აფხაზი რეზერვისტები არმიის მთავარ ბირთვს ქმნიან



ეროვნული ბიბლიოთეკა



T-55 სეპარატისტების შეიარაღებაში

კიდევ ერთი ჩრდილოკავკასიელი ერი, რომელმაც აფხაზებისათვის ბევრი სისხლი გაიღო, ადიღელები იყვნენ. სეპარატისტთა მხარეს რამდენიმე ასეული ადიღელი იბრძოდა და მათგან 71 კაცი დაიღუპა.

კონფლიქტში მონაწილე სამხრეთ ოსების რაზმი დაახლოებით ასამდე კაცს ითვლიდა, მას ვალერი ხუბულოვი მეთაურობდა, რომელმაც ლენინის ორდენი დაიმსახურა.

აფხაზთა მონაცემებით, სეპარატისტთა ფორმირებებში დაახლოებით 1500 სომეხი იბრძოდა. ეს ციფრი, ალბათ, გადაჭარბებულია, ამით სეპარატისტებს კონფლიქტში სომხების გამორჩეული „დამსახურება" სურთ გამოხატონ.

ბაგრამიანის სახელობის 1-ელი სომხური ბატალიონი 350-დან 500-მდე მებრძოლს ითვლიდა, ხოლო კონფლიქტის დასკვნით ეტაპზე აღმოსავლეთის ფრონტზე მე-2 სომხური ბატალიონიც გამოჩნდა. აფხაზური მონაცემებით, 1992-93 წლებში 1-ელი ბატალიონის დანაკარგმა 46 კაცი შეადგინა, თუმცა ეს ციფრი არაზუსტია და ის ბევრად დიდი უნდა იყოს.

დონისა და ყუბანის კაზაკები ერთ-ერთი პირველნი შემოვიდნენ აფხაზეთში და სეპარატისტებს დიდი სამხედრო დახმარება გაუწიეს. პრაქტიკულად ყველა ოპერაცია კაზაკთა რაზმების მონაწილეობით მიმდინარეობდა და 60-ზე მეტი მათგანი ბრძოლაში დაიღუპა.

აფხაზეთის თავდაცვის სამინისტროს მონაცემებით, 13-თვიან კონფლიქტში 2700 კაცი დაიღუპა, 5000 დაიჭრა და 200 უკვალოდ დაიკარგა. დაღუპულთაგან 853 არააფხაზი, მათ შორის 268 მთიელ ხალხთა კონფედერაციის მოხალისეა.

სეპარატისტთა მხარეს რამდენიმე ათასი რუსიც იბრძოდა, აქედან დაახლოებით 400-500 მებრძოლი ბრძოლაში დაკარგეს. რუსების ერთი ნაწილი მოხალისეები, ხოლო მეორე კი რუსეთის არმიის სამხედრო მოსამსახურენი არიან. შეიძლება ითქვას, რომ რუსეთმა თავის მოქალაქეთა სიცოცხლის ხარჯზე სეპარატისტებს გამარჯვება მოუტანა.

რუსეთის თავდაცვის სამინისტრო 1992-93 წლების კონფლიქტში რუსეთის შეიარაღებული ძალების მონაწილეობისა და ამით გამოწვეული დანაკარგის შესახებ შემდეგ ოფიციალურ მონაცემებს იძლევა: ბრძოლებში დაღუპული ან ბრძოლების დროს მიღებული ჭრილობებისაგან გარდაცვლილი არიან 11 ოფიცერი, 5 სერჟანტი და 23 ჯარისკაცი, ანუ სულ 39 სამხედრო მოსამსახურე.

გარდა ამისა, არასაბრძოლო ვითარებაში ავადმყოფობით, კატასტროფებში და სხვა შემთხვევებისაგან კიდევ 34 სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა.

1992-93 წლებში აფხაზეთში რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა სულ 73 სამხედრო დაკარგა, 369 დაიჭრა, კონტუზია, ტრავმა ან დამწვრობა მიიღო.

ცნობილია რუსი სამხედროების დაღუპვის ცალკეული შემთხვევა: 1992 წლის 14 დეკემბერს სოფელ ლათასთან ჩამოგდებულ 325-ე სატრანსპორტო-საბრძოლო შვეულმფრენთა პოლკის Ми-8Т ტიპის შვეულმფრენში ეკიპაჟი – 3 ოფიცერი დაიღუპა. კიდევ ერთი დაღუპული ოფიცერი 1993 წლის 19 მარტს სოხუმის მახლობლად ჩამოგდებულ 171-ე გვარდიულ გამანადგურებელთა საავიაციო პოლკის მფრინავი მაიორი ვაცლავ შიპკო იყო.

345-ე საპარაშუტო-სადესანტო პოლკიდან 3 სამხედროა დაღუპული, რუსების საარტილერიო-საავიაციო დაბომბვებს სოხუმში სანატორიუმების დასაცავად შემოყვანილი 901-ე ცალკეული სადესანტო-მოიერიშე ბატალიონის ორი სამხედრო მოსამსახურეც შეეწირა.

რუსეთის თავდაცვის სამინისტრო დანაკარგის ამსახველი ზუსტი მონაცემების გამოქვეყნებას ყოველთვის ერიდება, ასე ცდილობს კონფლიქტებში თავისი მონაწილეობის რაც შეიძლება მცდარი სურათი შექმნას.

სეპარატისტებმა გამარჯვების მე-15 წლისთავი აღლუმთან ერთად 1992-93 წლების კონფლიქტში მონაწილეთა დიდი ჯგუფის აფხაზური ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების ცერემონიალით აღნიშნეს. აფხაზეთის გმირთა რიგებს 7 კაცი დაემატა. ლენინის ორდენით 136 მებრძოლის განსაკუთრებული სიმამაცე, თავგანწირვა და გმირობა აღინიშნა, ხოლო მედლით მამაცობისათვის 539 კაცი დაჯილდოვდა.

კოდორის ოპერაციის შემდეგ სეპარატისტებმა ახალი ორდენი – „მამაცობისთვის" შემოიღეს, რომელიც 57 სამხედროს გადაეცა. მათ რიცხვში აღმოჩნდა რუსეთის არმიის ოფიცერი, ამჟამად აფხაზეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-პოლკოვნიკი ანატოლი ზაიცევი, აგრეთვე ე.წ. რუსეთის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები, პოლკოვნიკები ალექსანდრ მელნიკოვი და ალექსანდრ პავლუშკო.

*თემურ ჩაჩანიძე*



ეროვნული ბიბლიოთეკა

# Calico



Calico M100.22LR

# ყველაზე უცნაური პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი

**კვოტამ ათვაზნიან მჭიდზე დაასამარა ერთ-ერთი ყველაზე ორიგინალური ამერიკული პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის მომავალი**



მეორე მსოფლიო ომის დროს პისტოლეტ-ტყვიამფრქვევების ბუმი იყო. გერმანული MP38 და MP40, საბჭოთა ППД, ППШ და ППС, ამერიკული Thompson-ი თუ ბრიტანული Sten-ი ფრონტის ხაზებზე შეუსვენებლივ ისროდნენ...

ომის შემდგომ შუალედური ვაზნების პოპულარიზაციამ და მათ გამოსაყენებლად შექმნილმა ავტომატებმა (ავტომატურმა შაშხანებმა) ჩრდილში მოაქცია პისტოლეტ-ტყვიამფრქვევების მომავალი.

თუმც გასული საუკუნის 70-80-იან წლებიდან ისევ აქტუალური გახდა პისტოლეტ-ტყვიამფრქვევების თემა, რადგან ევროპასა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებსაც ტერორისტული აქტების ტალღამ გადაუარა.

მჭიდროდ დასახლებული ქალაქების ქუჩებში მოქმედი სამართალდამცავების უკეთესად შესაიარაღებლად უფრო უპრიანი იყო, არჩევანი პისტოლეტ-ტყვიამფრქვევებზე შეჩერებულიყო და



ეროვნული ბიბლიოთეკა



პისტოლეტი Calico 950

არა ავტომატურ შაშხანებზე.

იარაღის მსოფლიო ბაზარი წალეკა ათასნაირი კონსტრუქციისა და სქემის პისტოლეტ-ტყვიამფრქვევებმა, მაგრამ მათ შორის მაინც გამორჩეული იყო ყველაზე ორიგინალური ფორმის ამერიკული Calico.

ამერიკული კომპანია Calico Light-ი მსოფლიო საიარაღო ბაზარზე საკმაოდ გვიან, 1990 წელს გამოჩნდა ორიგინალური კონსტრუქციის პისტოლეტ-ტყვიამფრქვევით.

„კალიკოს" ყველაზე შთამბეჭდავი დეტალი მისი ცილინდრული ფორმის



მჭიდი იყო, რომელშიც (მოდიფიკაციის მიხედვით) 50 ან 100 ცალი 9მმ-იანი პისტოლეტის ვაზნა ეტეოდა.

7,62მმ-იანი კალიბრის 71 ვაზნა საბჭოთა ППШ-ს დისკის ფორმის მჭიდშიც თავსდებოდა, ხოლო ამერიკული Thompson-ის ასევე დისკის ფორმის მჭიდში 11.43მმ კალიბრის 100 ვაზნა ეტეოდა.

ამიტომაც „კალიკოს" კონსტრუქტორებს ველოსიპედი არ აღმოუჩენიათ, მაგრამ ეს ერთი შეხედვით. ვისაც ხელში სჭერია ამერიკული „ტომპსონი" ან



თვითდამტენი კარაბინ Calico-ს მჭიდში 100 ცალი 9 მმ კალიბრის ვაზნა ეტევა

არსენალი ბიბლიოთეკა



**ჩვენი დოსიე:** პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი Calico M960 ვაზნების გარეშე 2,17კგ-ს იწონის. მის ცილინდრულ მჭიდში 9X19მმ Para ტიპის 50 ვაზნა ჩადის. დაკეცილი კონდახით იარაღის სიგრძე 647მმ-ია, გაშლილით — 835მმ-ი, ლულის სიგრძე 330 მმ-ს შეადგენს. სროლის ტემპი წუთში 750 გასროლას აღწევს.

„კალიკოს“ მოქმედების პრინციპი დაფუძნებულია ნახევრად თავისუფალი საკეტის სქემაზე, სადაც შენელება ხდება ორი გორგოლაჭის დახმარებით, როგორც ეს გერმანულ პისტოლეტ-ტყვიამფრქვევ MP5-შია.

საბჭოთა „პე-პე-შა“, დაგვეთანხმება, რომ ვაზნებით სავსე მძიმე დისკი სიმძიმის ცენტრს არღვევს და საკმაოდ მოუხერხებელია ტარებისას.

„კალიკოზე“ კი ასვაზნიანი ცილინდრული ფორმის მჭიდი იარაღის თავზეა განთავსებული, რაც ძალიან მოსახერხებელია თავად იარაღის გადატანისას და სამიზნეც მჭიდის წინაა განთავსებული ამაღლებულ ფეხზე.

პისტოლეტ-ტყვიამფრქვევ „კალიკოში“ კიდევ ერთი ორიგინალური კონსტრუქციული გადაწყვეტილებაა გამოყენებული — გასროლის შემდეგ მასრები მარცხნივ ან მარჯვნივ კი არ გამოიყრება, არამედ ქვემოთ, რაც ამ უცნაურ იარაღს მოსახერხებელს ხდის როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა ხელით მსროლელისთვის.

გასული საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანებში ამერიკულმა „კალიკომ“ მსოფლიოს წამყვანი ტელეკომპანიების ეკრანებზე გაიელვა და თანაც ძალიან საინტერესო როლში — რუსეთის მაშინდელი პრეზიდენტი ელცინი ამერიკულ „კალიკოს“ გაკვირვებული ატრიალებდა ხელში და მრავალმა მილიონმა ტელემაყურებელმა მხოლოდ მაშინ შეამჩნია, რომ რუსეთის პრეზიდენტს ხელზე ერთი თითი აკლდა...

იმ დღეს ელცინი სტუმრად ეწვია რუსეთის გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს ერთ-ერთ სპეცდანიშნულების დანაყოფს, სადაც მას რუსული და უცხოური იარაღის გამოფენა დაახვედრეს. ელცინის დიდი ყურადღება კი სწორედ უცნაური ფორმების მქონე ამერიკულმა „კალიკომ“ მიიპყრო...

„კალიკო“ რამდენიმე ვარიანტად გამოუშვეს: 9მმ-იანი პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი M960-ი 50-ვაზნიანი მჭიდით, პისტოლეტი Calico M950-ი 50-ვაზნიანი მჭიდით, თვითდამტენი 9მმ-იანი შაშხანა ასვაზნიანი მჭიდით და 5,6მმ-იანი კალიბრის პისტოლეტი Calico M100.22LR-ი ასვაზნიანი მჭიდით.

წესით, ორიგინალური კონსტრუქციის „კალიკოს“ დიდი მომავალი ელოდა. მისი მცირე პარტიებით შესყიდვა აშშ-ის ზოგიერთმა სამართალდამცავმა სამსახურმა კიდევაც დაიწყო, საექსპორტო შეკვეთებიც გამოჩნდა, როდესაც მოულოდნელად ყველაფერს ხაზი გადაესვა, — აშშ-ში მიღებულ იქნა კანონი, რომელიც კრძალავდა იმ სამოქალაქო იარაღის გაყიდვას, რომლის მჭიდში 10 ვაზნაზე მეტი ეტეოდა!

არადა, „კალიკოს“ კოზირი სწორედ მისი უნიკალური კონსტრუქციის მჭიდი გახლდათ, რომელშიც დიდი რაოდენობის ვაზნები ეტეოდა. თუკი ასეთი მჭიდის დაყენებას უფლება აღარ ექნებოდათ „კალიკოს“ კონსტრუქტორებს, მაშინ ეს პროექტი აზრს კარგავდა, რადგან ათვაზნიანი მჭიდი იარაღის სახელურშიც მშვენივრად ჩაეტეოდა...

ამ, და შეიძლება სხვა მიზეზების გამო, 2000 წლისათვის „კალიკოს“ შემქმნელი ფირმა საიარაღო ბიზნესიდან გაქრა...

სამაგიეროდ, ცოტა ხანში რუსეთმა აქტიური რეკლამირება დაუწყო ლეგენდარული მიხეილ კალაშნიკოვის შვილის ახალ პისტოლეტ-ტყვიამფრქვევს ПП-19 Бизон-ს.

სულაც არ იყო საჭირო ინჟინერული განათლება იმის მისახვედრად, რომ „ბიზონის“ კონსტრუქტორმა მამამისის დამოკლებულლულიან „კალაშნიკოვს“, ფაქტობრივად, ამერიკული „კალიკოს“ ცილინდრული ფორმის მჭიდი დაუყენა, რომელშიც 9X18 მმ ПМ „მაკაროვის“ 64 ვაზნა თავსდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ „ბიზონს“ თავად მიხეილ კალაშნიკოვის დიდი მხარდაჭერა ჰქონდა, მან დიდი გავრცელება რუსეთის სპეცდანიშნულების რაზმებში ვერ ჰპოვა.

შეიძლება ამის მიზეზი კონსტრუქციული შეცდომაც იყო, რადგან „ბიზონს“ კალიკოსმაგვარი ცილინდური ფორმის მჭიდი იარაღის ზემოთ კი არა, არამედ ლულის ქვემოთ დაუყენეს. ინტენსიური სროლის შედეგად ლულა ძლიერად ხურდებოდა და უარყოფითად მოქმედებდა მჭიდის ფუნქციონირებაზე.

*ირაკლი ალადაშვილი*



ПП-19 Бизон

ხ 101/38

არსენალი



Calico

ISSN 1987 - 5061

9 771987 506007